საქართ. სახელმწ. ბიბლიოთეკა თბილისი
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური ¢ თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კაპ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მან., ქალაქს გარეშე—1 მ. და 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ნიშადურს" და „მეცნიერება და ტექნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კ. ტექსტში ორჯერ მეტი. სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა 1 მ., განცხადებების მიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელ. 13—80.

სამშაბათი, 24 ნოემბერი 1925 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 270 (1425)

დღიური

- ინგლისის მუშები ბოიკოტს უცხადებენ [illegible]
- მცხოვრებთა აჯანყება მოედო მთელ სირიას.
- რიფები ცდილობენ საკატო ქალაქის ალჟირის ჩაგდებას ხელში.
- საბჭოთა კავშირში მოდის იაპონიის მელითონეთა დელეგაცია.
- ჩეხო-სლოვაკიის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობას გადამწყვეტად თვლიან.

საჭირო ნაბიჯი

საშინაო და საგარეო კავშირის საკითხები დღეს ჩვენი ყურადღების ცენტრშია მოქცეული. სასოფლო-მეურნეობის აღორძინებასა, გლეხობის სყიდვითი უნარის გადიდებასთან დაკავშირებით, გართულდა საქონლის ტრიალის საქმე. მიუხედავათ საბჭოთა მრეწველობის შეუჩერებელი ზრდისა, ჩვენ დღეს-დღეობით მაინც სავსებით ვერ ვაკმაყოფილებთ მოსახლეობის მოთხოვნილებას ქალაქის საქონელზე.

და აქ იბადება აუცილებლობა ურთიერთობის გაძლიერებისა მსოფლიო ბაზართან. მრეწველობის გასაფართოვებლად ჩვენ გვესაჭიროება მისი ძირითადი კაპიტალის აღდგენა, ფაბრიკა-ქარხნების ძველ მოწყობილობათა განახლება, თანამედროვე ტეხნიკის შემოღება, ახალი ფაბრიკა-ქარხნების აშენება. ყველა ამისათვის საჭირო მასალა ნაწილობრივ უნდა შევიძინოთ უცხოეთში.

არა ნაკლებ აუცილებელია ჩვენთვის საზღვარ-გარეთიდან შემოზიდვა იმ სასოფლო-სამეურნეო იარაღების, რომლებიც ჩვენში ჯერ სულ არ მზადდება, ან მზადდება არა საკმარისი რაოდენობით, აგრეთვე ფართედ მოსახმარ საგნებისა (ფართლეული და სხ.), რომელთა ნაკლებობას განვიცდით ამჟამად.

სამაგიეროდ საბჭოთა კავშირში ბევრი რამ მოიპოვება უცხოეთში გასაზიდათ. სასოფლო მეურნეობა სწრაფი ტემპით ვითარდება. საბჭოთა რესპუბლიკების ბუნებრივი სიმდიდრე ხომ იმთავითვე ცნობილია. აქ მოდის და მზადდება დღეს იმდენი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, რამდენსაც ვერ ფარავს შინაური ბაზარი, ბევრი ჩვენი ნედლეული მასალის საჭირო რაოდენობით დამუშავება არ შეიძლება საბჭოთა ფაბრიკა-ქარხნებში. აუცილებელი ხდება მათი გატანა უცხოეთის ბაზარზე და სანაცვლოდ იქიდან ჩვენთვის საჭირო საგნების შემოზიდვა.

საგარეო ვაჭრობის საქმის გაფართოება, მისი რიგიანად მოგვარება ამიტომ ჩვენი ერთი უმთავრესი ამოცანათაგანია, ჩვენი ეკონომიკის შემდგომი აღორძინების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა, და ექსპორტ-იმპორტის საკითხებს საბჭოთა ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს. ექსპორტ-იმპორტის გეგმა 1925—26 სამ. წლისათვის გამიანგარიშებულია დაახლოვებით ორი მილიარდი მანეთის რაოდენობით.

ამასთან უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ ჩვენი საგარეო ვაჭრობის სისტემაში მნიშვნელოვანი ორგანიზაციული ცვლილებები იქნა შეტანილი, რომელთა მიზანია მუშაობის სრული შეფარდება ჩვენი დღევანდელი შინაური და მსოფლიო ბაზრის პირობებთან. რა თქმა უნდა, ურყევი რჩება საგარეო ვაჭრობის მონოპოლია და გეგმიანი მეურნეობის პრინციპი. ამავე დროს უფრო აქტიურ და უშუალო მონაწილეობას მიიღებენ საექსპორტო და საიმპორტო ოპერაციებში ის სახელმწიფოებრივი და კოოპერატიული ორგანიზაციები, რომელნიც დაინტერესებულნი არიან საგარეო ვაჭრობის განვითარებაში და შესწევთ უნარი ხელი შეუწყონ ამ საქმის უფრო წარმატებით შესრულებას.

ამ მნიშვნელოვან ნაბიჯს უნდა მოყოლოდა მეორე, არა ნაკლებ საჭირო ზომა. ჩვენ ვლაპარაკობთ საგარეო და შინა-ვაჭრობის კომისარიატების გაერთიანებაზე, რომლის შესახებ ამას წინედ დადგენილება გამოიტანა საკავშირო მთავრობამ. საშინაო და საგარეო ვაჭრობა ჩვენს პირობებში ერთი მთლიანი პროცესის ორი მხარეა, რომელნიც ერთმანეთთან მჭიდროთ არიან დაკავშირებული. მოსახლეობისათვის საქონლის მიწოდება, რომლის ნაწილი უცხოეთიდან უნდა შემოვიტანოთ, და გლეხის ნაწარმოების შეძენა, რომლის მნიშვნელოვანი რაოდენობა საზღვარ-გარეთ უნდა გავზიდოთ, უნდა იქნეს ერთი მეორესთან ზედმიწევნით შეთანხმებული. თავის თავად ცხადია, გეგმიან მუშაობას ამ მხრივ დღემდეც ჰქონდა ადგილი, მაგრამ იგი უფრო მტკიცედ და სავსებით გატარდება, როცა ექსპორტ-იმპორტის და შინა-ვაჭრობის საქმე ერთ ორგანოში იქნება მოქცეული. ეს გაერთიანებული ორგანო თავის ყოველდღიურ ოპერატიულ საქმიანობაში თანაბრად მიიღებს მხედველობაში როგორც საგარეო, ისე შინა-ვაჭრობის დარგში ჩვენს წინაშე მდგარ ამოცანებს, თანაბრად გაითვალისწინებს მსოფლიო ბაზრის პირობებს და ჩვენი სახელმწიფოს საჭიროებებს. ამიერიდან ადგილი არ ექნება რაიმე შეუთანხმებელ მოქმედებას თუ გაუგებრობას, ცალმხრივ გადახრას, რაც ხანდახან უნებლიეთ აუცილებელი იყო, მიუხედავათ მთლიანი საერთო ხელმძღვანელობისა, საგარეო და შინა-ვაჭრობის კომისარიატების დამოუკიდებლათ არსებობის დროს, როცა თვითეული მათგანი თავისი განსაკუთრებული ამოცანების და ფუნქციების მიხედვით ერთ სფეროში მუშაობდა.

საგარეო ვაჭრობის სისტემის რეორგანიზაცია და საგარეო და შინა-ვაჭრობის აპარატების გაერთიანება,—ეს ორი ზომა მეტად დროულადაა განხორციელებული. ეს ხელს შეუწყობს ჩვენი ბაზრის გაჯანსაღებას და უცხოეთთან ჩვენი რესპუბლიკებისათვის ხელსაყრელი აღებმიცემობის განვითარებას. მსოფლიო ბაზრის უფრო მიზანშეწონილი გამოყენება ჩვენი ეკონომიკის შემდგომი აღორძინებისათვის,—აი ამოცანა, რომლის წარმატებით გადაჭრისკენაა მიმართული ჩვენი მეცადინეობა. ამ ახრივ საგარეო და შინა-ვაჭრობის კომისარიატების გაერთიანებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

საფრანგეთი კატასტროფის წინ

ზემოთ ამოწერილი სიტყვები პოლიტიკური აგიტაციის დემაგოგიურ ფორმულას კი არ შეიცავს. ისინი გამოხატავენ ფაქტიურ მდგომარეობას დღეს საფრანგეთში და თვით ამ ქვეყნის გაბატონებული კლასების ხელმძღვანელებს შესწევთ „გამბედაობა" (რადგან ვიღას შეუძლია ამის დამალვა!) ხმა-მაღლა აღიარონ კატასტროფის ეს მოახლოება. ამის გამოხატულებას ვპოულობთ არა მარტო მთავრობების მუდმივ კრიზისში, არა მარტო იმაში, რომ ამ სამი კვირის წინათ შეკოწიწებული კაბინეტი დღეს უკვე დაეცა, როგორც გადმოგვცემენ ტელეგრამები, არამედ ყველაზე უფრო დამახასიათებელია ის საერთო ნერვიულობა და აღელვება, რომელმაც მოიცვა საზოგადოების ყველა კლასები და რომელიც იკვეთება ბურჟუაზიული რესპუბლიკის მთელი ეკონომიურ-ფინანსიური სისტემის სრული შერყევით.

ქვეყანა ვალებში იღრჩობა. შინაური და გარეული კრედიტორი მას თავზე წასწოლია, აღრჩობს. სახელმწიფო ბიუჯეტი დეფიციტიანია. მთავრობა იძულებულია თვით თავისი მიმდინარე ხარჯების დასაფარავათ მიმართოს ისევ სესხს, რაც კიდევ უფრო ართულებს ისედაც ძნელ მდგომარეობას, იძულებულია მიმართოს ქაღალდის ფულის ბეჭდვას, რაც სცემს ფრანკის ფასს, აძნელებს აღებ-მიცემობას, მწარეთ ურტყამს მშრომელთა მჭლე ჯიბეს, გაჭირვებაში ყრის საშუალო კლასებს და იწვევს საერთო უკმაყოფილებას და დრტვინვას. მკითხველები მიაქცევდნენ ამას წინად ჩვენს გაზეთებში გამოქვეყნებულ ცნობას იმის შესახებ, რომ მთელი რიგი წარმოებათა თავის საქონელს ყიდიან ინგლისური გირვანქა სტერლინგის შეფასებით, როგორც მტკიცე ფულის საზომით და იღებენ ფრანგულ ფულს (ფრანკს) დღის კურსის მიხედვით. ასეთია მდგომარეობა და ის შექმნა „განმათავისუფლებელმა" ომმა, რომელიც თავზე მოახვია საფრანგეთის ხალხს მისმა გაბატონებულმა კლასებმა და რესპუბლიკის სამხედრო კასტამ.

როგორი შეიძლება იყოს გამოსავალი ასეთი მდგომარეობიდან? ამ საკითხზე მხოლოდ საფრანგეთის კომპარტიას აქვს გარკვეული პასუხი. ეს არის ვალების გაუქმება, ხოლო სახელმწიფოს მიმდინარე საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ სახსარის მიღება იქიდან, სადაც ის სძევს. ეს არის პროგრამა კაპიტალისტების ექსპროპრიაციას, საკუთრების ჩამორთმევის. საშინელება ომისა და ეკონომიურ-ფინანსიური კრიზისის სახით თავზე დაატეხა ქვეყანას მისმა გაბატონებულმა კლასებმა, ისინივე უნდა შეიქმნენ ყოველფრისთვის პასუხისმგებელი და ეს პასუხი მათ უნდა აგონ ჯერ თავისი ქონებით.

მაგრამ ასე არ ფიქრობს ბურჟუაზია და მისი „სოციალისტები". ერთიც და მეორენიც გადაჭრით წინააღმდეგნი არიან კომუნისტების წინადადების და მოითხოვენ ყველას „სამართლიან" დაბეგვრას, ესე იგი ხალხის კიდევ უფრო უსამართლო გატყავებას, ფულების საბეჭდავი მანქანის ატრიალებას, ერთი სიტყვით კაპიტალის დაზოგვას და ფაქტიურათ მის ხელუხლებლობას. საფრანგეთის ეგრედ წოდებულმა სოციალისტურმა პარტიამ უკეთეს ზემთხვევაში ან არ იცის, როგორ გაართვას თავი საქმეს, რადგან მას არც წვადი სურს დასწვას, არც შამფური (ასეთია შემთანხმებლური ბუნება მისი!) ანდა აკეთებს აშკარათ მქონებელი კლასების საქმეს. ეს იწვევს საკმაოდ მწვავე შეხლა-შემოხლას პარტიაში, რადგან მის ორგანიზაციებში მუშებიც არიან. ეს შინაური წინააღმდეგობა იყო, რომელმაც აიძულა ერთ საპასუხისმგებლო კრებაზე გაეცხადებია მუდამ აუჩქარებელ კომპერ-მორელს, რომ პარტიამ უნდა გაარღვიოს ლეგალობა, კანონიერების ზღუდე და გადასდგას გადამწყვეტი ნაბიჯები. სწორეთ ამიტომ შეურაცხყო ის საფრანგეთის იმპერიალისტის აგენტმა, სოციალისტური ფრაქციის ერთმა მემარჯვენე ბელადმა ღომო-გრუმბახმა და მას რევოლიუციონერი და კომუნისტი უწოდა. სწორეთ ეს ყალბი პოზიცია შლის პარტიას, და აიძულებს მისი საპარლამენტო ფრაქციის იმ ნაწილს, რომელიც კიდევ იყურება მუშებისაკენ, მიემხროს კომუნისტებს, როგორც ამას ჰქონდა ადგილი პენლევეს ფინანსიური კანონ-პროექტის გარჩევის დროს პარლამენტში.

საფრანგეთის პროლეტარიატს და მთელ მშრომელ ხალხს ყავს ერთად-ერთი საკუთარი წარმომადგენლობა ამ პარლამენტში და მის გარეთ. ეს არის კომუნისტური პარტია. ის ამბები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა დეპუტატთა პალატაში და რომელთა შედეგი იყო მთავრობის გადადგომა, კიდევ უფრო დაარწმუნებს საფრანგეთის მუშებს, ვის ხელშია მისი განთავისუფლების დროშა და ვისი გამარჯვება გამოიყვანს საფრანგეთს კატასტროფიული მდგომარეობიდან.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

საფრანგეთის ახალგაზრდობის დელეგატები

მოსკოვი, 23 ნოემბ. ურალისაკენ გაემგზავრა საფრანგეთის ახალგაზრდობის დელეგაციის მეორე ნაწილი სამი კაცისაგან შემდგარი.

იაპონიის მელითონეთა დელეგაცია

ნოვო-ნიკოლაევსკი, 23 ნოემბ. ნოვო-ნიკოლაევსკზე გავლით მოსკოვისაკენ გაემგზავრა იაპონიის მელითონეთა დელეგაცია.

ნორვეგიის მუშათა დელეგაციის გამგზავრება

ლენინგრადი, 23 ნოემბ. ლენინგრადიდან ფინეთის რკინის გზის ოსლოსაკენ გაემგზავრა ნორვეგიის მუშათა დელეგაცია.

გამგზავრების წინ საბჭოთა კავშირის მშრომელებს დელეგაციამ მიმართა დეკლარაციით,, სადაც ნათქვამია, რომ ნორვეგიის მთელი მუშათა კლასი მხარს უჭერს ინგლის-საბჭოთა კომიტეტის მისწრაფებას ერთიანი ფრონტის შექმნისათვის.

ურთიერთობა ჩეხო-სლოვაკიასთან

პრაგა, 22 ნოემბ. პრაგის გაზეთების ცნობით, ჩეხო-სლოვაკიის მრეწველთა ცენტრალურ კავშირში გაიმართა წინასწარი თათბირება, რომლებზედაც ირჩევა საბჭოთა კავშირის და ჩეხო-სლოვაკიის საექსპორტო სინდიკატის მოწყობის საკითხი.

თათბირზე მონაწილეობას ღებულობდენ რკინის მრეწველობის, სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნების და საფეიქრო ინდუსტრიის წარმომადგენლები.

ჩეხო-სლოვაკიის დეპეშათა სააგენტოს აზრით, სანამ ჩეხო-სლოვაკია იურიდიულად არ იცნობს საბჭოთა კავშირს, ზემოდაღნიშნულ პროექტის განხორციელება შეუძლებელია.

არჩევნების შემდეგ ჩეხო-სლოვაკიაში

კრამარჟის შეცდომა

პრაგა, 22 ნოემბერი. გაზეთების ცნობით, ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიის აღმასკომის სხდომაზე ზოგიერთი მრეწველები ილაშქრებდენ პარტიის ლიდერის კრამარჟის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხში. ისინი აღნიშნავდენ რომ კრამარჟის უარყოფითი დამოკიდებულება საბჭოთა კავშირის მიმართ დიდი შეცდომაა და ეს გარემოება დიდ ზიანს აყენებს ჩეხო-სლოვაკიის მრეწველობას.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიის განცხადება

პრაგა, 22 ნოემბერი. ჩეხიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის აღმასკომმა გამოაქვეყნა განცხადება საპარლამენტო არჩევნების შესახებ. განცხადებაში ნათქვამია, რომ ჩეხიის სოციალ-დემოკრატიული პარტიამ ძველ ჩეხიაში მიიღო 100.000 ხმა, მაგრამ არჩევნების შემდეგ დაჰკარგა 25 მანდატი, აქედან 16 სლოვაკიაში და, საერთოთ, არჩევნებიდან გამოვიდა დასუსტებული.

აღმასკომი აცხადებს, რომ აგრარული და კლერიკალური პარტია არჩევნების შემდეგ გაძლიერდენ და რომ პასუხისმგებლობა მუშათა კლასის წინაშე გადადის კომუნისტების ხელში.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ არჩევნების შემდეგ შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობა გარდამავალ პერიოდის ხასიათს მისცემს პარლამენტის მომავალ სესიას.

შემდეგ აღმასკომი აცხადებს, რომ სოციალ - დემოკრატიული პარტია თანახმაა მონაწილეობა მიიღოს მთავრობაში, მაგრამ იმ პირობით, თუ მას ექნება განსაზღვრული კოალიციონური პროგრამა.

ბოლოს აღმასკომი აცხადებს, რომ მისი აზრით საჭიროა საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობა.

საბჭოთა კავშირის ცნობა გადაწყვეტილი საკითხია.

პრაგა, 22 ნოემბერი. ნაციონალ-სოციალისტების ორგანო „ჩესკე სლოვო" ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხის უარყოფის გამო აცხადებს, რომ არჩევნების შედეგებმა საბოლოოთ გადასჭრა ეს საკითხი დადებითად.

კომპარტია შევა მხოლოდ მუშათა მთავრობაში

პრაგა, 22 ნოემბერი. ნაციონალ-სოციალისტების ორგანო „ჩესკე სლოვო" აყენებს საკითხს—განზრახული აქვს თუ არა კომპარტიას ხელი შეუწყოს ისეთი მთავრობის შედგენას, რომელიც იცნობს საბჭოთა კავშირს და თანახმაა თუ არა მიიღოს მონაწილეობა ამ მთავრობაში? სხვა გაზეთებიც იხილავენ საკითხს მთავრობაში კომპარტიის მონაწილეობის შესახებ.

სოციალ - დემოკრატიულ გაზეთ „პრავო დიდუ"-ს საპასუხოთ კომპარტიის ორგანო „რუდე პრავო" კატეგორიულად უარყოფს მთავრობაში კომუნისტების შესვლის შესაძლებლობას და აცხადებს, რომ კომუნისტები მონაწილეობას მიიღებენ მთავრობაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს იქნება მუშათა მთავრობა, რომელიც სახელმწიფო აპარატს მიმართავს ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

„პრავო ლიდუ" წინადადებას აძლევს კომუნისტებს განახორციელონ მუშურ-გლეხური მთავრობის ლოზუნგი და შევიდენ აგრარულ-სოციალისტურ კოალიციაში.

ამის საპასუხოთ „რუდე პრავო" ახასიათებს აგრარულ პარტიას, როგორც მემამულეების და კულაკების პარტიას, ხოლო სოციალ-დემოკრატებს, როგორც ბურჟუაზიულ სახელმწიფოს დამცველებს. გაზეთი აცხადებს, რომ მუშურ-გლეხური მთავრობა შედგენილი იქნება არა საპარლამენტო კომბინაციებით, არამედ მასების რევოლიუციონურ ბრძოლით და მოუწოდებს მშრომელებს ერთიანი ფრონტის შედგენისაკენ.

მთავრობის კრიზისი საფრანგეთში

პარიზი, 22 ნოემბ. რადიკალ სოციალისტების (ბელადი ერრიო), რესპუბლიკანურ სოციალისტების (ბრიან-პენლევე) და სოციალისტების (ბლიუმ-რენოდელი) ჯგუფებს, რომელშიც შედის 278 დეპუტატთა პალატის წევრი მემარცხენე რადიკალურ ჯგუფთან ერთად, რომელშიც 40 დეპუტატი შედის, მსჯელობა ქონდათ მთავრობის კრიზისის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ საკმარისია მემარცხენე ბლოკს შეუერთდეს მემარცხენე რადიკალების ჯგუფი, რომ მას უმრავლესობა ეყოლება პარლამენტში.

სოციალისტები თათბირობენ ახალ კაბინეთში შესვლაზე.

პრემიერებად პარლამენტის წრეებში ასახელებენ ერიოს და ბრიანს.

საფრანგეთის მთავრობა გადადგა

საფრანგეთის ფინანსიური მდგომარეობა დღითი დღე უარესდება

მოკლე ხნის განმავლობაში გამოშვებული იქნება კიდევ 1 ნახევარ მილიარდის ქაღალდის ფრანკი

ბურჟუაზიული ჯგუფები ენერგიულ კამპანიას აწარმოებენ პენლევეს საფინანსო პროექტების წინააღმდეგ

კომპარტიის საფინანსო კონტრ-პროექტი

პარიზი, 22 ნოემბ. „ჰავასის" სააგენტოს ცნობით დეპუტატთა პალატამ 278 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 275 ხმისა უარყო საფინანსო კანონპროექტის § 5. მთავრობა გადადგა.

როგორ მოხდა ეს

პარიზი, 22 ნოემბ. „ჰავასის" სააგენტოს ცნობით დეპუტატთა პალატა აპირებდა კენჭის ყრას საფინანსო კანონპროექტის მე-5 პარაგრაფისათვის ხაზინის ზოგიერთ ვალდებულებათა და ეროვნული თავდაცვის სესხის ობლიგაციების გამოცვლის შესახებ; ამ დროს პალატის თავმჯდომარემ ერრიომ მთავრობის სახელით წაიკითხა § 5-ის დამატება, რომლის თანახმად სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხაზინის მოკლევადიან ვალდებულებათა მეპატრონეების მიმართ.

დეპუტატთა შორის დაიწყო ძლიერი მღელვარება. საფინანსო კომისიის მომხსენებელი გამოვიდა განმარტებით, რომ მას დრო არ ჰქონდა ამ დამატების წარსადგენათ საფინანსო კომისიაში. მომხსენებელი აცხადებს, რომ ის დაჟინებით არ მოითხოვს ამ პარაგრაფის მიღებას.

ბოლოს პალატამ 278 ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ 275-ისა უარჰყო მე-5 მუხლი.

კომუნისტების როლი

პარიზი, 22 ნოემბ. მთავრობის გადადგომა აიხსნება იმით, რომ 26 კომუნისტმა ხმა მისცა მე-5 მუხლის გაუქმებას, მაშინ როდესაც დილის სხდომაზე მათ თავი შეიკავეს კენჭის ყრის დროს.

ხაზინისათვის ავანსების გადიდების პროექტი.

პარიზი, 22 ნოემბერი. „ჰავასის" სააგენტოს ცნობით. წინააღმდეგ დეპუტატთა პალატის კულუარებში გავრცელებული ხმებისა, მთავრობას განზრახული აქვს შეიტანოს პარლამენტში საფინანსო გეგმაში გათვალისწინებული პროექტი ხაზინისათვის ავანსების 1,5 მილიარდი ფრანკით გადიდების შესახებ. შესაძლოა, რომ პენლევე მოიწვევს პარლამენტს იმ მიზნით, რათა დაუყოვნებლივ კენჭი უყაროს ამ პროექტს.

ახალი პროექტი

პარიზი, 22 ნოემბერი. დეპუტატთა პალატა იხილავს §§ 5 და 6-ს, რომელიც ეხება ხაზინის ზოგიერთ მოკლევადიან ვალდებულებათა და ეროვნული თავდაცვის სესხის ობლიგაციების გამოცვლას.

ფინანსთა ყოფილი მინისტრი პუანკარეს კაბინეტში ბოკანოვსკი აკრიტიკებს მთავრობის ფინანსიურ იდეების ცვალებადობას, მოითხოვს პენლევესაგან არ მიიღოს ობლიგაციების გამოცვლის პროექტი და აღნიშნავს, რომ ამას შეუძლია შეარყიოს მოკლე ვადიან სესხის ვალდებულებათა მეპატრონეების ნდობა.

პენლევე აცხადებს, რომ ის არ დარჩება მთავრობაში, თუ აღნიშნული მუხლი არ იქნა მიღებული და აყენებს საკითხს ნდობის შესახებ.

277 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 249-ისა გადასწყდა § 5-ის ძალაში დატოვება.

თათბირი პრეზიდენტთან.

პარიზი, 22 ნოემბერი. რესპუბლიკის პრეზიდენტი მიიღებს სენატის საფინანსო კომისიების თავმჯდომარეებს დუმის და მალვის.

პარიზი, 22 ნოემბერი. ჰავასის სააგენტოს ცნობით სენატის საფინანსო კომისიის თავმჯდომარე დუმე ეთათბირა სენატისა და პალატის თავმჯდომარეებს (დესელვსა და ერიოს).

„ნაციონალური შეთანხმების" მთავრობა.

პარიზი, 22 ნოემბერი. ყველა დეპუტატებს სურს მთავრობის კრიზისის მალე დასრულება. უმეტესი ნაწილი მათ შორის საჭიროდ სთვლის ნაციონალური შეთანხმების მთავრობის შედგენას.

კომფრაქციის განცხადება

პარიზი, 22 ნოემბერი. საფინანსო კანონპროექტის განხილვის დროს დეპუტატთა პალატაში კომფრაქციის წარმომადგენელმა გარშერიმ ხაზი გაუსვა სოციალისტების თვალთმაქცობას, რომლებიც თავს იკატუნებენ, თითქოს მათ არ იციან, რომ აუცილებელია ახალი ქაღალდის ფულების გამოშვება.

გარშერის განცხადებით კომუნისტები უარს ამბობენ მუხლობრივ განხილვაზე და დაიცავენ თავის კონტრპროექტს.

ნაციონალური და მემარცხენე ბლოკი, სთქვა გარშერიმ, ორივე იცავს ერთნაირ საფინანსო პოლიტიკას, რომელიც იწვევს ხელფასის დაკლებას და სიძვირეს. ბურჟუაზიული პარლამენტი საბოლოოდ ანადგურებს პროლეტარიატს და საშუალო შეძლების კლასებს. მთავრობას არ ძალუძს შექმნილი მდგომარეობის გაუმჯობესება, ვინაიდან კაპიტალისტები და მსხვილი ბანკები არიან ქვეყნის ნამდვილი ბატონ-პატრონები".

44 ხმის უმრავლესობით

პარიზი, 23 ნოემბ. საფინანსო პროექტის მუხლობრივ განხილვაზე გადასვლა მიღებული იქნა დეპუტატთა პალატაში 294 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 250-სა.

პენლევეს მოწოდება

პარიზი. 22 ნოემბ. საფინანსო კანონპროექტის მე-2 მუხლის მიღების შემდეგ, პენლევემ მიმართა დეპუტატებს მოწოდებით, რაც შეიძლება, ჩქარა მიიღონ კანონპროექტი. პენლევემ განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ პალატა არ გამოეხმაურა მის მოწოდებას, მას აღარ შეეძლება მთავრობის სათავეში დარჩენა.

პენლევეს წინადადებით პალატამ გადასწყვიტა განაგრძოს კამათი კვირას.

მსხვილი კაპიტალი კმაყოფილია.

პარიზი. 22 ნოემბ. მსხვილ ბურჟუაზიული ოპოზიცია კმაყოფილია საფინანსო კანონპროექტის გარშემო წარმოებულ კამათის შედეგებით. ოპოზიცია ფიქრობს, რომ, თუ ჯერჯერობით არ შეიძლება სავსებით უარყოფილ იქნას მთავრობის კანონპროექტი, ყოველ შემთხვევაში მას შეუძლია ცვლილება შეიტანოს მასში.

ოპოზიციონური ჯგუფები მიუთითებენ უმნიშვნელო უმცირესობაზე, რომელმაც მხარი დაუჭირა მთავრობის კანონპროექტს, აგრეთვე იმ ფაქტზე, რომ 30 სოციალისტმა მხარი დაუჭირა კომუნისტების კონტრ-პროექტს და ხაზს უსვამს ძლიერ უთანხმოებას მთავრობასა და სოციალისტებს შორის.

ერთიანი ფრონტით

პარიზი, 22 ნოემბ. გაძლიერებულ ფაშისტურ მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად საფრანგეთის კომპარტიამ წინადადება მისცა სოციალისტებს შექმნან ერთიანი ფრონტი შემდეგ მოთხოვნილებათა საფუძველზე: ქვეყნის ფინანსიურ მდგომარეობის გაუმჯობესება კაპიტალისტების ხარჯზე; მოკავშირეების ვალების გაუქმება; რეფორმების გატარება მუშების სასარგებლოთ საბჭოთა კანონმდებლობის მიხედვით; ხელფასის დაწესება სიძვირესთან შეფარდებით: 8 საათის სამუშაო დღის განხორციელება; ყოველწლიურად შვებულებების შემოღება ჯამაგირის შენახვით, ფაშისტურ კავშირების განიარაღება და დაშლა.

სოციალისტების პოზიცია

პარიზი, 22 ნოემბ. როცა პენლევემ განაცხადა, რომ მას არ შეუძლია დაპირების მიცემა ქაღალდის ფულის გამოშვების 1,5 მილიარდ ფრანკით განსაზღვრის შესახებ, ბლიუმმა სოციალისტების სახელით განაცხადა, რომ მისი ფრაქცია ხმას მისცემს მთავრობის პროექტის წინააღმდეგ.

მემარცხენე რესპუბლიკანელების „კრიტიკა"

პარიზი, 22 ნოემბ. როცა დეპუტატთა პალატაში სწარმოებდა კამათი პენლევეს საფინანსო პროექტის გარშემო, გამოვიდა მემარცხენე რესპუბლიკანელების წარმომადგენელი პიეტრი, რომელმაც გააკრიტიკა ეს პროექტი, მაგრამ ამავე დროს განაცხადა, რომ ის ხმას მისცემს პროექტს, რამდენადაც ეს წარმოადგენს მდგომარეობიდან გამოსვლის ცდას.

კაპიტალის პროტესტი

პარიზი, 22 ნოემბ. სხვადასხვა ბურჟუაზიულმა ეკონომიურმა ორგანიზაციებმა და სავაჭრო პალატებმა მიბაძეს წარმოების საყოველთაო კონფერენციის მაგალითს და გამოაქვთ მრავალი საპროტესტო რეზოლიუციები მთავრობის საფინანსო პროექტის წინააღმდეგ; ისინი მოითხოვენ „ყველა მოქალაქეთა გათანასწორებას გადასახადის გადახდაში".

რეფორმისტების მანიფესტი

პარიზი, 22 ნოემბ. შრომის რეფორმისტულმა საყოველთაო კონფერენციამ გამოაქვეყნა მანიფესტი, რომელშიაც იცავს მთავრობის საფინანსო კანონპროექტს კაპიტალისტების ინტრიგებისაგან.

„სერიოზული მომენტი".

პარიზი, 22 ნოემბ. ბლიუმის განცხადების შემდეგ, დეპუტატთა პალატის სხდომა შეწყდა საერთო მღელვარებით.

სხდომის გახსნისას პენლევემ განაცხადა, რომ მთავრობა, რომელიც ითვალისწინებს მომენტის სერიოზულობას, მიიღებს ყოველგვარ ზომებს იმისთვის, რომ გადასჭრას საკითხი მოკავშირეთა ვალების და ფრანკის დაუყოვნებლივ სტაბილიზაციის შესახებ საგარეო ბაზრებზე.

ხანგრძლივი თათბირის შემდეგ სოციალისტებმა ვერ გაბედეს ეკისრათ პასუხისმგებლობა მთავრობის კრიზისისათვის. ბლიუმმა განაცხადა, რომ სოციალისტები ხმას მისცემენ საფინანსო კანონპროექტის მუხლობრივად განხილვას.

გერმანია და ლოკარნოს ხელშეკრულება

სახელმწიფო საბჭომ (რეიხსრატმა) მოიწონა შეთანხმება—

ს.-დ. გადასწყვიტეს მხარი დაუჭირონ მთავრობას

მთავრობა ხელშეკრულების დამტკიცების შემდეგ გადადგომას აპირებს

რეიხსტაგის „გაწმენდა" კომუნისტებისაგან

რეიხსტაგის დასტური

ბერლინი, 22 ნოემბ. რეიხსრატმა (სახელმწიფო საბჭომ, რომელშიაც შედიან გერმანიის ცალკე სახელმწიფოთა წარმომადგენლები) მოიწონა წინადადება, რომლის თანახმად მთავრობას უფლება ეძლევა ხელი მოაწეროს ლოკარნოს შეთანხმებებს და აგრეთვე შეთანხმებას ერთა ლიგაში გერმანიის შესვლის შესახებ.

ეს გადაწყვეტილებები მიღებულ იქნა 46 ხმით, წინააღმდეგ 4 სა, თავი შეიკავა სამმა.

სოციალ-დემოკრატების პოზიცია

ბერლინი, 22 ნოემბერი. მთავრობის პარტიების და სოციალ-დემოკრატების გადაწყვეტილებებმა საბოლოოდ გამოარკვიეს პოზიცია, რომელსაც ისინი დაადგებიან ლოკარნოს ხელშეკრულებისათვის კენჭის ყრის დროს.

სოც.-დემოკრატებმა სავსებით ხელი აიღეს გალაშქრებაზე ლიუტერის მთავრობის შინაური პოლიტიკის წინააღმდეგ და თავის წინანდელ მოთხოვნილებებზე ახალი არჩევნების და ახალ მთავრობაში მონაწილეობის შესახებ; ისინი თავის პოზიციას ასაბუთებენ მით, რომ შეუძლებელია ერთა ლიგაში გერმანიის შესვლის წინააღმდეგ ხმის მიცემა და აგრეთვე ლონდონის ინტერნაციონალის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ წასვლა.

შეთანხმების მიღება უზრუნველყოფილია

ბერლინი, 22 ნოემბერი. შეიძლება უზრუნველყოფილად ჩაითვალოს ლოკარნოს ხელშეკრულების მიღება რეიხსტაგის უმრავლესობის მიერ წინააღმდეგ კომუნისტების, ნაციონალისტების და ტევტონელების ხმებისა.

სოციალ-დემოკრატების რეზოლიუცია

ბერლინი, 22 ნოემბერი. რეიხსტაგის სოციალ - დემოკრატიული ფრაქციის სხდომამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ სოციალ-დემოკრატები, თანახმად მათ მიერ წინად წარმოდგენილ მოთხოვნილებებისა, ხმას მისცემენ გერმანიის შესვლას ერთა ლიგაში. ამ მიზნის მისაღწევათ ისინი ხმას მისცემენ აგრეთვე ლოკარნოში დადებულ იმ ხელშეკრულებათა რატიფიკაციას, რომელთა მთავარი შინაარსი შეეფერება საგარეო პოლიტიკის ხაზს, რომელსაც იცავენ სოციალ-დემოკრატები.

გერმანელი სოციალ-დემოკრატები აცხადებენ, რომ ამ საკითხში ისინი მოქმედობენ ამსტერდამის ინტერნაციონალის ლონდონის რეზოლიუციის თანახმად.

ლიუტერი გადადგომას აპირებს

ბერლინი, 22 ნოემბ. რეიხსკანცლერმა ლიუტერმა მიიღო სოციალ-დემოკრატების, დემოკრატების და მმართველ პარტიების წარმომადგენლები.

„ფორვერტს"-ის ცნობით, ლიუტერმა აცნობა პარტიების წარმომადგენლებს, რომ მთავრობა გადადგება როგორც კი საბოლოოდ ხელს მოაწერენ ლოკარნოს ხელშეკრულებას.

კომუნისტების რეზოლიუცია

ბერლინი, 22 ნოემ. რეიხსტაგში ლოკარნოს ხელშეკრულებისათვის კენჭის ყრასთან დაკავშირებით, კომუნისტურ ფრაქციას განზრახული აქვს შეიტანოს მთავრობისადმი უნდობლობის რეზოლიუცია, რითაც საბოლოოდ გამოირკვევა ყველა პარტიების დამოკიდებულება ლიუტერის კაბინეტისადმი.

ამასთან ერთად კომუნისტური ფრაქცია მოითხოვს, რომ სხდომებზე დაუშვან 7 კომუნისტი დეპუტატი, რომლებიც გამორიცხული იყვნენ 20 სხდომიდან იმ კამათის დროს, რომელიც სწარმოებდა აგვისტოში რეიხსტაგში საბაჟო ტარიფების საკითხის გარშემო.

საქმიანი წრეები

ბერლინი, 22 ნოემბ. გერმანიის საქმიან წრეების სამისმა ცნობილმა წარმომადგენელმა, სხვადასხვა პარტიულ შემადგენლობისამ, გამოუშვა მოწოდება ლოკარნოს ხელშეკრულობის დამტკიცების სასარგებლოთ.

ბერლინი, 22 ნოემბ. გერმანიის სახალხო პარტიის აღმასკომის სხდომაზე, რომელსაც მეთაურობს საგარეო საქმეთა მინისტრი შტრეზემანი, ერთხმად მიღებულია რეზოლიუცია, სადაც ნათქვამია: პარტიას გადაწყვეტილი აქვს, ერთსულოვნათ დაიცავს ლოკარნოს ხელშეკრულება და მოითხოვს, რომ გერმანიამ განაგრძოს თავისი საგარეო პოლიტიკა იმავე გზით, რომელიც გამოიმუშავა ლოკარნოს ხელშეკრულების შემდეგ.

თეთრი ტერორი

ბერლინი, 22 ნოემბ. რეისტაგის სხდომაზე თავმჯდომარის მოვალეობის აღმასრულებელმა ლებემ წაიკითხა შინაგან საქმეთა მინისტრის წინადადება კომუნისტ დეპუტატების ჰეკერტის, გერილეს, კენენის, რემელეს და შტეკერის დაპატიმრების შესახებ. კომუნისტ დეპუტატებს ბრალად ედებათ სახელმწიფოს ღალატი.

შინაგან საქმეთა მინისტრის წინადადება გადაეცა განსახილველად შინაური წესრიგის კომისიას.

რა ხდება ინგლისში

„თავდაცვის ფონდი"

ლონდონი, 23 ნოემბერი. ლენსბერიმ, ბრომლეიმ კემპბელმა, საკლატვალამ, ვილკენსონმა და მუშათა პარტიის სხვა წარმომადგენლებმა პარლამენტში დაადგინეს სთხოვონ მუშათა პარტიის აღმასრულებელ კომიტეტს და პროფკავშირების გენერალურ საბჭოს აიღონ თავის თავზე კონტროლი „თავდაცვის ფონდზე" რომელიც შეგროვილია კომუნისტების პროცესთან დაკავშირებით, და განაგრძობს აგიტაცია სიტყვის თავისუფლებისათვის.

ერთიანი ფრონტი და დამოუკ. მუშათა პარტია

ლონდონი, 22 ნოემბერი. კომუნისტური პარტიის ორგანომ „უორკერს უიკლიმ" გამოაქვეყნა მიწერ მოწერა კომპარტიასა და დამოუკიდებელ მუშათა პარტიის ორი მთლიანი ფრონტის შექმნის შესახებ ბრძოლაში საარსებო მინიმუმის, მაღაროების ნაციონალიზაციისა და მუშების თავდაცვის შესახებ. დამოუკიდებელმა მუშათა პარტიამ უარჰყო კომპარტიის წინადადება: მიზეზად დაასახელა ორივე პარტიის მეთოდების განსხვავება თუმცა აღნიშნა, რომ არსებითად ის სავსებით ეთანხმება კომარტიის მიერ წამოყენებული ამოცანებს.

დამოუკიდებელი მუშათა პარტიის მრავალი ადგილობრივი ორგანიზაციები გამოვიდენ თავისი ინიციატივით წინადადებით ერთიანი ფრონტის შესახებ.

ყუმბარის აფეთქება დუბლინში

ლონდონი, 22 ნოემბ. რეიტერის ცნობით დუბლინში (ირლანდია) აფეთქებულმა ყუმბარამ სრულიად დაანგრია კინემატოგრაფი, რომელშიაც აჩვენებდენ ინგლისურ ფილმის „იპრი იმპერიალისტური ომის ისტორიაში". მოკლულია ორი პოლიციელი, რომლებმაც სცადეს ხელი შეეშალათ ყუმბარის მსროლელთათვის, მესამე დაჭრილია მძიმედ. ახლობელ მაღაზიებში ჩაიმტვრა ფანჯრების მინა.

რამდენიმე დღის წინად შეიარაღებულმა რესპუბლიკანელებმა გაიტაცეს ამ კინემატოგრაფში დასახელებული ფილმის ერთი ცალი, მაგრამ კინოს პატრონმა იშოვა მეორე

„ხიდის გადება უფსკრულზე".

ლონდონი, 22 ნოემბ. ცნობილი ინგლისელი მრეწველი მაროლდ ბოუდენ მოითხოვს შობის დღესასწაულის დროს მოწვეულ იქნეს მის ხარჯზე კონფერენცია, რომელზედაც მონაწილეობას მიიღებს 7 წარმომადგენელი მწარმოებლებისაგან და 7—მუშათა ლიდერებისაგან. ბოუდენის აზრით, კონფერენცია შესძლებს გამოიმუშაოს „შემარიგებელი ფორმულები" ინგლისის მწარმოებლებსა და მუშებს შორის.

„დეილი ჰერალდ", თუმცა ესალმება ბოუდენის წინადადებას, მაგრამ აღნიშნავს, რომ **ვერავითარი ფორმულა ვერ გახდება ხიდს იმ უფსკრულზე, რომელიც აშორებს ერთი მეორესაგან ამ ჯგუფებს.**

ინგლისის პროფკავშირთა კონგრესის მდივნის მოადგილე სიტრინს საეჭვოდ მიაჩნია, რომ მუშათა ლიდერების რომელიმე ჯგუფმა იკისროს ინიციატივა და პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებათათვის მრეწველობასთან მშვიდობიანი დამოკიდებულების დამყარების შესახებ იმ გზით, რომელსაც იცავს ბოუდენი

ინგლისელ კომუნისტების პროცესი

ლონდონი, 22 ნოემბ. ინგლისელ კომუნისტების პროცესზე ლონდონში კომპარტიის მდივანმა პოლიტმა განაცხადა:

„კომუნიზმის თეორია არ არის „რუს ბოლშევიკების" მუშაობის შედეგი, არამედ ის ემყარება ხანგრძლივ ისტორიულ პროცესს. კომუნისტური პარტიის მუშაობის საფუძველი— ეს არის მითითება მუშებისათვის იმაზე, რომ კაპიტალისტურ სისტემას არ შეუძლია და არ სურს უზრუნველყოს ფართო მასებისათვის არსებობის შესაფერი პირობები. კომუნისტური პარტიის უარყოფითი დამოკიდებულება ომისადმი სავსებით ნათელია. თუ წარმოიშვა იმპერიალისტური ომი, კომპარტია ეტყვის მუშათა მასებს: „უარი სთქვით ბრძოლაზე!" ლაპარაკი განიარაღებაზე და პაციფიზმზე კაპიტალისტური სისტემის ბატონობის დროს, ეს ნიშნავს მუშათა მასების შეცდომაში შეყვანას. როცა ჯარებს უბრძანებენ ესროლონ თავის გაფიცულ ძმებს, ჩვენ ვეუბნებით ჯარისკაცებს: „ნუ ესვრით მუშებს".

პოლიტი აცხადებს, რომ ის კომუნისტი გახდა არა ლენინის და ტროცკის ნაწერების კითხვით, არამედ მისი ცხოვრების პირობების გამო.

მეორე ბრალდებულის კემპბელის სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

სასამართლოს შემდეგი სხდომა შესდგება ორშაბათს.

იმპერიალისტების წინააღმდეგ

აჯანყება სირიაში

პარიზი, 22 ნოემბერი. „იუმანიტე" იღებს სირიიდან აუარებელ წერილებს, რომლებიც ადასტურებენ, რომ მთელ სირიას აჯანყება მოედო.

ბრძოლა ალჟირისათვის

ლონდონი, 22 ნოემბერი. მაროკოდან მიღებული ცნობით რიფეში ცდილობენ დაიბრუნონ უკან თავისი სატახტო ქალაქი ალჟირი, რომელიც ორი თვის წინად ესპანეთის ჯარებმა დაიკავეს.

მდგომარეობა ჩინეთში

ოქტომბრის რევოლიუციის მე-8 წლის თავი კანტონში

პეკინი, 22 ნოემბ. ოქტომბრის რევოლიუციის 8 წლის თავზე კანტონში 70.000 კაცი დაესწრო გუანდუნის უნივერსიტეტის საძირკვლის ჩაყრას. გამოვიდენ ორატორები: კომპარტიის, მუშათა ცენტრალურ კავშირის, გომინდანის პარტიის, ახალგაზრდა მეომართა ასოციაციის, გლეხთა ახალგაზრდობის და სხვ. სახელით.

ორატორები ლაპარაკობდენ რუსეთის რევოლიუციაზე და აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხთა ბრძოლაზე.

მიტინგის შემდეგ გაიმართა მასიური დემონსტრაცია.

შეთანხმების მიღწევა

პეკინი, 22 ნოემბ. ჩინეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ სუნ-ჩუან-ფანსა და სახალხო არმიებს შორის მიღწეულია შეთანხმება ჩჟან-ძო-ლინის და უ-პეი-ფუს წინააღმდეგ გაერთიანებული გამოსვლების შესახებ.

ამერიკელების სიმხეცე

პეკინი, 22 ნოემბ. ამას წინად ამერიკის გემმა ჩაძირა რამდენიმე ჩინური გემი, რომელსაც გადაჰყავდათ ჩინელი ჯარისკაცები იან-ძეკიანგის მდინარეზე,—ამასთანავე გემის კომანდა თოფს უშენდა წყალში ჩაყრილ ჩინელ ჯარისკაცებს. ბევრია დაჭრილი და დახოცილი. ჩინეთის ხელისუფლებამ დაატყვევა გემი და მოითხოვა კომპენსაცია ამერიკის მთავრობისაგან.

ჩინეთის გარეშე საქმეთა სამინისტრომ ამერიკის საელჩოს გადასცა პროტესტი მომხდარ ინცინდენტის გამო.

რუმინეთის მთავრობის ჭორები

ვენა, 22 ნოემბ. რუმინეთში ჩამოსულმა ჰანრი ბარბიუსმა მთავრობისაგან მოითხოვა, რომ მას მიეცეს გადასათვალიერებლათ საბუთები როგორც ბესარაბიელ გლეხთა პროცესის შესახებ, ისე „ოხრანკის" მიერ მუშების დევნისა და მათ ჟლეტის შესახებ, რასაც შედეგათ მოყვა სამხედრო სასამართლოების განაჩენებს.

თავის მხრივ რუმინეთის გაზეთები, ალბათ ოფიციალურ წრეების შთაგონებით, იუწყებიან, რომ მთავრობამ ბარბიუს გადასცა ყველა საბუთები, ვითომდა „ბოლშევიკურ ბანდების" დაცემის შესახებ რუმინეთის ტერიტორიაზე. აგრეთვე ბოლშევიკურ პროპაგანდისა, ხიდების აფეთქებისა, რუმინეთის „ოხრანკაზე", ჟანდარმერიაზე და სანაპირო რაზმებზე დაცემის შესახებ. აგრეთვე გადაცემულია სია, ვითომდა, ბესარაბიაში დახოცილ ჟანდარმებისა.

გაზ. „ლუპტას" ცნობით რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დუკამ განუცხადა ბარბიუსს შემდეგი: თუმცა რუმინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ომი არ სწარმოებს, მაგრამ მიუხედავათ ამისა საბჭოთა უკრაინის სამხედრო რაზმები ხშირათ ეცემიან რუმინეთის ტერიტორიას.

„ოხრანკის" ორგანო „უნივერსელის" სიტყვით საგანგებო წესები მოხსნილ იქნება ბესარაბიაში მხოლოდ მას შემდეგ, როცა უკანონო გამოსვლებით აღარ იქნება დარღვეული საზოგადო მყუდროება.

პოლონეთის ახალი მთავრობა

სკშინსკის კაბინეტი

ვარშავა, 22 ნოემბერი. რესპუბლიკის პრეზიდენტმა დაამტკიცა კაბინეტის შემდეგი შემადგენლობა: პრემიერი და გარეშე საქმეთა მინისტრი—სკშინსკი; შინაგან საქმეთა მინისტრი—რაჩკევიჩი; ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი—ოხეცკი, პიასტოველი; სახალხო განათლების მინისტრი—სტანისლავ გრაბსკი; მიწად-მოქმედების მინისტრი—პონიატოვსკი (ვიზვოლენიეცი); მიწის რეფორმების მინისტრი—რადზანი (პიასტოველი); ფინანსთა მინისტრი—ზდეხოვსკი (სახალხო ნაციონალური კავშირის წევრი); საზოგადო სამუშაოების მინისტრი—მორაჩევსკი; გზათა მინისტრი—ხოდზინსკი (ნაციონალ-მუშათა პარტიის წევრი).

სამხედრო მინისტრის პოსტი ჯერ თავისუფალია. სამინისტროს საქმეთა დროებით მმართველად დანიშნულია გენერალი მალჩკი.

პარტიების კოალიცია

ვარშავა, 22 ნოემბერი. „ვიზვოლენიეცების" ჯგუფმა უკანასკნელ წუთში უარი განაცხადა პოლონეთის პარტიების კოალიციურ მთავრობაში შესვლაზე. კოალიციაში შედიან, ნაციონალური კავშირი, პიასტები, ქრისტიან-დემოკრატები და ნაციონალური მუშათა პარტია.

ფეიქართა გაფიცვა მექსიკაში

ნიუ-იორკი, 22 ნოემბ. მექსიკიდან მიღებული ცნობით, მთავრობის ჯარები შრომის კონფედერაციის დახმარებით სცდილობენ ჩაშალონ შრომის სინდიკალისტურ კონფედერაციის მიერ გამოცხადებული გაფიცვა საფეიქრო ფაბრიკებში. სხვა სინდიკალისტურ კავშირებს განზრახული აქვთ მომავალ კვირას გამოაცხადონ გაფიცვა ნიშნად თანაგრძნობისა გაფიცულ ფეიქრებისადმი. გაფიცულები უარს ამბობენ მთავრობის საარბიტრაჟო კომისიის გადაწყვეტილებათა მიღებაზე.

ახალგაზრდობის კომინტერნის ექვსი წლის თავი

მოსკოვი, 23 ნოემბ. 23 ნოემბერს სრულდება 6 წელიწადი ახალგაზრდობის კომინტერნის კონგრესის მოწვევის დღიდან.

ამ ჟამად ახალგ. კომინტერნის რიგებში ირიცხება 60 კავშირი და 1.700.000 წევრი.

რემედასის ალმასკომის მილოცვა

მოსკოვი, 23 ნოემბ. ახალგაზრდობის კომინტერნის არსებობის მეექვსე წლისთავის აღსანიშნავად რემედასის ალმასკომმა ახ. კომინტერნს მიმართა მილოცვით, რომლითაც რევოლიუციონურ ახალგაზრდობას მოუწოდებს ისევ ძველებურათ განაგრძოს დაუცხრომელი ბრძოლა ძალმომრეობისა და უსამართლობის წინააღმდეგ.

რა ხდება უცხოეთში

გერმანიის სოც.-დემ. პარტიის სოციალური შემადგენლობა

1914 წ. გერმანიის ს.-დ. პარტიას ყავდა 1.086.000 წევრი. 1920 წ. ეს ციფრი გაიზარდა 1.221.000, 1922 წ. კი დამოუკიდებელ ს.-დ. პარტიასთან გაერთიანების შემდეგ — 1.350.000-დი. შემდეგ წევრების რიცხვი სწრაფად კლებულობს. 1925 წ. პირველი მაისისათვის ოფიციალური ანგარიშის თანახმად, წევრების რიცხვი 844,000 უდრიდა. ეს ამტკიცებს იმას, რომ პარტიის მოღალატური პოლიტიკით იმედგაცრუებული მუშათა მასა თანდათანობით ეცლება მას.

ოფიციალური ანგარიშის თანახმად 300 კაცს უჭირავს ჯამაგირიანი ადგილი პარტიის პრეზიდიუმის (ც. კ.) წევრების, მდივნების, ოფიციალური ორგანოების რედაქტორების, აგიტატორების და სხვ სახით, ამას უნდა მიემატოს 900 კაცი, რომლებსაც უჭირავთ ხელმძღვანელი თანამდებობები პარტიულ ორგანოებში, სტამბებში, გამომცემლობებში და სხვ. ამრიგად პარტიაში 1200 პარტიული მოხელეა; თუ ამ რიცხვს მიუმატებთ პარტიულ ორგანიზაციებში მომუშავე ტეხნიკურ პერსონალსა და მოსამსახურეებს, პარტიულ მოხელეთა რიცხვი 4000-დი გაიზრდება.

პარტიულ მოხელეთ ამ კადრს უნდა მიუმატოთ პროფკავშირებში მომუშავე სოც.-დემოკრატი მოხელეები, რომელთა რიცხვი 7000-დი აღწევს. ამ რიცხვს უნდა მიემატოს აგრეთვე კოოპერატივებში და სხვა ორგანიზაბში ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავე ს.-დ. რიცხვი, რომელიც 13.000-დი აღწევს. შემდეგ კიდევ დამზღვევ სალაროებში და სოციალური დაზღვევის ორგანოებში მომუშავეთა რიცხვი. ასეთია ს.-დემოკრატიულ პარტიის წევრთა პირველი კატეგორია.

მეორე კატეგორიაში შედიან სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც მუშაობენ პარლამენტში და სახელმწიფო დაწესებულებებში. სოციალ-დემოკრატიას ყავს 602 დეპუტატი რეიხსტაგში და ლანდტაგებში (ადგილობრივ პარლამენტებში), 430 დეპუტატი პროვინციალურ საკრებულოებში, 3218 წევრი საოლქო საერობო თვითმართველობებში, 6503 ხმოსანი ქალაქის საბჭოებში, 40.947 ხმოსანი სათემო საბჭოებში. რაც შეეხება სოც.-დემოკრატების უშუალო მონაწილეობას მთავრობაში, პარტიას ჰყავს 2 მინისტრი პრუსიაში, 4 საქსონიაში, ერთი—ბადენში, ერთი—გესენში, თითო-თითო—ანგალტში და ლიპეში. პარტიას ჰყავს 7 სენატორი ჰამბურგში და ლიუბეკში.

შემდეგ, პრუსიაში 95 ს.-დ. უჭირავს უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობა, საქსონიაში—37-ს, ამას უნდა დაემატოს 45 ელჩი და კონსული სახელმწიფო მოსამართლეები და სხვა პირები, რომლებსაც მაღალი თანამდებობები უჭირავთ ადმინისტრატიულ დაწესებულებებში. დაბოლო', მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მრავალი ყოფ. მინისტრები და სხვა პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებიც პენსიას იღებენ, აგრეთვე 1500 ქალაქისთავი, ქალაქის მრჩევლები და ქალაქის საბჭოების პრეზიდიუმების 2890 წევრი.

ამრიგათ, სახელმწიფო, პარტიულ და პროფკავშირების აპარატში მუშაობს 50,000 სოციალ-დემოკრატი. ამათი, თითქმის უმრავლესობა მუშათა წრიდან არის გამოსული, მაგრამ მთელი ათეული წლების განმავლობაში ისინი მოწყვეტილი არიან მუშათა მასას. მათი მატერიალური მდგომარეობა ბევრათ უკეთესია ვიდრე ყველაზე საუკეთესო პირობებში მყოფ მუშათა ნაწილის, უმაღლეს თანამდებობაზე მყოფ სოციალ-დემოკრატების მდგომარეობა კი თითქმის არ განირჩევა ბურჟუების მატერიალური მდგომარეობიდან. თავისთავად ცხადია, რომ მდგომარეობის დამიხედვით სათანადოთ იცვლება პარტიულ ზედაფენების მსოფლმხედველობაც, იცვლება მათი კლასობრივი ფსიქოლოგიაც.

როგორ არის განაწილებული თვით პარტიული მასა თავისი სოციალური მდგომარეობის მიხედვით?

ომის შემდეგ წვრილი ბურჟუაზიის ფართე ფენები ოპოზიციაში ჩაუდგენ ძველ წყობილებას და სოციალ დემოკრატიული პარტია, რომელმაც ხელი აიღო კლასობრივ ბრძოლაზე შეიქნა მათი თავშესაფარი. პარტიაში წვრილბურჟუაზიულ წევრების რიცხვი ძლიერ დიდია. პარტიაში ირიცხება 30000 ინტელიგენტი—იურისტები, ექიმები, მეცნიერები, სტუდენტები, ლიტერატორები და სხვ. შემდეგ, 100000 კაცი—წვრილი სამრეწველოების პატრონები და სხვ., გარდა ამისა პარტიაში შედის 70.000 წევრი მოსამსახურეთა და მოხელეთა პროფკავშირის და 100000 მოსამსახურე ტეხნიკურ და სავაჭრო დაწესებულებების, სულ 70,000 მოხელე და მოსამსახურე. პარტიაში წვრილი ბურჟუაზიული მასა შეადგენს 350,000 წევრს, ნამდვილ პროლეტარების რიცხვი უდრის 500.000.

სამრეწველო პროლეტარიატის რიცხვი კი გერმანიაში 17.000.000 უდრის. აქედან ნათელია თუ როგორ „ინდობა" გერმანიის მუშათა კლასი სოც.-დემოკრატიულ პარტიას.

ზემო-სვანეთის ხალხს

ამხანაგებო და ძმებო, დედებო და დებო, მოხუცნო და ახალგაზრდებო!

უპირველეს ყოვლისა მხურვალედ და გულწრფელად მოგესალმებით ყველას, მთელი ზემო-სვანეთის ხალხს.

ჯერ კიდევ ჩემ თვალწინ მიდგას სვანეთის მაღალი ქედები და ყინულიანი მთები და იმათ შუა მომწყვდეული თქვენი სოფლები და კარმიდამოები. ჯერ კიდევ ცოცხლად ვხედავთ თქვენ მომხიბლავ მოგებებას და შეხვედრას, თქვენ მხურვალე მოსალმებას; მე დღესაც ყურში მესმის თქვენი მშვენიერი სიტყვა-პასუხი, თქვენი დალაგებული მსჯელობა. თქვენმა შეხვედრამ, თქვენმა მოხდენილმა სიტყვა-პასუხმა ჩემზე მეტად ღრმა შთაბეჭდილება დასტოვა და ეს ჩემთვის დაუვიწყარი იქნება სანამ ცოცხალი ვიქნები.

ამხანაგებო, ჩემთან გამოცხადდენ თქვენგან გამოგზავნილი ორი ამხანაგი —დავით ჩარქსელიანი და შავხან გაბულდანი —თქვენი რწმუნებულები და დელეგატები, რომელთაც თქვენ დაავალეთ მთავრობის პასუხის მოტანა იმ კითხვებზე, რომლებიც თქვენ გაინტერესებთ და არ შეიძლება არ გაინტერესებდეთ.

პირველი საკითხი ეხება იმას, თუ სად უნდა დარჩეს ზემო სვანეთის სამაზრო ცენტრი. მე მოგახსენებთ მთავრობის დადგენილებას ამის შესახებ: **ამ დადგენილებით ზემო-სვანეთის სამაზრო ცენტრი რჩება მესტიაში.** ეს იმას არ ნიშნავს, რომ მთავრობა ვითომ ივიწყებს ბეჩოს ან ზემო-სვანეთის დასავლეთ ნაწილს (წინანდელ სადადეშქელიანო სვანეთს); სრულებითაც არა. ბეჩოს დიდი მომავალი აქვს. იქ არის და დარჩება სახელოსნო სასწავლებელი, შვიდწლედი, საავადმყოფო, კერამიკული ქარხანა, სასამართლო და თუ უკვე გახსნილი არ არის უნდა გაიხსნას საჩქაროდ კოოპერატივი, როგორც კი გზა შემოვა სვანეთში, მაშინვე ბეჩოს მიდამოებში გაკეთდება კურორტი, ანუ სამკურნალო დაწესებულება. ამნაირად თავის თავად და სრულიად უმტკივნეულოდ გადაწყდება სამაზრო ცენტრის საკითხი. უნდა იცოდეთ, რომ ეს, მთელი ზემო სვანეთის ეკონომიური და კულტურული განვითარების საკითხია. ამიტომ მთელი სვანეთის ხალხი, დიდი თუ პატარა, ქალი—და კაცი, სავსებით უნდა დაეყრდნოს მთავრობის გადაწყვეტილებას და შესწყვიტოს ამიერიდან ყოველი უთანხმოება და დავა ამის შესახებ თავიანთ შორის. ეს არაა დღეს თავსამტვრევი საკითხი ზემო-სვანეთის ხალხისათვის. სვანეთს დღეს აქვს გადასაჭრელად საკითხები სულ სხვა საჭიროებებზე. გზა, კულტურა, სწავლა-განათლება და სხვადასხვა წარმოების გაძლიერება. მთავრობა, როგორც თქვენ იცით, უკვე შეუდგა ყველა ამის მოგვარებას და იმედოვნებს თქვენი მონაწილეობით და დახმარებით თავის დავალებებს შეასრულებს სვანეთის ხალხის წინაშე.

მეორე საკითხი არის გზა, თუ რომელი მიმართულებით გაკეთდება ის. რადგანაც ეს საკითხი იწვევდა დავას სვანეთში, მე დაბრუნებისთანავე გამოვგზავნე სვანეთში კიდევ მეორე კომისია, ინჟენერებისაგან შემდგარი. ამ კომისიამ შემოიარა ყველა ის ადგილები, სადაც შესაძლებელია გზის გაყვანა და თავისი დასკვნები მოახსენა მთავრობას. მთავრობას აქვს გადაწყვეტილება, რომ პირველ რიგში უნდა გაკეთდეს გზა ჯვარიდან მესტიამდე და შემდეგ გაგრძელდეს უშკულამდე. ეს იქნება ყოველი მხრით უფრო მიზანშეწონილი. როცა ეს პირველი გზა გაკეთდება, შემდეგ შესაძლებელი იქნება სხვა გზებზედაც ვიზრუნოთ.

ასეთია მთავრობის გადაწყვეტილება და აზრი. იგი დარწმუნებულია იმაში, რომ მთელი ზემო-სვანეთის ხალხი ერთსულოვნად შეუერთდება ამ გადაწყვეტილებას და მთავრობას ამოუდგება გვერდში ყველა ამის განხორციელების საქმეში.

ვუსურვებ მთელ ზემო-სვანეთის ხალხს გამარჯვებას, წარმატებას და კეთილდღეობას.

ვისურვებ, რომ ჩქარა დაეღწიოს მას თავი დღევანდელი გაჭირვებული მდგომარეობიდან.

გაუმარჯოს სვანეთის გლეხკაცობას!

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე

ფ. მახარაძე.

ჟარიბი

საბჭოთა საქართველო და მენშევიკური ემიგრაცია *)

ეს წიგნი შეიცავს იმ წერილებს, რომლებიც იბეჭდებოდენ „კომუნისტში" აპრილის, მაისის და ივნისის განმავლობაში.

მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა როგორც საბჭოთა ფედერაციის მასშტაბში ისე პატარა, საქართველოს ცხოვრებაშიც. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ გვაქვს მრავალი მიღწევანი როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიურ დარგში.

მაგრამ ყველა ამ მიღწევათა შორის არა უკანასკნელია ის, რომ ევროპაში სავსებით იფანტება ბურუსი, რომელშიაც გაჰხვია ევროპის პროლეტარიატი ჟორდანიას „მთავრობამ" და მისმა უმაღლესმა მფარველებმა.

ამ შემთხვევაში, ე. ი. ამ ბურუსის გაფანტვაში, უდიდესი როლი ითამაშეს მთელი ევროპის მუშების იმ მრავალრიცხოვანმა დელეგაციებმა, რომლებმაც უკანასკნელ თვეებში ინახულეს საბჭოთა ფედერაცია, შეისწავლეს იგი ადგილზე და გაიცნეს უკანასკნელ წლების მიღწევანი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ყველა ფრონტებზე.

სამშობლოში დაბრუნებისას ამ დელეგაციებმა უკვე უამბეს თავიანთ ამხანაგებს მთელი სიმართლე როგორც საბჭოთა კავშირის, ისე კერძოთ საბჭოთა საქართველოს შესახებაც.

ევროპის პროლეტარიატს ეხლა უკვე სრული წარმოდგენა აქვს საბჭოთა ფედერაციაზე. ამან გამოაფხიზლა ევროპის პროლეტარული მასები, რომელთა ზეგავლენითაც ცოტა სხვანაირათ ალაპარაკდენ მეორე ინტერნაციონალის ბელადებიც.

განა დამახასიათებელი არ არის ჩვენი დროისთვის, რომ მარსელში მომხდარი მეორე ინტერნაციონალის კონგრესი იღებს შემდეგ რეზოლიუციას:

„მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალი ხელახლა და გადაჭრით აცხადებს, რომ ყველა დიდ სახელმწიფოების და აგრეთვე სანაპირო სახელმწიფოების სოციალისტურ პარტიების მოვალეობას შეადგენს, სასტიკათ ებრძოლონ ყოველგვარ აგრესიულ პოლიტიკას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და მოითხოვონ მშვიდობიანი და ნორმალური პოლიტიკურ-ეკონომიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან" („სოციალისტიჩესკი ვესტნიკ" № 17, 18, 28 სექტემბერი 1925 წ.).

მართალია, ეს ხდება ერთგვარი გრიმასებით, მაგრამ ამით ფაქტს სრულებითაც არ ეკარგება თავისი მნიშვნელობა. და ჩვენ ამას ვაქცევთ ყურადღებას იმდენად, რამდენადაც ეს დამახასიათებელია ევროპის პროლეტარულ მასების სულიერი განწყობილებისათვის.

* * *

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს საკმაოდ გამოაფხიზლებს ნ. ჟორდანიას „მთავრობას", რომელიც ემყარება მეორე ინტერნაციონალს. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს არა ნ. ჟორდანია და მისი „მთავრობა", არა ყოფილი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყოფილი გენერლები, არამედ მხოლოდ ქართული ემიგრაცია, ქართველ ემიგრანტთა მასები.

თავისი რაოდენობით, როგორც ამბობენ, ის არ აღემატება 2000 კაცს,—რუსეთის ემიგრაციასთან შედარებით, რომელშიაც თითქმის 5 მილიონამდე კაცი ითვლება,—ქართული ემიგრაცია თავისთავად არავისთვის, გარდა პატარა საქართველოსი, არავითარ ინტერესს არ წარმოადგენს.

მაგრამ ქართულ ემიგრაციის მნიშვნელობა სრულებითაც მის რაოდენობაზე არ არის დამოკიდებული. ევროპის ბურჟუაზიისათვის ის წარმოადგენს დიდ ღირებულებას არა მისი ხვედრითი წონით, არამედ სრულებით სხვა მიზეზებით.

პირველ ყოვლისა საქართველო, ისევე როგორც მთელი ამიერ-კავკასია, წარმოადგენს ისეთ ადგილს, რომელიც აერთებს ევროპას აზიასთან. ეს არის ერთად-ერთი ხმელეთის გზა ორ მატერიკს შორის და ევროპის კაპიტალისათვის, რომელიც ყოველმხრივ ცდილობს შემოჰკრას ჩამორჩენილი, მაგრამ მდიდარი აზიის ყველა კუთხეში, აუცილებელია ჰქონდეს ის თავის ხელში.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები თავისთავად დიდ ინტერესს არ წარმოადგენენ ევროპის კაპიტალისათვის. მას იზიდავს არა მარტო საქართველოს შავი-ქვა, ან ბაქოს ნავთი.

აქედან ცხადია, რომ სხვა პლიუსებს გარდა, ევროპის ბურჟუაზიისათვის დიდათ საინტერესოა ჰყავდეს თავის მსახურებად ისეთ საჭირო და მნიშვნელოვან რესპუბლიკების „წარმომადგენლები", როგორიც არის საქართველო, აზერბეიჯანი და სომხეთი.

მაგრამ ყველაზე მეტ ღირებულებას ევროპის ბურჟუაზიისათვის ქართული ემიგრაცია წარმოადგენს მით, რომ ის ევროპაში სარგებლობს „სოციალისტობის" რეპუტაციით და ამავე დროს აწარმოებს ბრძოლას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ეს კი ყველაფერია მსოფლიო ბურჟუაზიისათვის, რომელიც საბჭოთა ფედერაციის გამარჯვებაში ხედავს თავის აღსასრულს.

განა ხუმრობა საქმეა, ცნობილ სოციალისტების ორი ათასამდე გამოცდილი აგიტატორი, რომლებიც ყოველდღე ჩასძახიან ყურებში ევროპის პროლეტარიატს კომუნისტების „მხეცობის" შესახებ, იმის შესახებ, რომ კომუნისტები ყოველგვარი თავისუფლების და ცივილიზაციის მტრები არიანო, რომ ისინი არიან ხელისუფლების „უზურპატორები", რომლებმაც დაიმორჩილეს მუშათა და გლეხთა მასები „ჩეკას" შემწეობით.

უთანასწორო ბრძოლაში კაპიტალის წინააღმდეგ მთელი მსოფლიოს პროლეტარიატის ყურადღება ძალა-უნებურად მიპყრობილია მოსკოვისაკენ, რომელიც წარმოადგენს მექას ყველა ჭეშმარიტ სოციალისტისათვის, ერთად ერთ იმედს ყველა ჩაგრულ კლასთა და ხალხთათვის. ყველა ისინი ბრძოლაში კაპიტალის წინააღმდეგ, ბუნებრივია, იმედს უნდა ამყარებდენ თავის საბჭოთა ამხანაგებზე, ისინი უნდა ბაძავდენ მათ თავის შეუპოვარ ბრძოლაში იმპერიალიზმთან, სარგებლობდენ მათი გამოცდილებით, მათი მიღწევებით.

და აი ამ დროს მათთან მიდიან აგიტატორები, რომლებიც თავისთავს უწოდებენ სოციალისტებს და საბჭოთა კავშირის ერთი, თუმცა პატარა, მაგრამ მთელი მსოფლიოს ჩაგრულთა იდეალებისათვის მებრძოლის რეპუტაციის მქონე რესპუბლიკის წარმომადგენლებს და ახასიათებენ მათ წინაშე საბჭოთა ხელისუფლებას, როგორც „მოძალადეთა" ბატონობას, ხოლო ამ ხელისუფლების წარმომადგენლებს და გამტარებლებს უწოდებენ „მოძალადეებს", რომლებიც ცეცხლითა და მახვილით ახდევინებენ ხარკს ჩაგრულ ხალხს, რომლებიც სპობენ ყოველგვარ კულტურას და იმონებენ ხალხს ყოველგვარი საშინელებით.

ასეთ პირობებში ევროპის პროლეტარიატი უნებლიედ ჩაფიქრდება და იტყვის:

— თუ კომუნისტური მოსკოვი ჩვენ გვატყუებს, მაშ მეტი რაღა დაგვრჩენია ჩვენ, უნდა შევურიგდეთ მძიმე ხვედრს და უსიტყვოთ მოვითმინოთ ყოველგვარი შევიწროება კაპიტალის მხრივ.

მხოლოდ ასე შეუძლია იფიქროს ევროპის მუშას, როცა მას ესმის „სოციალისტებისაგან" ზემოდმოყვანილი სიტყვები „კომუნისტური მოსკოვის შესახებ.

ცხადია, ეს ანელებს მუშათა კლასის რევოლიუციონურ აღტკინებას, აჩლუნგებს მის კლასიურ შეგნებას, იძულებულს ხდის მას შეურიგდეს თავის აუტანელ მდგომარეობას, და მით წყალს უსხამს ბურჟუაზიის წისქვილზე.

ამრიგად, ქართული ემიგრაცია, მიუხედავად თავისი რიცხობრივი სიმცირისა, იმდენად, რამდენადაც მისი წევრები სარგებლობენ „სოციალისტობის" რეპუტაციით და აგიტაციას აწარმოებენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, წარმოადგენს ბურჟუაზიის ზნეობრივ გამართლებას და ამავე დროს ბანგავს ევროპის პროლეტარიატს.

აი მიზეზი იმისა, თუ დიდ ბურჟუაზიულ სახელმწიფოების მთავრობები რატომ ეპყრობიან ასე ნ. ჟორდანიას „მთავრობას", რომელსაც აქ, თვით საქართველოში, როცა ის იყო არა ბუტაფორული, არამედ ნამდვილი მთავრობა, არჩეული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ, ანტანტის წარმომადგენლები სრულებითაც არ აჩნევდენ და თუ აჩნევდენ, მხოლოდ იმისათვის, რომ ყოველი საბაბის დროს და ყოველგვარ საბაბის გარეშე ყური აეწიათ მისთვის დენიკინების, ვრანგელების და ერთიან შავრაზმულ რუსეთის სხვა აღმდგენელთა გულის მოსაგებად.

აი რატომ ნ. ჟორდანიას „მთავრობა", რომელიც არა მარტო აქ, საქართველოში, არამედ იქაც, ევროპის ემიგრაციაში, დარჩა უარმიოდ, როგორც შჩედრინის გენერლები უდაბურ კუნძულზე,—ეხლაც თამაშობს „მთავრობას", რომელიც წარმოადგენს საქართველოს და სარგებლობს ანტანტის სახელმწიფოების მთავრობათა თანაგრძნობით და კურთხევით.

ეს დიდი უბედურება არ არის, რომ სახელის მიმთვისებელი „მმართველებისათვის" არავის არ დაუვალებია წარმომადგენლობა. დეე თვით საქართველოში არც ერთმა ჩვენთაგანმა არ ჩასთვალოს ისინი ასეთებად. ეს სრულებითაც არ ამცირებს მათ მნიშვნელობას ევროპის ბურჟუაზიის თვალში, რადგან ასეთი ბუტაფორია ჯერ კიდევ გამოსადეგია მისთვის და ის მას არა თუ მოითმენს, არამედ გამოიყენებს მას იარაღად, ევროპის პროლეტარიატის წინააღმდეგ.

და ამიტომ პატივცემული ა. ი. ჩხენკელი ჯერ კიდევ ელის აუდენციაზე ვერსალის სასახლეში, სანამ ნ. ჟორდანიას „მთავრობასთან" იქნება საფრანგეთის წარმომადგენლად, როგორც საქართველოს საქმეთა მინისტრი, ჩვენთვის ყველასათვის კარგად ცნობილი მოჯალაბე შევალიე.

განა ეს სასაცილო ფარსი არ არის? განა ეს არ არის უმზგავსო ბუტაფორია, ხელისუფლების მასკარადი, რომელსაც თამაშობენ ევროპაში ქართველი ხალხის ხარჯზე?

როგორც ხჩანს საქართველოს ყოფილი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყოფილი გენერლები ძალიან გაიტაცა „საქართველოს მხსნელთა" როლმა.

* * *

მაგრამ რას აკეთებს, რა ნაბიჯებს სდგამს, რას ფიქრობს ქართველ ემიგრანტების მასა?

აი საკითხი, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს ამჟამად.

თუ დავუჯერებთ ევროპიდან ჩამოსულ მათ ამხანაგებს, ქართულ ემიგრაციას, ყოფილ პარტიულ გენერლების გამოკლებით, სურს სამშობლოში დაბრუნება; მან, ამ ემიგრაციამ, უკვე გადასინჯა თავისი პოლიტიკური წარსული და გადასწყვიტა დადგეს საბჭოთა პლატფორმაზე და მონაწილეობა მიიღოს რევოლიუციის ყველა მიღწევების განმტკიცებაში.

თუ ეს ასეა, რაღას უცდის ქართული ემიგრაცია? რატომ ის არ მიილტვის სამშობლოსაკენ, არ ჩქარობს ჩადგეს თავისი ყოფილი ამხანაგების რიგებში და მოახმაროს თავისი ძალები იმ ხალხს, რომელსაც ასე ესაჭიროება გამოცდილი და მისი ინტერესების ერთგულად დამცველი მუშაკები, ხოლო სწორედ ასეთები, ჩვენის აზრით იქნებიან ყოფილი ემიგრანტები, რომლებიც ასე დიდხანს გაიტანჯნენ უცხოეთში მშობლიურ ნიადაგს რამდენიმე წლით დაშორებით, ემიგრანტები, რომლებმაც ამ მრავალი წლის განმავლობაში შეიძინეს საკმაო გამოცდილება, რომლებიც აზრის დაჭიმული მუშაობის გზით მივიდენ მთელი თავისი პოლიტიკური წარსულის გადაფასებამდე.

არ გვგონია, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ხელი შეუშალოს ქართულ ემიგრაციას მისი ასეთი სურვილის განხორციელებაში *). პირიქით, საბჭოთა ხელისუფლება მოხარული უნდა იყოს ნახოს თავისი ყოფილი მტრები თავისი თანამშრომლობის, საბჭოთა მუშაკების, ამხანაგების რიგებში დიდი რევოლიუციის ყველა მონაპოვართა განმტკიცების საქმეში.

მაშასადამე, რაშია საქმე? რატომ აქამდე არ მოეღო ბოლო ყველა ამ ათასჯერ გადაღეჭილ ლაპარაკს ქართული ემიგრაციის თვითლიკვიდაციის შესახებ.

ძნელი საქმეა საერთოდ ხალხის ფსიქოლოგიის სწორად გაგება, განსაკუთრებით იმ ემიგრანტების ფსიქოლოგიის, რომლებიც მშობლიურ ნიადაგიდან მოწყვეტის გამო, არასოდეს არ არიან მტკიცე წონასწორობის მდგომარეობაში. მაგრამ ამ არა სასიამოვნო და საზიანო მოვლენის ერთი ახსნა მე ცოტად თუ ბევრად სწორად მიმაჩნია.

მე მგონია, რომ ქართულმა ემიგრაციამ თავის მასაში უკვე გადასინჯა მთელი თავისი პოლიტიკური წარსული და, დადგა რა საბჭოთა პლატფორმაზე, ის ფიქრობს სამშობლოში დაბრუნებას.

მაგრამ პოლიტიკური ემიგრანტი მეტად შეჩვეულია პოლიტიკურად ცხოვრებას, ის ჩვეულია ანგარიში გაუწიოს „უკანასკნელ პოლიტიკურ ამბებს". ყოველი ჭორი საბჭოთა ფედერაციის წინააღმდეგ, ყოველი დაცხიკვება ამა თუ იმ დიდი სახელმწიფო მინისტრისა საგონებელში აგდებს მას.

დაღლილი, იმედ გაცრუებული და თავის პოლიტიკური წარსულისადმი რწმენა დაკარგული ხალხი ვერ განთავისუფლდება იმ კოშმარისაგან, რომელშიაც ის ხუთი წლის განმავლობაში იმყოფებოდა. ეს წლები ხომ პოლიტიკური ემიგრანტისათვის, რომელსაც მშობლიური ნიადაგი ფეხ ქვეშ გამოსცლია, მთელ საუკუნეს უდრის. ამიტომ გასაკვირი არ არის თუ ყოველ ნაირი საგაზეთო ჭორი, ყოველგვარი მუქარა, რომელიმე ჯონსონ ხიკსისა გავლენას ახდენს ემიგრანტის ფსიხიკაზე.

— წავალ სამშობლოში, — ფიქრობს ემიგრანტი,—და შეუდგება თავის პატარა ბარგი-ბარხანის შეკვრას, მაგრამ სწორედ ამ დროს რომელიმე ბურჟუაზიული გაზეთის რედაქციიდან გამოიჭრება რადიოჭორი, იმავე მინისტრ ხიკსის კაბინეტიდან მას მოესმის უბადრუკი მუქარა საბჭოთა ფედერაციის მიმართ.

და პოლიტიკური ემიგრანტიც დაიწყებს რყევას, ის ხსნის ისევ თავის ჩემოდანს.

— ერთიც ვნახოთ და ეს მუქარა მართლა სისრულეში იქნა მოყვანილი. ვნახოთ და მთელმა ევროპამ ომი გამოუცხადა საბჭოთა კავშირს და დაამარცხა ის! რა გამოვა მაშინ? გამოვა ის, რომ ჩემი ორიენტაციის საგანი ყოფილა მითი, რომ მე პასუხისმგებლობას ვკისრულობ სხვების მაგიერ. ტყუილაუბრალოდ ხომ არ ვიწვალე ხუთი წელიწადი. დავბრუნდე სამშობლოში და ბოლოს იქ ისევ რამიშვილის ძალა-უფლება დამყარდეს! მაშინ? არა, სჯობს ცოტა კიდევ მოვიცადო!

ასე ფიქრობს პოლიტიკური ემიგრანტი და, ვინაიდან ჭორები საბჭოთა ფედერაციის მალე დაღუპვის შესახებ ყოველდღე ვრცელდება მთელ ქვეყანაზე ბურჟუაზიული გაზეთების მიერ, ხოლო ანტანტის მინისტრების გაფთრებული მუქარა მოსკოვის მიმართ უფრო და უფრო იზრდება „ახალ პოლიტიკურ ამბებზე" გაფაციცებით ყურდაგდებულ ემიგრანტს ყოველდღე უხდება თავისი გადაწყვეტილების გადადება და გუნების გამოცვლა, რის გამო გუშინდელი პოლიტიკური მებრძოლის მაგიერ გაოკვეული პოლიტიკური სახით, ჩვენ წინ სდგას პოლიტიკური ტიპი, რომელიც ძველისა და ახალის, გუშინდელისა და დღევანდელი დღის შუა ფართხალებს.

აი რა უშლის ხელს ჩვენს პოლიტიკურ ემიგრანტებს, ყოველ შემთხვევაში მათ, ვინაც უკვე მოასწრო თავისი პოლიტიკური წარსულის გასინჯვა და თითქოს გულწრფელად გადასწყვიტა საბჭოთა პლატფორმაზე დადგომა.

* * *

რას შეუძლია. შეუშალოს კიდევ მათ ხელი? დაუჯერებელი არა გვგონია, რომ ქართულ ემიგრაციას, ყოფილი ქართული სოციალ-დემოკრატიის ყოფილ წევრებს ხელს უშლიდეს თვით საქართველოს ორიენტაციის საკითხი.

ჩრდილოეთი თუ დასავლეთი?

ეს საკითხი უაღრესი მნიშვნელობის საკითხია, მაგრამ ის უკვე დიდიხანია გადასჭრა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ჩრდილოეთის სასარგებლოდ, ხოლო კიდევ უფრო ადრე გადასწყვიტა იგი თვითონ საქართველომ, რომელმაც საუკუნე ნახევრის წინეთ თავისი ნებით, სრულ ჭკუაზე მყოფმა, თავის სასიცოცხლო ინტერესების შეგნებით, რუსეთისაკენ იბრუნა პირი.

ყველას ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ საქართველოს სოც.-დემოკრატიულ პარტიას ვერც თავის თავი და ვერც საქართველო ვერ წარმოედგინა რუსეთის დემოკრატიის რუსეთის პროლეტარიატის, საერთოდ რუსეთის გარეშე. ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს, რომ საქართველოს სოც.-დემოკრატიული პარტია არა თუ არ ფიქრობდა რუსეთის სოც.-დემოკრატიული პარტიისაგან გამოყოფას, ის ყოველთვის უარს ამბობდა ეწოდებია თავის თავისათვის საქართველოს სოც.-დემოკრატიული პარტია. განა ფაქტი არ არის, რომ ყველა ჩვენი ამხანაგები, რომლებიც ბუნდიზმით დასნეულდენ და სცადეს საქართველოს სოც.-დემოკრატიულ პარტიაში ამ სულის შემოტანა, დაუყოვნებლივ იქნენ გამევებულნი ჩვენი პარტიიდან, როგორც ეს განსვენებულ ლადო დარჩიაშვილს დაემართა. საერთო რუსეთის ცენტრი! საერთო რუსეთის ფრონტი! აი როგორი იყო ჩვენი ლოზუნგები მანამდეც კი, სანამ ჩვენში შეგნებული მარქსისტული მოძრაობა დაიწყებოდა.

ნინოშვილმა და მისმა ჯგუფმა, რომელსაც ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა მარქსისა და მარქსიზმის შესახებ, განსაკუთრებით თავის მოღვაწეობის პირველ პერიოდში, არა თუ წამოაყენა ეს ლოზუნგები, არამედ ძალიან შორს მიდიოდა მათ დაცვაში; ისინი აცხადებდენ თავიანთ თავს რუსი სოციალისტე

---

*) ეს წერილი წარმოადგენს წინასიტყვაობას, რომელიც დართული აქვს ავტორის ახლად გამოსულ წიგნს.

რედ.

*) პირიქით მთავრობა ხელს უწყობს და შეუწყობს მომავალშიც ყველას, ვინც დადგება საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე, დაჰგმობს კონტრ-რევოლიუციონური ემიგრაციის გზას და მოისურვებს სამშობლოში დაბრუნებას. მაგალითისთვის აღვნიშნავთ მუშა-მენშევიკების ჯგუფის ჩამოსვლას გ. ალიხანიშვილის მეთაურობით. გარდა ამისა ჩვენის ცნობით, ახლო მომ ვალში ჩამოვლენ გენერალი მაზნიაშვილი, ჯაფარიძე, ალფ. ხელაძე და სხვები.

რედ.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

სამ. აკადემიის სამი წლის თავი

მოსკოვი, 23 ნოემბ. 23 ნოემბერს შესრულდა მუშ. და გლეხთა წითელ არმიის პროფ. ჟუკოვსკის სახელობის სამხედრო აკადემიის არსებობის სამი წელი.

ამხ. კრიჟანოვსკი საბჭოთა კავშირის საგეგ. კომისიის თავმჯდომარედ

მოსკოვი, 23 ნოემბ. საბჭოთა კავშირის სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა: გლებ მაქსიმეს ძე კრიჟანოვსკი დაინიშნოს საბჭოთა კავშირის საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ.

ამხ. კრასინის ავადმყოფობა

მოსკოვი, 23 ნოემბერი. უკანასკნელ დროს ამხ. კრასინს აღმოაჩნდა დიდი დაქანცულობის შედეგები, რაც გამოწვეულია გადაჭარბებული და ძლიერი მუშაობით მთელ რიგ წლეების განმავლობაში. გამოკვლევის შემდეგ აღმოჩენილია მნიშვნელოვანი სისხლ-ნაკლებობა და გულის სკლეროზი.

კრასინს წინადადება მიეცა, სამ კვირას კიდევ განაგრძოს ექიმობა მოსკოვში, რის შემდეგაც მას განზრახვა აქვს წავიდეს საზღვარგარეთ.

მაღალი ღირსების ცემენტი

სიმფეროპოლი, 23 ნოემბერი. ტრესტი „ნოვოროსიისკის ცემენტი“ შეუდგა კარადაგში ერთგვარი ვულკანური ქიშის ტრასის დამუშავებას, რომელიც პორტლანდის ცემენტთან შერეული იძლევა მაღალი ღირსების ცემენტს; ამ ცემენტზე ვერ ახდენს გავლენას ზღვის წყალი. ტრასი ითვლება იშვიათ ვულკანურ ქიშად, რომელიც მუშავდებოდა დღემდე მხოლოდ იაპონიაში და გერმანიაში.

ტრასის მარაგი კარადაგში მრავალ მილიონ ფუთად არის ნაანგარიშევი.

სამხ. რევ. საბჭოს წევრთა დამტკიცება

მოსკოვი, 23 ნოემბ. საბჭოთა კავშირის სახ. კომ. საბჭომ საკავშირო სამხ. რევ. საბჭოს წევრებათ დაამტკიცა შემდეგი ამხანაგები: **ბუბნოვი, ორჯონიკიძე, ზოფი, ბარანოვი, ბუდიონი, ეგოროვი, ტუხაჩევსკი და კამენევი.**

ქალაქი ვოროშილოვი

ლუგანსკი, 23 ნოემბ. ქ. ალჩევსკის მუშათა ორგანიზაციებმა გამოიტანეს დადგენილება, რომ ქალაქ ალჩევსკის ამიერიდან დაერქვას ვოროშილოვი. გადაწყვეტილია აგრეთვე, დიუმას ყოფ. ქარხანას დაერქვას ფრუნზეს ქარხანა. საოლქო ალმასკომმა მუშათა ეს შუამდგომლობა გადასცა გადასაწყვეტათ უკრაინის ცეკას.

ამხ. კალინინის დაბადებიდან 50 წ. შესრულების გამო

საზეიმო სხდომა

მოსკოვი, 23 ნოემბერი. 20 ნოემბერს კრემლში გაიმართა რ. კ. პ. უჯრედის, საბჭოთა კავშირის ცაკის და სრულიად რუსეთის ცაკის ადგილკომის საზეიმო სხდომა კალინინის 50 წლის უბილეს გამო.

კალინინის გამოსვლას ხანგრძლივი ტაშით შეხვდენ. კალინინმა სთქვა: „3 მომენტი, რომელსაც მე მინდოდა შევხებოდი, მდგომარეობს შემდეგში:

პირველყოვლისა ჩემი მუშაობის დროს მე ვსცდილობდი, რაც შეიძლება მეტი თავისუფლება და თაოსნობა მიმენიჭებია პარტიის თვითეული მუშაკისათვის დაწყებული შიკრიკიდან და გათავებული განყოფილების გამგით. ამასთან ერთად მუშაკებს ვეპყრობოდი სრული ნდობით. ინიციატივის და ნდობის გარეშე მუშაკი ბიუროკრატიული სულით იმსჭვალება და აღარ გრძნობს იმ პასუხისმგებლობას, რომელიც მას ეკისრება.

მეორე მომენტი: როდესაც ადამიანმა ჩაიდინა შეცდომა და შეწუხებულია თავისი შეცდომით, მე მას უწევ დახმარებას.

ბოლოს **მესამე** მდგომარეობს იმაში, რომ მე სრულიად დაუშვებლად მიმაჩნია პირადი სიმპატია—ანტიპატია მუშაობაში. მე ვფიქრობ მუშაობის წარმატება აიხსნება ამ სამი პირობით“.

ამხ. კალინინი მელითონეების ყრილობაზე

მოსკოვი, 23 ნოემბ. კალინინმა ინახულა მელითონეების სრულიად საკავშირო ყრილობა, სადაც მას შეხვდენ მქუხარე ტაშით.

კალინინს მიესალმენ მის დაბადებიდან 50 წლის შესრულების გამო ლენინგრადის, უკრაინის, ამიერ-კავკასიის, ურალის და მოსკოვის მელითონეთა წარმომადგენლები.

საპასუხო სიტყვაში კალინინმა სთქვა:

„ბევრ დარგებში ჩვენ დავეწიეთ და გავასწარით დასავლეთ ევროპას. მე ვფიქრობ, რომ დადგა დრო, როცა პრაქტიკულ ცოდნათა დარგში ჩვენ არ უნდა ჩამოვრჩეთ კაპიტალისტურ ქვეყნებს. ეს იქნება ჩვენთვის პირველი ეტაპი. ჩვენ უნდა ვიაროთ მომავალშიც წინ და უკან დავსტოვოთ კაპიტალისტური ქვეყნების მიღწევანი—ეს არის ერთ-ერთი უმთავრესი ჩვენი ამოცანა.

კალინინი ერთხმად იქნა არჩეული ყრილობის პრეზიდიუმის საპატიო წევრად.

ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის ცენტრალურ საბჭოს პლენუმი

მოსკოვი, 23 ნოემბ. 21 ნოემბერს ბეჭდვითი სიტყვის სახლში გაიხსნა ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა კავშირის ცენტრალური საბჭოს პლენუმის სხდომა. ინგულოვმა გააკეთა მოხსენება საბჭოთა კავშირის მწერლების მატერიალურ და უფლებრივ მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რ. კ. პ. ცეკას წერილის გამო მწერლების სულიერი განწყობილება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს მწერალთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება. მწერლების უმრავლესობა ამჯობინებს საბჭოთა სამსახურში, კოოპერაციაში,—კორექტორებათ ყოფნას, ვინაიდან მწერალთა შრომა ნაკლებად უზრუნველჰყოფს მას. დამახასიათებელია, რომ მწერალთა ბიუჯეტში გადასახადები და ბინა შეადგენს 43 პროც. ინგულოვი აღნიშნავს, რომ მწერალთა, პოეტების და კრიტიკოსების მდგომარეობის გაუმჯობესება შეადგენს უწინარეს ყოვლისა ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის ამოცანას.

მოჭადრაკეთა საერთაშორისო შეჯიბრება

მოსკოვი, 23 ნოემბერი. მოჭადრაკეთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე გრიუნფელდმა ძალიან მწვავედ ჩაატარა თავისი პარტია და აიძულა რაბინოვიჩი დანებებოდა მას მე-27 ტურზე. საინტერესო პარტია შესდგა რომანოვსკისა და ილინ-ჟენევსკის შორის. რომანოვსკიმ რამოდენიმე შემცდარი სვლით ხელიდან გაუშვა ინიციატივა, რითაც ისარგებლა ილინ-ჟენევსკიმ და აიძულა რომანოვსკი დანებებოდა მას მე-28 გადასვლაზე.

ლასკერ ბოგატირჩუკის პარტია დამთავრდა ბოგატირჩუკის დამარცხებით.

ზუბარევმა მოუგო მარშალს. წააგო აგრეთვე ლევენფიშმა, რომელიც თამაშობდა შავით შპილმანის წინააღმდეგ.

ძალიან მწვავე პარტია, რომელმაც დამსწრეების ყურადღება მიიპყრო, შესდგა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ბოგოლიუბოვისა და ახალგაზრდა მექსიკანელი მოთამაშე ტორეს შუა. მიუხედავად ტორეს ცდისა, რომ პარტია უშედეგოდ დამთავრებულიყო, მე-44 გადასვლაზე ის იძულებული შეიქნა დანებებოდა ბოგოლიუბოვს.

პარტია გოტგილფ—რეტი დამთავრდა რეტის გამარჯვებით.

გადადებულია პარტიები: კაპაბლანკა—ვერლინსკი, ვერლინსკისათვის ხელსაყრელ მდგომარეობაში, ზემიშ—დუზ-ხოტიმირსკი უკანასკნელისათვის წასაგებ პირობებში და ეიტს—რუბინშტეინ უშედეგო მდგომარეობაში.

ა. კ. ფედერაციაში

საქართველო

გლეხების თვითმოქმედება

ოზურგეთი, 23 ნოემბერი. დუაბზუს რაიონში სოფ. დვაბზუში გლეხების მიერ შეძენილია შკოლის შენობა 60 მოწაფისათვის.

მიწა-ტყის კავშირის სამაზრო კონფერენცია

ოზურგეთი, 23 ნოემბერი. ახლად გახსნილ მიწა-ტყის კავშირის სამაზრო კონფერენციას დაესწრო 40 დელეგატზე მეტი.

კონფერენციამ მოისმინა ტყის გამგის მოხსენება ოზურგეთის მაზრის ტყეების მდგომარეობის შესახებ. შემდეგ მოსმენილ იქნა მოხსენება კავშირის მუშაობის შესახებ.

მოხსენების შემდეგ მოხდა სრულიად საქართველოს მიწა-ტყის კავშირის ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატების არჩევა.

მზადება საბჭოების ხელახალი არჩევნებისათვის

თელავი, 23 ნოემბერი. სამაზრო ალმასკომმა დაგზავნა ყველა თემებში ინსტრუქტორები.

მაზრის ყველა 19 თემში დაწყებულია ამრჩეველთა სიების შედგენა. პრეზიდიუმის წევრები მიემგზავრებიან სოფლებში და აკეთებენ მოხსენებას თავიანთი მუშაობის შესახებ.

მუცლის ტიფის ეპიდემია.

თელავი, 23 ნოემბერი. ქალაქში მძვინვარებს მუცლის ტიფი, ზოგიერთ შკოლებში მეცადინეობა შეწყვეტილია დროებით.

აზერბეიჯანი

საუწყებათაშორისო თათბირი

ბაქო, 22 ნოემბ. აზერბეიჯანის მეურ. უმაღ. საბჭოსთან გამართულ საუწყებათაშორისო თათბირმა ამხ. ბუნიაზადეს თავმჯდომარეობით აზრი გამოსთქვა ამიერ-კავკასიის მეურნეობის უმაღ. საბჭოს დაარსების სასარგებლოთ.

ცალკე უწყებათა წარმომადგენელნი ყველანი აღნიშნავდენ, თუ ფედერატიულ მეურ. უმაღ. საბჭო როგორ მოუმართავს ხელს წარმოების გეგმიანად განვითარებას როგორც მთელს ამიერ-კავკასიაში ისე ცალკ-ცალკე რესპუბლიკებშიც.

დახმარება ბავშვებს

ბაქო, 22 ნოემბ. აზერბეიჯანის ცაკის საბავშო კომისიის მიერ გადადებულია 200,000 მანეთი ბავშვების დახმარების მოსაწყობათ. აქედან 15 პროც. გამოყენებული იქნება ჯანმრთ. სახ. კომისარიატის დარგში, 40 პროც. განათ. კომისარიატისა და 45 პროც. უპატრონო ბავშვების სალიკვიდაციოთ.

კომისია შემახის მაზრაში და მთიან ყარაბაღში ხსნის თითო საბავშო საკონსულტაციოს.

ბის მოწაფეებად, მათი საქმის გამგრძელებლად და სრულიად უარს ამბობდენ თავიანთი ლიტერატურული მამების მემკვიდრეობაზე.

საერთო რუსეთის ფრონტი!

ამ ლოზუნგის გარშემო ტრიალებდა დაუნდობელი და შეურიგებელი ბრძოლა ქართულ პრესაში მესამე დასელებისა და დანარჩენი ქართული ნაციონალისტურ-პოლიტიკური პარტიების შუა. ამ ლოზუნგის გამარჯვებისათვის აწარმოებდა გაფთრებულ ბრძოლას აგრეთვე საქართველოს სოც.-დემოკრატიული პარტიაც მთელი მეოთხედი საუკუნის მანძილზე.

და სწორედ ყველაზე უფრო დასაფასებელი, რაც საქართველოს სოც.-დემოკრატიულმა პარტიამ გააკეთა თავის ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში, არის ის, რომ მან შესძლო საქართველოს დემოკრატიის შესისხლხორცება რუსეთის დემოკრატიასთან, მან შესძლო საქართველოს და რუსეთის პროლეტარიატის გაერთიანება.

ამ წიგნში მკითხველები საკმაო მასალას ნახავენ იმის დასადასტურებლად, თუ როგორ ჩაატარა ნოე ჟორდანიამ ჯერ კიდევ 1917 წელს მე-6 პარტიულ ყრილობაზე მოხსენება რუსეთიდან საქართველოს გამოყოფის წინააღმდეგ, იმ ნოე ჟორდანიამ, რომელიც ამ ჟამად განსაკუთრებული თავგამოდებით იცავს საქართველოს ორიენტაციას ევროპაზე და თავის ამგვარი შეხედულების დასამტკიცებლად ეძიებს რაღაც მისტიური ხასიათის საფუძვლებს.

კიდევ უფრო დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ჩვენს პარტიას რუსეთიდან საქართველოს გამოყოფისა და დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების (26 მაისი 1918 წ.) შემდეგაც კი დიდხანს ვერ გადაეწყვიტა რ. ს.-დ. მ. პარტიიდან გამოყოფა. იმ დროს, როდესაც ჩვენ გვიტოვდენ ჩვენი პარტიის ყოფილი წევრები, რუსებისა და სხვა ნაციონალური ერთეულების წარმომადგენლები, რომლებმაც საქართველოს რუსეთიდან გამოყოფის შემდეგ დასტოვეს ჩვენი პარტიის რიგები და თავიანთი თავი ინტერნაციონალისტებად გამოაცხადეს, ჩვენ დიდის გაჭირვებით გადავწყვიტეთ ჩვენს პარტიულ აბრაზე შეგვეცვალა ასო „რ“ (რუსეთის) „ს“-თ (საქართველოს) და რაღაც დარცხვენით, თითქოს ბიჯაკის შემდეგ ძველი ქართული ქულაჯა ჩაგვაცვესო, დავარქვით ჩვენს პარტიას „საქართველოს სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტია“.

⁂

რა მოხდა ეხლა? რით შეიცვალა ეს ფრონტი იმავე ნოე ჟორდანიას?

არ გამოცვლილა ხომ ის პირობები, რომლებმაც აიძულეს საქართველო, რომ მას რუსეთის ორიენტაცია მიეღო?

სადაა ის რეალური მიზეზები, რომლის საფუძვლებზე საქართველომ კავშირი უნდა გასწყვიტოს რუსეთის დემოკრატიასთან? საქართველოს აკავშირებს რუსეთის დემოკრატიასთან ერთნახევარი საუკუნის მიდგარი, შეუპოვარი, ისტორიაში უჩვეულო რევოლიუციონური ბრძოლა. რატომ უნდა დაუსვას მან ჯვარი თავის რევოლიუციონურ წარსულს და პირი იბრუნოს ევროპისაკენ...

ასეთი საფუძვლები ქართველი ხალხის საბედნიეროთ არ არსებობს. ასეთ საფუძვლებს ადგილი, რომ ჰქონოდა ნ. ჟორდანიას აღარ დასჭირდებოდა რაღაც მისტიურ „კულტურის აკვანის“ გამოგონება, რომელიც ვითომდა საერთოა საქართველოსა და ევროპისათვის.

ასეთი მიზეზები არ არსებობენ, თუ ასეთად არ მივიჩნევთ საქართველოს ყოფილ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ყოფილ გენერლების პოლიტიკურ კურსის შეცვლას, იმ გენერლების, რომლებიც მოჰყვენ „შტატების“ შემოკლებაში უმუნდიროთ და უპენსიოთ.

რევანშის წყურვილით დაბრმავებული ვაჟბატონები, ალბად ფიქრობენ, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია და თვით საქართველოც კი—ეს თვითონ ისინი არიან და საითაც ისინი მობრუნებენ თავიანთ ბრძნულ თავებს, იქით უნდა მიბრუნდეს მთელი რესპუბლიკაც.

მაგრამ ასეთი შეხედულება პოლიტიკურ პარტიაზე და მთელ სახელმწიფოზე, ძალიან ძველია. ძველ დროს მეფეები და თავადები უცქეროდენ ხალხს და სახელმწიფოს, როგორც თავის მამაპაპეულს. ისტორიას ახსოვს ისეთი მაგალითები, როდესაც, ტახტის რომელიმე მემკვიდრე ქალი მითხოვდებოდა უცხო სახელმწიფოს მეფეს, მთელი სახელმწიფო, ანუ მაშინდელი მამული ეძლეოდა მას მზითვად, ე. ი. ეს სახელმწიფო იღებდა ორიენტაციას ახალ მეფეზე რომელიც ფლობდა ტახტის მემკვიდრე პრინცესას.

მაგრამ საქართველოს ყოფილ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ყოფილ ბატონ გენერლებს ტყუილად ავიწყდებათ, რომ საქართველო არ არის მათი მამული, რომელიც უნდა მისდევდეს მათ კვალს და იცვლიდეს თავის ორიენტაციას რევანშის წყურვილით დაბრმავებულ ერთ მუჭა პარტიულ ადამიანების სურვილისამებრ, ე. ი. ადვილად სწყვეტდეს ხელახლა საუკუნოებით გადაჭრილ თავის ყოფა-ცხოვრების საკითხს.

ჩვენ გვესმის, რომ ყოფილი სოციალ-დემოკრატიულ გენერლებს და თვით სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, თუ ასეთს კიდევ შეუძლია არსებობა საბჭოთა ფედერაციაში, აქვთ საფუძველი ეზიზღებოდეთ კომუნისტური პარტია, რომელმაც დაამხო ისინი და დაიკავა მათი ადგილი. ჩვენ გვესმის, რომ ყოფილ გენერლებისათვის და ყოფილ სოციალ-დემოკრატიულ პარტიისათვის ეს რევანშის საკითხია. მაგრამ ამისათვის საქართველოს ხალხის საარსებო ინტერესების და თვით მის არსებობის საფრთხეში ჩაყენება არაფრით არ შეიძლება გამართლებული იქნას და ყოველი საღათ მოაზროვნე ქართველი უნდა ებრძოლოს ამას უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

ყოველმა საღათ მოაზროვნე ქართველმა უნდა იცოდეს, რომ თუ ასი—ასორმოცდაათი წლის წინად საქართველოს ორიენტაცია რუსეთზე ობიექტიურად ნიშნავდა ორიენტაციას ევროპაზე, ყოფილ სოციალ-დემოკრატიულ გენერლების დღევანდელი ორიენტაცია ობიექტიურად ნიშნავს ორიენტაციას ოსმალეთზე.

და ქართველ ემიგრაციასაც, თუ უცხოეთში ყოფნის დროს მას არ დაივიწყებია პოლიტიკურად აზროვნება, უნდა ესმოდეს ეს და აგრეთვე ამ ორიენტაციის შედეგებიც. მას არასოდეს არ უნდა დაავიწყდეს, რომ ქართველი ხალხი მთელი საუკუნოების გამმავლობაში იბრძოდა და ეხლაც უკანასკნელ კაცამდე იბრძოლებს ამ ორიენტაციის წინააღმდეგ.

⁂

შესაძლოა ქართულ ემიგრაციას აშინებს პროლეტარიატის დიქტატურა, რომელმაც საშინელი თავზარი დაატეხა მსოფლიო ბურჟუაზიას, რომელიც გაძლიერდა მხოლოდ თავისი კლასის დიქტატურის წყალობით...

მაგრამ ჩვენ რისი უნდა გვეშინოდეს? ჩვენ ხომ თვით ეს პროლეტარიატი ვართ, ჩვენ ხომ თვით ეს დიქტატორები ვართ!

ნუ თუ ჩვენ უნდა გვეშინოდეს საკუთარი დიქტატურის? ეს იმას ეძგვანებოდა, რომ ჩვენ შეგვშინებოდა საკუთარი იარაღის, საკუთარი მახვილის.

ჩვენ ხომ ეს იარაღი გვჭირდება მშრომელთა ხალხის და სოციალიზმის მტრების წინააღმდეგ.

და თუ ასეთი მტრები არ არსებობენ, თუ ისინი დამარცხებულნი არიან, ვინ გვიშლის ხელს გადავადნოთ ჩვენი მახვილი ჩაქუჩათა და ნამგლათ?...

ორში ერთი: ან ჩვენ უარი უნდა ვსთქვათ სოციალისტების, რევოლიუციონერების, პროლეტარიატის და მშრომელი გლეხობის წარმომადგენლების სახელწოდებაზე და მაშინ აზრი ქნება ჩვენ მიერ პროლეტარიატის დიქტატურის უარყოფას; წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ჩვენ; ვრჩებით რევოლიუციონერებათ და პროლეტარიატის წარმომადგენლებათ, უნდა ვაღიაროთ ჩვენი კლასის დიქტატურაც.

პროლეტარიატის დიქტატურის უარყოფამ უკვე მისცა ნაყოფი რ. ს.-დ. მუშათა პარტიას და ესერების პარტიას, რომლებსაც შეეშინდათ თავისი საკუთარი კლასის დიქტატურის და ამით ფეხზე წამოაყენეს თებერვლის რევოლიუციაში სასიკვდილოთ დამარცხებული ბურჟუაზია და შეჰქმნეს მისი დიქტატურა. ყველამ კარგათ იცის, თუ რა შედეგი მოჰყვა ამას და ზედმეტია მისი განმეორება.

კიდევ ერთი: თუ ჩვენ ჯერ კიდევ მარქსისტები ვართ, ჩვენთვის სავალდებულო უნდა იყოს მარქსის ანდერძი. მარქსი გვასწავლიდა ჩვენ, რომ **„ყოველ დროებით სახელმწიფო მშენებლობისათვის რევოლიუციის შემდეგ საჭიროა დიქტატურა და ამასთანავე ენერგიული დიქტატურით“.**

დიახ, ჩვენში წინააღმდეგ, მთელ ბურჟუაზიულ მსოფლიოში ბურჟუაზიის დიქტატურისა, არსებობს პროლეტარიატის დიქტატურა და იგი იცავს როგორც დიდ ფედერაციის შემადგენლობაში შემავალ ყველა რესპუბლიკების, ისე საქართველოს თავისუფლებას და დამოუკიდებლობას.

და გვერწმუნეთ, საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება ეხლა დაცულია გაცილებით მეტად, ვიდრე ოდესმე, განსაკუთრებით დემოკრატიულ წესწყობილების არსებობის დროს.

არსებითად როგორი თავისუფლება გვქონდა ჩვენ?

თავისუფლება, რომელიც საქართველოს ჰქონდა მენშევიკების ბატონობის დროს იყო ყინულზე დაწერილი თავისუფლება, საკმარისი იყო ანტანტის არმიის რომელიმე ოფიცერს ხელი შეეხო მისთვის და იგი ნაცარ-ტუტად იქცეოდა.

თავისუფლება, რომელიც საქართველოს დღეს აქვს—ეს არის თავისუფლება ლაღი, ფართო და ოკეანესებური.

მაგრამ რომ საქართველო წავიდეს წინ „აღთქმულ ქვეყნისაკენ“, მან უნდა მონახოს თავისი გარკვეული ადგილი.

ეს ადგილი არის საბჭოთა კავშირი.

ვიმუშაოთ შეთანხმებით და ჩვენ მივაღწევთ მიზანს.

დანიის მუშათა დელეგაცია თბილისში

სადგურზე

კვირას, 22 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე, ბაქოდან თბილისში ჩამოვიდა დანიის მუშათა დელეგაცია.

თბილისის რკინისგზის სადგურზე დელეგაციას შეეგებენ მუშათა ორგანიზაციების და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს წარმომადგენელი, მათ შორის ამხ. ალ. **ფანცხავა** და ამხ. **არ. მიქაძე.**

დელეგაციას მისასალმებელი სიტყვით მიმართა ამხ. ფანცხავამ, რომელმაც უსურვა დელეგაციას თავისი დანიშნულების წარმატებით შესრულება. მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე რკინისგზელ მუშათა წარმომადგენელმა.

საპასუხო სიტყვით გამოვიდა დელეგაციის თავმჯდომარე ამხ. ადამსენი, რომელმაც გამოსთქვა რა დელეგაციის კმაყოფილება საბჭოთა კავშირის მუშათა საქმიანობით და მიღწევებით მეურნეობის ყველა დარგში, მადლობა გადაუხადა მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლებს მხურვალე მიღებისათვის.

მიტინგს შემდეგ დელეგაცია საქ. პროფსაბჭოს წარმომადგენლებთან ერთად გაემგზავრა სასტუმრო „სასახლის ნომრებ“-ში, აქ გაიმართა ამხანაგური სადილი, რომლის დროსაც სიტყვები წარმოსთქვეს პროფსაბჭოს წარმომადგენელმა და დელეგაციის თავმჯდომარემ.

საუბარი ამხ. ადამსენთან

ჩვენს თანამშრომელს საუბარი ჰქონდა დელეგაციის თავმჯდომარე ამხ. ადამსენთან სხვადასხვა საკითხებზე.

შეკითხვაზე, თუ როგორია დღეს მუშათა მოძრაობის მდგომარეობა დანიაში, ამხ. ადამსონმა განაცხადა, რომ უკანასკნელ ხანებში მუშებს შორის ძლიერდება რევოლიუციონური სულისკვეთება. რევოლიუციონური მოძრაობის გაძლიერების მიზეზი არის ის, რომ დანიაში თანდათან იზრდება უმუშევრობა და უარესდება მუშათა ნივთიერი მდგომარეობა, რაც გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ დანიის მრეწველობა ვერ უძლებს ინგლისის იაფ სამრეწველო საქონლის კონკურენციას და ფაბრიკანტები იძულებული არიან ან სრულიად შეაჩერონ ქარხნების მუშაობა ან საგრძნობლად შეამცირონ სამუშაო ხელფასი. ამ ნიადაგზე მოსალოდნელია მდგომარეობის გამწვავება და საყოველთაო გაფიცვების დაწყება.

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალში შემავალი ორგანიზაციები ჰკარგავენ ყოველგვარ გავლენას მუშებს შორის. გასულ წლებში პროფკავშირებმა მიატოვა 75 ათასმა წევრმა, მიმდინარე წელს დანიის პროფკავშირთა ცენტ. საბჭოდან ორგანიზაციულად გამოვიდა 85 ათასი წევრი. ამჟამად მთელი ეს მასსა ჰქმნის ახალ პროფორგანიზაციებს, რომლენიც პროფინტერნის თვისაზრისს იზიარებენ.

შეკითხვაზე იცნობს, თუ არა დანიის მუშათა კლასი საქართველოს საკითხს, დელეგაციის თავმჯდომარემ სთქვა შემდეგი:—როგორ ევროპის ყველა სახელმწიფოებში, ისე დანიაში, სოციალ-დემოკრატიული და ბურჟუაზიული პრესა ავრცელებდა ჭორებს, რომ თითქოს საბჭოთა რუსეთი თვითმპყრობელური რუსეთივით სჩაგრავდეს ქართველ ერს, ახშობდეს მის ეკონომიურ და კულტურულ წინსვლას. ამასწინად სოციალ-დემოკრატიულ ცენტრალურ ორგანოში ერთმა ცნობილმა ქართველმა სოციალ-დემოკრატმა (გვარი ვერ მოვიგონე) მოათავსა წერილი, სადაც იგი ამტკიცებდა, რომ თითქოს ქართველ ერს თვითმპყრობელობის დროს უფრო უკეთ ეცხოვრებოდა, ვიდრე საბჭოთა რეჟიმის დროსაო. ეს წერილი გადაბეჭდეს ყველა ბურჟუაზიულმა გაზეთებმა. თუ კი წინად დანიაში მოიძებნებოდა თითო-ოროლა მუშა, რომელსაც სჯეროდა ასეთი შეუსაბამო ამბავი საქართველოს შესახებ, ამჟამად—მრავალ დელეგაციების ანგარიშების წაკითხვის და გაცნობის შემდეგ,—არსად ასეთ ჭორებს გასავალი არა აქვს. ჩვენ საქართველოში ჩამოვედით იმ მიზნით, რომ უშუალოდ გავეცნოთ საქართველოს მდგომარეობას და დანარჩენი ქვეყნების დელეგაციებთან ერთად ხმა ავიმაღლოთ საბჭოთა საქართველოს სასარგებლოდ იმ ჭორების გასაბათილებლად, რომელსაც ავრცელებენ მუშათა საქმის ორგულნი და მოწინააღმდეგენი.

დასასრულ ამხ. ადამსენმა ჩამოსთვალა საბჭოთა კავშირის მიღწევანი, რომელიც, დელეგაციის აზრით, საფუძვლად ედება მთელი ქვეყნის მუშათა კლასის განახლებულ ცხოვრებას.

მეორე გამასწორებელ სახლში

გუშინ ნაშუადღევს დელეგაცია ესტუმრა მეორე გამასწორებელ სახლს, სადაც მან დაჰყო ორი საათი. დელეგაციას ჰქონდა საუბარი პარიტეტულ კომიტეტის ყოფილ წევრებთან.

გამასწორებელ სახლის დატოვების წინ დელეგაციის თავმჯდომარე ადამსენმა გამასწორებელი სახლის მნახველთა წიგნში წერილობით აღნიშნა, რომ გამასწორებელ სახლის ადმინისტრაციის კულტურული ღონისძიებანი პატიმართა მიმართ და აგრეთვე, შიგ არსებული რეჟიმი თავის ჰუმანიურობით დიდათ განასხვავებენ საბჭოთა გამასწორებელ სახლებს ბურჟუაზიულ ციხეებისაგან.

დელეგაცია მთავრობასთან

ნაშუადღევს სამ საათზე დელეგაცია მიიღო მთავრობის თავმჯდომარემ ამხ. შ. ელიავამ.

მიესალმა რა მთავრობას დელეგაციის სახელით, ამხ. ადამსენმა აღნიშნა, რომ დელეგაციამ საბჭოთა კავშირში ნახა დიდი მიღწევები კულტურის ყველა დარგებში.

შემდეგ ადამსენი ეკითხება მთავრობის თავმჯდომარეს.

აუცილებლად მიაჩნია თუ არა მთავრობას მენშევიკური პარტიის ზოგიერთ წარმომადგენლების საპატიმროში დატოვება და არ შეიძლება მათი გამოყენება სახელმწიფოს აღმშენებლობაში.

— მშრომელი ხალხის ინტერესები, უპასუხებს ამხ. ელიავა, მთავრობას ნებას არ აძლევს გაანთავისუფლოს იმ პარტიის წარმომადგენელნი, რომელიც თავდასხმას აწყობს არსებულ რეჟიმზე. როცა ეს პირები უკუაგდებენ თავის ბრძოლის მეთოდებს, გულწრფელად მიემხრობიან არსებულ რეჟიმს და მოისურვებენ მასთან თანამშრომლობას, მხოლოდ მაშინ შეიძლება აღიძრას საკითხი მათი განთავისუფლების შესახებ.

დასასრულ ამხ. ადამსენმა გადაუხადა რა მადლობა ცნობების მიწოდებისათვის, აღუთქვა მთავრობის თავმჯდომარეს, სრული ობიექტიურობით გააცნოს დანიის მშრომელთა მასებს საქართველოში ნახული და გაგონილი.

დელეგაცია პროფსაბჭოს გაფართოებულ პლენუმზე

საღამოს 6 საათზე დელეგაციის საპატივსაცემოდ შესდგა საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმი, რომელსაც დაესწრნენ აგრეთვე საქარხნო კომიტეტები, ადგილკომები, ფეიქართა და მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის ყრილობათა დელეგატები.

პირველი მისასალმებელი სიტყვა საქართველოს პროფორგანიზაციების სახელით წარმოსთქვა ამხ. გ. ყურულაშვილმა, რომელმაც უსურვა დანიის მუშათა კლასს გამარჯვება მუშათა კლასის ერთიანობისთვის ბრძოლაში.

შემდეგ ამხ. ბროდსკი (დელეგაციის გამყოლი) აცნობს კრებას დელეგატებს, რომელთაც მთელი დარბაზი მქუხარე ტაშით ხვდება. იწყება მისალმება. სიტყვებს ამბობენ რკინისგზელთა, ძველ შებრძოლ მუშათა, ფეიქართა, მოჯამაგირეთა წარმომადგენელნი. საპასუხო სიტყვებით გამოდიან დელეგაციის თავმჯდომარე ადამსენი, მეზღვაური იეხსენი და პარიკმახერთა კავშირის წევრი იენსენი მეორე. უცხოელმა ამხანაგებმა ხაზი გაუსვეს საბჭოთა კავშირის დიდ მიღწევებს სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგებში და განსაკუთრებით ახალთაობის მომზადების და გაწრთვნის საქმეში. ამასთანავე მათ დაპირება მისცეს საქართველოს მშრომელ ხალხს, გააცნონ საქართველოს ნამდვილი მდგომარეობა დანიის მშრომელთ და შექმნან ნიადაგი მთელი ქვეყნის მშრომელთა გასაერთიანებლად.

დელეგაციას სიტყვით მიმართა აგრეთვე ამხ. არაქელამ, რომლის მახვილმა მჭერმეტყველებამ დარბაზის აღტაცება გამოიწვია.

— არა კენჭის ყრით, არამედ ყუმბარებით უნდა ავგავოთ პარლამენტები, რომელიც წინ ეღობება მუშათა ხელისუფლების დამყარებას,—მიმართავს ამხ. არაქელა დელეგატებს.

ამხ. ყურულაშვილის საბოლოო სიტყვის შემდეგ, პლენუმი ერთხმად ამტკიცებს რეზოლიუციას, სადაც იგი მოუწოდებს დანიის მუშათა კლასს გაერთიანებული ბრძოლისაკენ საერთაშორისო კაპიტალიზმის დასამხობად.

მ—ელი.

პარტიული ცხოვრება

ამხ. კამენევის მოხსენება გაუმანის პარტკონფერენციაზე

მოსკოვი, 23 ნოემბ. 22 ნოემბერს გაუმანის პარტიულ კონფერენციაზე მოხსენება გააკეთა ამხ. კამენევმა, რომელმაც განაცხადა, რომ ცენტრალურ კომიტეტმა პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა და ამიტომ მას თამამად შეუძლია წარსდგეს მთელი პარტიისა და მე-14 ყრილობის წინაშე, ვინაიდან ჩვენ გასულ წელში უსათუოდ გავამაგრეთ საბჭოთა კავშირის მდგომარეობა და გავაძლიერეთ სოციალისტური ელემენტები ქვეყნის შიგნით.

გასულ წელში საერთაშორისო მდგომარეობა რთული იყო. ამ წელში ადგილი ჰქონდა დოუესის გეგმას, რომლის მიზანი იყო კაპიტალისტურ სახელმწიფოების ეკონომიური სტაბილიზაცია და ლოკარნოს კონფერენცია, რომელიც მიზნად ისახავდა ამით პოლიტიკურ კონსოლიდაცია. მაგრამ ეს სტაბილიზაცია მერყევი, ნაწილობრივი და დროებითია.

ამასთან ერთად ადგილი აქვს დასავლეთ ევროპის მუშათა კლასის თანდათან რევოლიუციონურ გზაზე დადგმას და კოლონიალურ ქვეყნებში ძლიერ ნაციონალურ—განმანთავისუფლებელ მოძრაობას.

ლოკარნოს კონფერენცია ცდა იყო კაპიტალისტურ ინგლისისა და საფრანგეთის შეთანხმებისა გერმანიასთან, რომ საბჭოთა კავშირზე თავდასხმის დროს მათ გერმანიის მხრივ ღია კარები ქონოდათ.

ასეთ მდგომარეობაში ჩვენი მიზანი იყო გაგვეგრძელებია შესვენების დროს, რომ ამ დროს განმავლობაში გაგვეძლიერებია ჩვენი სოციალისტური პოზიციები.

შემდეგ ამხ. კამენევი გადავიდა ჩვენ მიღწევებზე სამეურნეო დარგში და განაცხადა, რომ მომავალ წელში, თუ მეტი არა, ჩვენ მივაღწევთ ომის წინა დროს 90 პროც. ის ფაქტი, რომ სახელმწიფო მეურნეობის ელემენტები უფრო ჩქარა იზრდებიან, ვიდრე სხვა ნაწილები, იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენ მივდივართ სოციალიზმისკენ. მაგრამ ამავე დროს ჩვენ გვხვდებოდა მთელი რიგი დაბრკოლებებისა, როგორიცაა: საქონლის ნაკლებობა და პურის დამზადების დროს სიძნელენი. პურის დამზადების საკითხში ჩვენ ვერ შევაფასეთ თვით გლეხის მეურნეობის გეგმა, რომელიც დამყარებულია კერძოთ გლეხობის მიერ საერთაშორისო პურის ბაზარზე ფასების უცოდინარობაზე და ამ პურის საზღვარგარეთ გასაღების პირობებზე. ამ მხრით ჩვენ მაინც გვაქვს მიღწევები. თუ შარშან სულ არ გაგვიტანია პური, წელს უკვე გავიტანეთ 80 მილიონი ფუთი და მზადაა გასატანათ კიდევ 260 ფუთი.

მუშათა კლასის მატერიალური, პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობა უკან არ უნდა რჩებოდეს ჩვენი მეურნეობის განვითარებას. ახალი ამოცანები, რომლებიც ჩვენს წინაშე დგანან, მოითხოვენ ჩვენ პარტიის ნებისა და აზრის კოლექტიურ გაძლიერებას.

საქართველოს ბავშთა კ. ორგანიზაციის მუშაკთა თათბირი

პირველი სხდომა

21 ნოემბერს, ამხ. თ. გაბარაშვილის თავმჯდომარეობით გაიხსნა ბავშვთა კომუნისტურ ორგანიზაციის მუშაკთა თათბირი.

თათბირის დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: 1) მოხსენებები ადგილებიდან; 2) პიონერთა შორის მუშაობის შედეგები და პერსპექტივები; 3) პიონერმუშაობა სკოლებში; 4) პიონერთა ფიზიკური აღზრდა და 5) საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობა.

პირველათ თათბირი ისმენს მოხსენებებს ადგილებიდან.

აჭარისტანის პიონერულ მოძრაობის მდგომარეობის შესახებ მოხსენებას აკეთებს საოლქო ბიუროს თავმჯდომარე ამხ. ცქვიტინიძე, რომელიც აღნიშნავს, რომ პიონერთა შორის მუშაობა ქალაქად მტკიცეა, მაგრამ გარემო სოფლებში მოისუსტებს, რადგან გლეხები ჯერ კიდევ კარგათ არ იცნობენ პიონერთა ორგანიზაციას.

ამ ბოლო ხანებში პიონერთა ორგანიზაცია აერთიანებს 2.500-დე ბავშვს. საოლქო ბიურო ყოველგვარ ზომებს იღებს პედაგოგების პიონერთა კულტურულ განმანათლებელ მუშაობაში ჩასაბმელად. პარტიისა და კომკავშირის ხელმძღვანელობა ბავშვთა კოლექტივებზე დამაკმაყოფილებელია. მიღებულია აგრეთვე სათანადო ზომები იმისათვის, რათა ბავშვთა მშობლები დაინტერესებულ იქნენ [illegible] მოძრაობით, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მის შემდგომ ზრდა-განვითარებას. ამ მიზნით ხშირად ეწყობა ბავშვთა მშობლების თათბირებიც. პიონერთა ლიტერატურის უქონლობა საგრძნობ გავლენას ახდენს ბავშვთა კოლექტივებში მუშაობის გასაძლიერებლად.

სამხრეთ-ოსეთიდან მოხსენებას აკეთებს ციტაშვილი, რომელიც ამბობს რომ სამხრეთ-ოსეთის 9 რაიონიდან პიონერთა შორის მუშაობა კარგათ მიმდინარეობს 7 რაიონში. მაგრამ სათანადო მომზადებულ ძალების უქონლობა მაინც ერთგვარ ზეგავლენას ახდენს ამ მუშაობაზე.

სამხრეთ-ოსეთში სულ არსებობს 58 ბავშვთა კოლექტივი, რომლებიც აერთიანებენ 2.400 ბავშვს. სოფლის გლეხობა ბავშვთა ორგანიზაციას კარგათ უცქერის. პიონერები ჩაბმულნი არიან „წერკუმსი“-ს მუშაობაშიც. კომორგანიზაციაზე კომკავშირის და პარტიის ხელმძღვანელობა სუსტია, ვინაიდან ადგილი აქვს აქტიურ ძალების სიმცირეს. მუშაობის გასაუმჯობესებლად აუცილებელია პიონერთა შორის მომუშავეთა კადრის მომზადება.

ქუთაისიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. ვაჭარაძე. პიონერთა შორის მუშაობაში—ამბობს მომხსენებელი—მრავალი ნაკლულევანებანი გვაქვს. ამის უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ ხშირად ხდება პიონერ-მუშაკების შეცვლა. უკანასკნელ ხანებში ამ ნაკლის გამოსასწორებლად სწარმოებს გაძლიერებული მუშაობა. პედაგოგები და ფიზკულტურის ინსტრუქტორები ჩაბმულნი არიან, როგორც კულტურულ ისე ფიზაღმზრდელობითი მუშაობაში. კოლექტივები უმთავრესად დაარსებულია სკოლებთან. წარმოებებთან ჩამოყალიბებულია მხოლოდ 6 კოლექტივი. ადგილობრივი მოსახლეობა ბავშვთა კომ-ორგანიზაციას სიმპატიურად უცქერის. ეს საშუალებას გვაძლევს, რომ მომავალში პიონერთა მოძრაობა კიდევ უფრო გავაღრმაოთ. მხოლოდ საჭიროა უსახსროების დაძლევა.

ოზურგეთიდან მომხსენებელი აღნიშნავს, რომ პიონერები თავიანთ ჰასაკთან შედარებით პოლიტიკურად კარგად არიან მომზადებული და სხვადასხვა მუშაობაში ისინი სათანადო აქტივობასაც იჩენენ. მასწავლებლებთან კარგი დამოკიდებულებაა. ისინი თვითონვე მოითხოვენ კოლექტივების დაარსებას სკოლებთან. კომკავშირი კარგა ხანს არ იცნობდა პიონერთა მოძრაობის ამოცანებს, მაგრამ ამ ბოლო დროს ყველა უჯრედებში ამ მოძრაობის მნიშვნელობაზე და ამოცანებზე კეთდებოდა მოხსენებები. პარტიის ხელმძღვანელობა კომორგანიზაციაზე დღემდე სუსტი იყო, ამჟამად მდგომარეობა გამოსწორებულია. გურიის გლეხობამ კარგად იცის, რომ მათი შვილები, რომელნიც პიონერთა რიგებში მუშაობენ, მომავალი კომუნისტებია. თვით პიონერები დიდ მუშაობას აწარმოებენ თავიანთ ოჯახებში ძველი დახავსებული ზნე-ჩვეულებების წინააღმდეგ. ჩვენში პიონერთა ორგანიზაციას არა ჰყავს ფიზაღზრდის ინსტრუქტორები, განვიცდით უსახსრობასაც. მომავალში ამას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება.

ახალციხიდან მომხსენებელი ამბობს, რომ ახალციხეში, სადაც სცხოვრობენ სომხები, თათრები, ქართველები და რუსები პიონერთა შორის მუშაობის წარმოება ძნელია. მასწავლებლობა სკოლებში პიონერებს ცუდათ უცქერის. ამ არანორმალური მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად მასწავლებელთა შორის იკითხება მოხსენებები პიონერთა ორგანიზაციის მნიშვნელობაზე.

ჩვენში იყო შემთხვევები კოლექტივების დაშლისა, მაგრამ ისინი კომკავშირის ადგილობრივი ორგანიზაციის ინიციატივით კვლავ აღდგენილი იქნენ. პარტიის ხელმძღვანელობა პიონერთა მოძრაობაზე მოსუსტებს. თუ ეს ხელმძღვანელობა ახლო მომავალში არ განმტკიცდა—ჩვენ შორს ვერ წავალთ.

პ—ვი.

წერილები ადგილებიდან

გომბორის თემი.

(გარე-კახეთი).

ჩვენი ორგანიზაცია.

გომბორის თემში პარტიის ორი უჯრედია, რომლებშიაც ირიცხება 13 წევრი და 13 კანდიდატი. ამათში 3 ქალია.

უჯრედების კრებები ეწყობა ორ კვირაში ერთხელ.

აქ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ უჯრედების სხდომებს ბლომად ესწრებიან უპარტიონიც.

უჯრედებს ჰყავთ საკმაოდ მომზადებული აქტივიც მაგრამ აქტივის კიდევ უფრო გასაფართოებლად მუშაობენ მოძრავი პოლიტსკოლები, რომლებშიაც მასიურად არიან ჩაბმული პარტამხანაგები.

უჯრედის წევრთა პოლიტიკური განვითარება დამაკმაყოფილებელია. ყველა ამხანაგი იწერს ჟურნალ-გაზეთებს.

ნარიმანაშვილი.

ქალთა შორის მუშაობა

ნაგომრის თემი (გურია)

ჩვენი მიღწევები

ჩვენი გლეხ-ქალები ძალიან დაინტერესებული არიან პოლიტიკური ცოდნის მიღებით.

ადგილობრივად ხშირად ეწყობა დელეგატ-ქალთა კრებები, რომლებმაც გამოიღეს თავისი ნაყოფი. დღეს მაგალითათ, საზოგადოებრივ მუშაობაში ჩაბმულ ქალთა პროცენტი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი.

თუ შევეხებით ახალგაზრდა ქალთა შორის მუშაობას კავშირის რიგებში, აქაც ჩვენ საგრძნობ მიღწევებთან გვაქვს საქმე. 52 კომკავშირელში 21 ქალია, ე. ი. 50 პროც.

მომავალში ქალთა შორის მუშაობა კიდევ უფრო უნდა გაღრმავდეს.

კ—ძე.

„კომუნისტი"
მიიღება ხელისმოწერა
დეკემბრისათვის
ერთი თვით გაზეთი ეღირება:
მუშა-მოსამსახურეების, გლეხების, წითელ-არმიელების და მასწავლებლებისათვის 90 კაპ.
თბილისში და პროვინციაში
ყველა დანარჩენებისათვის 1 მ. 20 კ.
თბილისში და პროვინციაში
ყველა ხელისმომწერლებს დაურიგდებათ
უფასოთ შემდეგი დამატებები:
„მეცნიერება და ტეხნიკა"
თვეში ორი ნომერი
და „ჩირაღდანი"-ს მაგიერ
ჟურნალი „დროშა"
იუმორისტული განყოფილებით
თვეში ორი ნომერი

ტროცკი
სოციალიზმისკენ თუ კაპიტალიზმისკენ
იყიდება ყველგან
ფასი 40 კაპ.
1—1 248

თბილისის აღმასკომის პლენუმი

გუშინ, საღამოს 6 საათზე შესდგა თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის პლენუმი. დღის წესრიგში დასმული იყო თბილისის ბიუჯეტის განხილვა. მოხსენება გააკეთა ამხ. მ. გვამელმა.

თბილისის აღმასკომის ბიუჯეტი

ბიუჯეტი შედგენილია და დამუშავებულია აღმასკომის საბიუჯეტო სექციის მიერ.

ბიუჯეტი აგებულია ტერიტორიალურ პრინციპზე, რომლის მიხედვით ადგილობრივი შემოსავალი რჩება სოფლის ორგანოებს და ხმარდება სოფლის საჭიროებათ.

ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი შეადგენს 21.448.279 მანეთს, ხოლო საშემოსავლო ნაწილი 17.215.900 მანეთს. ამგვარად დეფიციტი უდრის 4.232.379 მანეთს. დეფიციტი დაფარული იქნება სახელმწიფო საშუალებებით.

ცალკე ტერიტორიალური ერთეულების მიხედვით ბიუჯეტი ასე არის შედგენილი: მაზრის შემოსავალი უდრის 1.025.933 მანეთს, გასავალი—2.264.660 მან. ქალაქის შემოსავალი შეადგენს 15.971.130 მანეთს გასავალი—18.346.114 მანეთს.

თემების შემოსავალი უდრის 218.711 მან., გასავალი 837.505 მანეთს.

სამაზრო და სათემო ბიუჯეტების დეფიციტი, რომელიც 1.892.731 მანეთს უდრის, დაფარულ იქნება ქალაქის დოტაციით, რომელიც გასულ წლის დოტაციაზე სამჯერ მეტია.

საგასავლო ნაწილში შეტანილია ხარჯები ადმინისტრატიულ დაწესებულებებზე 1.010.810 მანეთი, საზოგადოებრივი წესიერების დასაცავად—771.833 მან., იუსტიციის ორგანოების შესანახად 205.489 მან. სახალხო განათლებაზე—3.127.268 მან., ჯანმრთელობაზე—1.463.728 მან., სოციალურ დაზღვევაზე—74,222 მ., კომუნალურ წარმოებებზე (რომელნიც სამეურნ. ხარჯზე არ არიან გადაყვანილნი) და ზაჰესზე—10.546.608 მანეთი, საგზაო მშენებლობაზე 127.683 მან. კომუნალურ მეურნეობაზე—2.054.367 მან. სასოფლო მეურნეობაზე—216.709 მან. დანარჩენი ხარჯები შეადგენენ—1,849.562 მანეთს.

ზაჰესის ხარჯების გამოკლებით ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი უდრის 11.226.513 მანეთს, რაც გასულ წელს შესრულებული ბიუჯეტის 126 პროცენტს შეადგენს.

საშემოსავლო ნაწილს შეადგენენ არასაგადასახადო შემოსავალი, გასული წლის ბიუჯეტის ნარჩენები და ნიშნები, შემოსავალი კომუნალურ ქონებიდან, სასოფლო მეურნეობიდან სახელმწიფო გადასახადების ანარიცხები და დამატებანი, ადგილობრივი გადასახადები და ამონაღები, ზაჰესის მშენებლობისათვის აღებული სესხი და სხვა.

აღმასკომის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში შედის აგრეთვე კომუნალურ წარმოებათა მოგება (სალდო).

გასულ წელთან შედარებით გადიდებულია გასავალი ხელფასის დასაფარავად 58 პროცენტით, რაც აიხსნება აღმასკომის დამხმარე დაწესებულებათა გახსნის და ხელფასის მომატებით. საერთოდ წლევანდელი გასავალი 251 პროცენტით სჭარბობს შარშანდელ გასავალს.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ პლენუმმა ბიუჯეტი დაამტკიცა უცვლელად და ამასთანავე დაადგინა დაავალოს პრეზიდიუმს მიიღოს ზომები დეფიციტის დასაფარავად და მასწავლებელთა ხელფასის გასადიდებლად.

ეკონომიური ცხოვრება

საზოგადოება „აბრეშუმთან" კონფლიქტის განმარტებისათვის

გაზეთ „კომუნისტი"-ს 22 ნოემბრის ნომერში მოთავსებული ცნობა „აბრეშუმთან" კონფლიქტის შესახებ საჭიროებს განმარტებას, ვინაიდან ეს ცნობა ცალმხრივად არის მოთხრობილი და საქმის ნამდვილ მდგომარეობას არ შეეფერება.

არავითარი კონფლიქტი „აბრეშუმს" პარკის დამამზადებელ „გლეხებთან" არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს. პარკის მწარმოებელთ მიიღეს წელს ფუთ ნედლ პარკზე 18 მანეთი პარკის ჩაბარებისთანავე, მაშინ როდესაც წინათ, პარკის ჩაბარებისას არაფერს იღებდენ. მეაბრეშუმეებმა მიიღეს ეს ფული სრულად და ყველამ, გამოურაკლისოდ; ასე რომ მათთან კონფლიქტისათვის ადგილიც კი არ დარჩენილა.

„აბრეშუმმა" გადაუხადა ქვედა საფეხურის კოოპერატივებს ივნისსა და ივლისში სრულად პირველი ნახევარი იმ თანხისა, რაც მათ ეკუთვნოდათ მწარმოებელთაგან პარკის მიღების და შენახვა-გახმობის საქმეში დახმარებისათვის, როგორც საკომისიო სასყიდელი; მეორე ნახევარი კი, თანახმად კოოპერატივებთან დადებულ პირობისა „აბრეშუმს" უნდა გადაეხადა ხმელი პარკის ჩაბარების შემდეგ—ოქტომბერში, მაგრამ რადგანაც ყველა პარკის მიღება ამ თვეში ვერ მოხერხდა, დარჩა მხოლოდ ათიოდე კოოპერატივი, რომლებთანაც ჯერ ანგარიში გასწორებული არ არის, ვინაიდან მათგან პარკი „აბრეშუმმა" ამ უკანასკნელ დღეებში ჩაიბარა და ამჟამად საბოლოოდ ირკვევა რამდენი ერგება თვითეულ მათგანს. ზოგიერთ კოოპერატივებს ხმელი პარკის გამოსავალი ნორმალურზე ნაკლები გამოუვიდა და ვინაიდან ნედლი პარკის მიღების დროს ალაგ-ალაგ ბოროტმოქმედება აღმოჩნდა, ამისათვის ა/კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა, რომელიც პარკის ფულს „არტელჩიკების" საშუალებით ურიგებდა გლეხებს, მოითხოვა ყველა ანგარიშების ადგილობრივად შემოწმება და დათვალიერება და ვიდრე აღნიშნული ანგარიშები არ იქნებოდა საბოლოოდ გამორკვეული, თავისთავად ცხადია—არც საკომისიო სასყიდლის მიცემა შეიძლებოდა დღემდე. ეს გარემოება არავითარ საფუძველს კონფლიქტისათვის არ იძლევა მით უფრო, რომ კოოპერატივებს არავითარი ხარჯი საკუთარი, თავისი წყაროებიდან არ გაუწევიათ პარკის ოპერაციების წარმოებისათვის და საკომისიო სასყიდელი ეძლევათ მათ არსებითად მხოლოდ იმისთვის, რომ განსაზღვრულ დროის (ზოგიერთი მათგან რამოდენიმე კვირის), განმავლობაში პარკი ინახება შრება იმ ფარდულებში, რომლებიც უმეტეს მათგანს აშენებული აქვთ პარკის ძველი ფონდის ხარჯზე და თანახმად ამ წლის 10 მარტის დეკრეტისა აქამდისაც უნდა გადაეცათ „აბრეშუმისათვის". თუ არის რამ საკონფლიქტო, ეს მხოლოდ ის, რომ ხუთი წლის შრომით და ცდით დაგროვილი პარკის ფონდი, რაოდენობით არა ნაკლებ ნახევარ მილიონ მანეთისა, „აბრეშუმს" ჯერ ვერ მიუღია და ამიტომ იგი იძულებულია საოპერაციო ხარჯებისათვის მიმართოს ბანკებს და იხადოს პროცენტები, რომელიც საბოლოოდ მძიმე ტვირთად ედებიან პარკის მწარმოებელ მეაბრეშუმეებს.

სრულიად საქართველოს მეაბრეშუმეთა კოოპერატიული საზოგადოება „აბრეშუმი".

ბრძოლა საქონლის ჭირთან

ამჟამად საქონლის ჭირი მძინვარებს მთელს აღმოსავლეთ საქართველოში (დუშეთის მაზრის გამოკლებით), აჭარისტანში და რაჭალეჩხუმში. ჭირი გავრცელებულია აგრეთვე ახალციხის და ახალქალაქის ზოგიერთ რაიონებში, ვინაიდან საქონლის ჭირმა მიიღო საშიში ხასიათი, მასთან საბრძოლველად მიწადმოქმედების სახალხო კომისრის—ამხ. ალ. გეგეჭკორის თავმჯდომარეობით დაარსდა საგანგებო კომისია, რომელშიაც შედიან ცნობილი ვეტერინარები.

ამჟამად მაზრებშიაც ეწყობა საგანგებო კომისიები, რომელთა შემადგენლობაში შედიან სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე, ვეტერინარი და მილიციის წარმომადგენელი.

ნოემბრის უკანასკნელ კვირაში ჭირი გავრცელდა და გაძლიერდა ხაშურში, დიღომის რაიონებში და ახალციხის მაზრის ზოგიერთ თემებში.

ჭირის ასეთი გავრცელების მიზეზი არის ის, რომ გლეხები არ იცავენ საკარანტინო წესებს, რომლის ცხოვრებაში გატარება ამჟამად მოწყობილ საგანგებო კომისიის ერთიერთი ამოცანაა.

ჭირის გავრცელება საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში დაიწყო ივლისის უკანასკნელ რიცხვებში, როცა საზაფხულო საძოვრებიდან ჯოგმა სოფლებში დაბრუნება იწყო.

ივლისის უკანასკნელ რიცხვებში სავეტერინარო განყოფილება შეუდგა ჭირის საწინააღმდეგო ღონისძიების გატარებას.

აგვისტოში ჭირით დაავადმყოფებული იყო 612 სული საქონელი, აქედან დაიხოცა 275 სული, ამავე თვეში შრატით აცრეს 10.563 სული. სექტემბერში აღრიცხული იყო 1760 ჭირიანი საქონელი, დაიხოცა 953 სული, აუცრეს 5.095. ოქტომბერში დაავადმყოფდა 2.319 სული, დაიხოცა 1.025; აუცრეს 13.419. საქონელს, აცრა სწარმოებს ყველა იმ რაიონებში, სადაც კი ჭირის ნიშანია.

მეტი ყურადღება თბილისის ბაღ-ბოსტნებს

თბილისის და მის მიდამოების ბაღ-ბოსტნებში ხეხილები სანახევროდ განადგურებულია, სათბურების და არანჟერეების რიცხვი ამაზე უფრო მეტადაა შემცირებული. ასეთ მდგომარეობას ზედ ერთვის წყალის არხებისადმი უყურადღებობა, როგორიცაა: კრწანისის, საბურთალოს, ვერის და სხვა არხები.

ბაღ-ბოსტანს ქალაქში და ქალაქის ირგვლივ უჭირავს 200 დესეტინა, ხუთი წლის წინეთ ამ ბაღების შემოსავალი ყოველ წლობით უდრიდა 600.000 მანეთს, გასავალი—300.000 მანეთს. მებაღეს თვით ბაღის რჩებოდა დესეტინაზე 1.000 მანეთი. 1924—25 წლებში კი შემოსავალი უდრის 319.000 მანეთს. გასავალი 400.200 მანეთს. ე. ი. ბაღებს ვალად ედება 406 მანეთი.

რით აიხსნება ეს მოვლენა?

ბაღ-ბოსტნები, როგორც ვიცით, იმყოფება ქალაქის საადგილ-მამულო განყოფილების განკარგულებაში. ეს ბაღები აღებული აქვთ იჯარით ძველ-მებაღე—მუშებს, რომლებიც მსახურობდენ ათი, თუ ხუთმეტი წლების განმავლობაში ძველ მემამულეებთან. ეს მოიჯარადრეები მოკლებულნი არიან ნაყოფიერ მუშაობის საშუალებას. ხელშეკრულობის მოკლე დრო, ბაღებზე შეჯიბრების დანიშვნა, გადაჭარბებული იჯარის დაწესება და ვადის გათავების შემდეგ ბაღის ჩამორთმევა—ყველა ეს მუშამებაღეს საშუალებას ართმევს ბაღების წარმოება სათანადო ნიადაგზე დააყენოს.

ქალაქის საადგილ-მამულო განყოფილებაც ხედავს ამ მდგომარეობას და საამისოთ გამოჰყო კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს ბაღების მდგომარეობა და დააწესოს იჯარა. მაგრამ მარტო იჯარის დაწესებაც ვერ იხსნის ამ წარმოებას. თვით ხელშეკრულების პირობები უნდა იყოს ისეთი, რომ მებაღე დაიმედებული იყოს ბაღის მის ხელში ხანგრძლივათ დატოვებაში, თუ კი ის ამ ბაღის განვითარებას ხელს შეუწყობს.

აქ ჩვენ გვაინტერესებს თვით წარმოების მდგომარეობა. ქალაქის ირგვლივ ბაღების გადაშენება მავნებელია არა მარტო ეკონომიურათ, არამედ ის სახიფათოა მცხოვრებთა ჯანმრთელობისათვისაც. აუცილებელია თბილისის და მისი მიდამოების მებაღეების ერთ საწარმოვო კოოპერაციაში ჩამოყალიბება. ამის შემდეგ შესაძლებელი გახდება, როგორც შინაურ, ისე გარეშე ბაზარზე, ბაღბოსტნის ნაწარმოები კანონიერ ფასებში გაიყიდოს. დღეს კი მთელი თბილისის და მისი მიდამოების ბაღბოსტნის ნაწარმოების 80 პროც. ჩალის ფასად უვარდებათ ხელში კერძო სპეკულიანტებს.

მ. ბუ[illegible]

პროფკავშირებში

ფეიქართა კავშირის მეხუთე ყრილობა

პირველი სხდომა,

შაბათს, 21 ნოემბერს პროფკავშირთა მცირე დარბაზში გაიხსნა საქართველოს ფეიქართა კავშირის მეხუთე ყრილობა. ყრილობის პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ ამხანაგები: მატინიანცი, ასათიანი, ტაბიძე, ზატაკიანი, ამირბეგოვი და ასლამაზიშვილი. სამდივნოში ამხ. საფარიანცი, მესხი და სანოვიჩი. ყრილობას ესწრება 60 დელეგატი—საქართ. საფეიქრო მრეწველობის ყველა დარგების წარმომადგენლები.

ცენტრალური გამგეობის მუშაობა

(მომხსენ. ამხ. მატინიანცი)

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ რამდენადაც იზრდება და ვითარდება საქართ. საფეიქრო მრეწველობა, იმდენად მატულობს წევრთა რიცხვიც. გასულ წელს მოეწყო საფეიქრო ტრესტი, ქუთაისის მაუდის ქარხანა, სატრიკოტაჟო სახელოსნოები და მატყლის დროებითი დასახარისხებელი წარმოებები, რის გამოც საფეიქრო მრეწველობის მუშათა რიცხვიც 1100-მდე ავიდა. აქედან 927 პროფკავშირის წევრია.

წევრთა უმრავლესობას ქალები შეადგენენ. მათი რიცხვი უდრის—504, ვაჟების კი—424. სულ კავშირს ჰყავს ქალაქში 85 უმუშევარი.

ცენტრ. გამგეობის მუშაობაში ჩაბმულია საქარხნო კომიტეტების ყველა წევრები. გამგეობის წევრები მიმაგრებული არიან წარმოებების ფაბკომებზე. ც. გ—ბა მართავდა კონფერენციებს და საქარხნო კომიტეტების გაერთიანებულ კრებებს, რომლებსაც ესწრებოდა წევრთა დიდი უმრავლესობა. მიუხედავად ქალების დიდი რიცხვისა ფეიქართა კავშირში, მუშაობა ქალთა შორის მოისუსტებდა. უფრო უკეთ სწარმოებს მუშაობა ახალგაზრდებს შორის.

საწევრო გადასახადის შეკრება კარგად სწარმოებს. წევრთა დავალიანება მცირეა 15—20 პროცენტს არ აღემატება. საკავშირო თანხის ხარჯვა სწარმოებს მტკიცედ განსაზღვრულ ხარჯთ-აღრიცხვის ფარგლებში გაფლანგვას და სხვა ბოროტებას ადგილი არ ჰქონია.

წევრთა საშუალო ხელფასი 23 მანეთიდან 42 მანეთამდე ადის.

წარმოებებში შრომის ნაყოფიერება იზრდება. შარშანდელთან შედარებით ნაყოფიერება საფეიქრო მრეწველობაში საშუალოდ 44 პროცენტით გადიდდა. კავშირის კულტური მუშაობა წარმატებით მიმდინარეობდა. ამჟამად კავშირს ჰყავს წერა-კითხვის მცირე მცოდნე 41 კაცი ანუ 4,7 პროცენტი, უცოდინარი—39 კაცი ანუ 4,2 პროცენტი. ამჟამად ესენიც სწავლობენ სათანადო სკოლებში. კავშირს აქვს თავისი კლუბი, სხვადასხვა წრეები, კედლის გაზეთები და სხვა.

მეორე და მესამე სხდომები.

მეორე და მესამე სხდომები მოუნდა მოხსენების გარშემო გამართულ კამათს. ამხანაგები ცენტ. გამგეობას უსაყვედურებდენ ქალთა და ახალგაზრდათა შორის წარმოებულ მუშაობის და აგრეთვე კულტმუშაობის სისუსტეს.

საბინაო საკითხის მოუგვარებლობას ერთხელ მიღებული ხარჯთაღრიცხვის საგასავლო ნაწილის გადიდების და სხვა. ოპონენტთა აზრით ვერც უმუშევრობასთან ბრძოლა არის სათანადო სიმაღლეზე. დროებით სამუშაოებზე ღებულობდენ არაკავშირის წევრებს. ხოლო კავშირის უმუშევარი წევრები კი უადგილოდ რჩებიან.

მომხსენებელის მიერ პასუხისგაცემის შემდეგ ყრილობა იღებს რეზოლიუციას, სადაც იგი გამგეობის მუშაობას დამაკმაყოფილებლად სცნობს.

ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირის კომიტეტის მე-4 პლენუმი

მე-2 სხდომა

გრძელდება კამათი ამხ. საბაშვილის მოხსენების ირგვლივ. კამათში მონაწილე ამხანაგები ეხებიან ა.-კ. რკ. გზებზე საქარხნო-საფაბრიკო სკოლის საკითხს, საკავშირო ეკონომიური მუშაობის ნაკლულოვანებას და დასასვენებელ სახლების აგებას.

ხმის უმრავლესობით სწყდება, სახლების აშენება ა.-კავკასიის თითეულ რესპუბლიკაში ცალკე.

ამხ. საბაშვილი საბოლოო სიტყვაში ყველას სათანადო პასუხს აძლევს.

საგზაო კომიტეტის მუშაობა პლენუმმა დამაკმაყოფილებლადა ცნო.

ამხ. ზალიოტოვის მოხსენება

პლენუმმა მოისმინა ც.-კომიტეტის ინსტრუქტორის ამხ. ზალიოტოვის ინფორმაციული მოხსენება მის მიერ წარმოებულ, ა.-კ. რკ. გზებზე საკავშირო მუშაობის გამოკვლევის შესახებ. მომხსენებელი უთითებს ზოგიერთ დეფექტებს.

აღნიშნულ მოხსენების პლენუმი იღებს ცნობად.

მესამე სხდომა

შრომის დაცვა

თანახმად დღის წესრიგისა, მესამე სხდომაზე, პლენუმს საანგარიშო მოხსენებას უკეთებს შრომის ინსპექტორი ამხ. სიზოდნენკო.

მოხსენებიდან სჩანს, რომ საუბნო ინსპექტორების შტატი ა.-კ. რკ. გზებზე შესდგება 9 კაცისაგან. მომხსენებელი აღნიშნავს ინსპექტორების ხშირ გამოცვლებს და ეს მიაჩნია არა ნორმალურად, რადგან მათ საშუალება არა აქვთ ასეთ პირობებში გააცხოველონ თავიანთი მუშაობა.

მიუხედავად ამისა, საანგარიშო ხნის განმავლობაში უწარმოებიათ სულ 1.115 დათვალიერება. შრომის ინსპექციას, სამეურნეო ორგანიზაციებისათვის გაუგზავნია შრომის დაცვის 11 საკითხის შესახებ—1.409 მიმართვა. ამ საკითხთაგან ამჟამად ყველაზე მწვავედ სდგას საკითხი ზედმეტ საათებში მუშაობის შესახებ. მას საუბნო კომიტეტები ებრძვიან, მაგრამ ეს ბრძოლა უნაყოფოა, და იგი თან და თან ვითარდება. ამას ხსნიან, ნაწილობრივ შრომის ნაყოფიერების ზრდით და ნაწილობრივ—ინსპექტორის უვარგისობით და მატარებლების გზაში დაგვიანებით ან უბედურ შემთხვევებით.

ინსპექციის გამოკვლევით წარმოებებში ჩაბმულ ახალგაზრდობის შრომის პირობები კარგია.

მომრიგებელი კამერა და ზედამხედველობის ბიურო

მომხსენებელი შეეხო მომრიგებელი კამერის და ზედამხედველობის ბიუროს მუშაობას, საიდანაც გამოირკვა, რომ კამერა მუშაობს პარიტეტულ ნიადაგზე. საანგარიშო პერიოდში მას ჰქონია 30 სხდომა და გაურჩევია 168 საჩივარი.

ბიუროსა და კამერის მიერ გარჩეულ საჩივართა 80 პროცენტი გადაწყვეტილია მუშების სასარგებლოდ.

მის მუშაობას ხელს უშლის მხოლოდ მასალების თავის დროზე მიუღებლობა.

სპეც-ტანსაცმელი

სპეც-ტანსაცმელის სახითხ რკ. გზაზე, შრომის ინსპექციის გამოკვლევით, ვერ არის მოგვარებული, მუშებს 80 პროცენტს იგი არ მიუღიათ 1924—25 სამეურნეო წელში და შრომის ინსპექციის მიერ ეს საკითხი უკვე მოგვარებულია და მუშები მიიღებენ კომპენსაციას. ტანისამოსის დარიგებას მიმდინარე 1925—26 წლისათვის აყოვნებს სამსახურების მიერ სიების თავის დროზე გაუგზავნლობა.

საწარმოთა დათვალიერება

ინსპექციას, საწარმოთა ტეხნიკური დათვალიერება უწარმოებია 250-ჯერ; ამდენჯერვე დაუთვალიერებია ისინი სანიტარულის თვალსაზრისით.

უბედური შემთხვევები.

საანგარიშო პერიოდში უბედურ შემთხვევათა რაოდენობა და თვისება რკინის გზის წარმოებებში ასეთია: 6—სიკვდილი, 18—მძიმე დაშავება და 125—მსუბუქად.

გარდა ამისა, შრომის ინსპექტორი იღებს მონაწილეობას ახალი საბინაო და დაწესებულებისათვის საჭირო შენობათა აშენების პროექტების დამუშავებაში.

კარგად აქვს ინსპექციას დაყენებული შესწავლა თითოეულ მავნე პროფესიისა.

აღსანიშნავია, რომ თანახმად დათვალიერებისა რკინის გზის ადმინისტრაცია ნაკლებ ყურადღებას აქცევს რკ. გზის ყაზარმების სანიტარულ მხარეს.

კამათი

ამხ. სიზოდნენკოს მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილენი — მომხსენებელს უთითებდენ იმაზე რომ შრომის ინსპექცია ყურადღებას არ აქცევს მუშების ყოფაცხოვრების საკითხებს.

საპასუხო სიტყვაში ამხ. სიზოდნენკომ განაცხადა, რომ ამ შენიშვნას მიიღებს მხედველობაში და ნაკლს გამოასწორებს.

ამ საკითხზე რეზოლიუციის გამომუშავება პლენუმმა მიანდო კომისიას.

სატრანსპორტო კოოპერაცია

ამხ. აკიმოვმა, თავის მოხსენებაში,—ა.-კ. სატრანსპორტო-სამომხმარებლო საზოგადოების შესახებ განაცხადა, რომ ა.-კავკასიის სატრანსპორტო კოოპერაციის გაძლიერება სავსებით დამოკიდებულია სახელმწიფოს ეკონომიურ პირობებზე და ამის გამო იგი მჭიდროთაა დაკავშირებული იმ პირობებთან, რომელიც გავლენას ახდენს მის მუშაობაზე.

შემდეგ ორატორმა განაცხადა და ხაზი გაუსვა როგორც სამწუხარო მოვლენას, რომ კოოპერაციას არ მოეპოვება საკმაო რაოდენობით რკინისგზელთათვის საჭირო საქონელი. მაგ. მას დამდეგ ზამთრისათვის არ აქვს თბილი ტანსაცმელი და სხვა.

როგორც მომხსენებელი აღნიშნავს, კოოპერაციის აპარატს ძალზე უწყობენ, ხელს რკ. გზის სამმართველოს მიერ მინიჭებული შეღავათები—ერთის შორის და სახელმწიფო კრედიტები სხვადასხვა სამომხმარებლო საზოგადოებებისა და ბანკების—მეორეს მხრივ.

ამასთანავე, კოოპერაციის გაძლიერებისათვის დიდი ყურადღება ექცევა წევრთა გამრავლებასაც, რადგან მისგვის მომხმარებელი აუცილებლობას წარმოადგენს. ამ მხრივ დიდი ყურადღება ექცევა მუშათა მასების ჩაბმას კოოპერაციაში.

წითელ სასადილოების შესახებ მომხსენებელმა განაცხადა, რომ მათი მუშაობა დამაკმაყოფილებელია.

გაფლანგვები

ორატორი შეჩერდა გაფლანგვებზე. მან განაცხადა, რომ ა.-კ. სატრანსპორტო-სამომხმარებლო საზოგადოებამ ფულის გაფლანგვის სახით იზარალა—75.000 მანეთი, რამაც ცხადია გავლენა მოახდინა მის ძირითად თანხაზე.

რათა საზღვარი დაედვათ ამ დამღუპველი ბოროტმოქმედებისათვის, გამგეობას შუამდგომლობა აღუძრავს სათანადო ორგანიზაციებში ასეთ ბოროტმოქმედთა სასტიკად დასჯის შესახებ და ამგვარ ზომებს გავლენა მოუხდენიათ გაფლანგვების რიცხვის შემცირებაზე.

წელს საზოგადოებას ჩაუტარებია წევრთათვის წვრილ-სადუქნო ნისიის მიცემა. აქ აღსანიშნავია ის, რომ ზოგიერთი მათგანი სესხებს ან სულ აღარ აბრუნებენ ან ძალზე გვიან იხდიან. ამნაირად მას გაცემული აქვს 68.000 მანეთის ნისია.

ხაზზე მოსახლე რკინისგზელთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საზოგადოების განკარგულებაშია ვაგონი დუქნები, რომლებიც მათ აწვდიან საქონელს.

ამასთანავე მას ჰქონია მრავალი სავაჭრო ბუდკები. მომავალში განზრახულია მათი რაოდენობის შემცირება.

კოოპერაცია საპაიო გადასახადს ყოველთვის ყურადღებით ეპყრობა და ა.-კ. სატრანსპორტო-სამომხმარებლო საზოგადოებას სურს მისი გადიდება. ეს საკითხი დასმული იქნება და გადაწყდება ახლო ხანში რწმუნებულთა თათბირზე.

კამათი

ამხ. აკიმოვის მოხსენებამაც გამოიწვია ცხოველი კამათი. ორატორები უმთავრესად უთითებდენ გაფლანგვის დამღუპველობაზე კოოპერაციისთვის და იმ გარემოებაზე, რომ კოოპერატივი ადგილებს არ აწვდის პირველ საჭიროების საქონელს.

რეზოლიუციის გამომუშავებისთვის ამხ. აკიმოვის მოხსენების შესახებ პლენუმმა აირჩია სპეციალი კომისია 5 კაცისაგან.

მომავალი მუშაობის გეგმა

პლენუმმა მეოთხე სხდომაზე განიხილა საგზაო პროფესიონალური კომიტეტის მომავალი მუშაობის გეგმა,

წინასწარ შემუშავებულ გეგმები: **საორგანიზაციო, კულტურული** და **სატარიფო-საეკონომიო** განყოფილებებისა, პლენუმმა ცალ-ცალკე და მუხლობრივ გარჩევის, (რაც იწვევდა ცხოველ აზრთა გაცვლა-გამოცვლის) და სათანადო შესწორებების შემდეგ მიიღო და დაამტკიცა.

განათლების მუშაკთა სახლში

17 ნოემბერს, განათლების მუშაკთა სახლში შესდგა განათლ. მუშაკთა სახლის წევრების საერთო კრება. კრებამ აირჩია პრეზიდიუმი შემდეგ შემადგენლობით: ამხ. პ. ქაცარავა, შ. გეგენავა, ალ. ცინცაძე და ტ. ხუნდაძე.

დღის წესრიგში იყო დასმული შემდეგი საკითხები გ. მ. სახლის წარსული მუშაობა, მომავალი საქმიანობის გეგმა და სარევიზიო კომისიის მოხსენება. გამგეობის სახელით მოხსენებას აკეთებს განათლების მუშაკთა სახლის გამგე ნ. ჭეიშვილი.

ნ. ჭეიშვილი თავის მოხსენებაში ეხება სახლის წარსულ და მომავალ საქმიანობას, აცნობს კრებას ზაფხულის თვეებში საზაფხულო კლუბში წარმოებულ მუშაობას. სარევიზიო კომისიის წევრი ვ. ნუცუბიძე თავის მოხსენებაში ეხება საზაფხულო კლუბის ფინანსიურ მხარეს და საერთოდ იქ მუშაობას დადებითად სცნობს.

მოხსენების მოსმენის შემდეგ კრებას გამოაქვს რეზოლიუცია,—სადაც გ. მ. სახლის გამგეობის მუშაობა ცნობილია დამაკმაყოფილებლად.

ამის შემდეგ მოხდა არჩევნები: კლუბის გამგეობაში არჩეულ იქნენ შემდეგი პირნი: ამხ. ამხ. გ. ნათაძე, ხუნდაძე, ქაცარავა, ჭეიშვილი, გეგენავა, პიასეცკი, კონიაშვილი, გოშლიჩიძე, ცინცაძე, როსტომიანი, ფერარი, გოგაძე, ძიძაძე, ძიძიგური, ვოლკოვი, პაპავა, კანდიდატებათ—გერიძე, ფირცხალაიშვილი, ბურჯანაძე, ალაჯაროვი, ნაგიბინოვი.

სარევიზიო კომისიაში—ნუცუბიძე, ივ. სირაძე, სალიბეკოვი.

ახალმა გამგეობამ თავის მხრივ გამოჰყო პრეზიდიუმი შვიდი წევრისაგან და ორი კანდიდატისგან შემდგარი: ჭეიშვილი, ცინცაძე, ხუნდაძე, პიასეცკი, პაპავა, როსტომიანი, ქაცარავა, ძიძიგური და გოშლიჩიძე. განათლების მუშაკთა სახლის გამგედ ერთხმად არჩეულ იქნა ნიკო ჭეიშვილი.

განათლების მუშაკი.

დავეხმაროთ „წერკუმს"-ს

შორაპნის [illegible] შეაქვს შორაპნის სამაზრო წერკუმსის ფონდის გასაძლიერებლად ასი მანეთი (100 მ.) და იწვევს შემდეგ დაწესებულებებს, რათა მათაც გაიღონ თავიანთი წვლილი წერკუმსისათვის.

სამაზრო პროფბიურო თავის ქვემდებარე კავშირებით, მუშათა კოოპერატივის კანტორას, დამზღვევ სალაროს, სააქციო საზოგადოებას, ადგილობრივ სახელმწიფო ბანკის განყ., წითელი ჯვრის საზოგადოებას, იმერეთის მევენახეთა კოოპერატიულ საზოგადოება „იმერეთს".

მიუხედავათ იმისა, რომ მე 5 მანეთს ვღებულობ სტიპენდიას—მაინც შემაქვს წერკუმსის სასარგებლოდ 1 მანეთი და ვიწვევ შორაპნის დეპოს შემდეგ ამხანაგებს: კოლია ხუციშვილს, ვასო მაჭავარიანს, სოლომონ სახელაშვილს, ირაკლი შათირიშვილს, ვანიჩკა მეტრეველს, ვანო ცნობილაძეს, ნესტორ ასათიანს, ვალოდია კანდელაკს, ვარლამ ასათიანს, კირილე ნებიერიძეს, შალვა ქიჩიჩაშვილს, კოლია მაღლაკელიძეს, ნიკოლა ბელაუსოვს, ისიდორე მოსიძეს, ილია ფერაძეს, ალექსანდრე რაზმაძეს, ვანო ალავიძეს, ნესტორ ხევსურიანს, გრიგოლ ბიბილაშვილს, დივანოზ გოჩოლაშვილს, იაკობ მშვენიერაძეს, გრიშა უზნაძეს, სერგო ჩუბინიძეს, ალიოშა კვინიკაძეს.

შორაპნელი დეპოს მუშა—
ნიკოლოზ ქიქავა.

წერკუმსის ფოთის განყოფილების სასარგებლოდ შემაქვს ხუთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: პროკ. მეგრელიშვილს, ქაჯაიას, შალვა ჯალაღანიას, კ. გიორგაძეს, ემელიან ნოდიას, ნ. ცაგარეიშვილს, სპ. ქოქოსაძეს, ფილიმონ ნადარეიშვილს, პლატონ ხოჭოლავას და ბარნაბა ლაზარტყავას

ფოთის განათლების ინსპექტორი
ს. მუსერიძე.

წერკუმსის ფოთის განყოფილების სასარგებლოდ შემაქვს ათი მანეთი და ვიწვევ შემდეგ კავშირებს:

გადამტვირთველთა კავშირს, მეზღვაურთა, რკინისგზის, საბჭოთა მუშაკებს, კომუნალურ მეურნეობის, აღმშენებელთა, ხეტყის მუშაკთა, სახალხო-[illegible], შედსონშრომის, მონადირეთა.

გან. მუშ. კავშირის ა/კ. მდივანი მიხ. ქავთარაძე.

წერკუმსის ფოთის განყოფილების სასარგებლოდ შემაქვს ხუთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ქადეიშვილი ნინა, მეუნარგია გრიგოლ, მეიშვილი ნიკოლოზ, ცანავა ალექსანდრე, თედორე ექვთიძე, მიქაბერიძე კონსტანტინე, მჟავანაძე სევერიანე, ტურკიანი არმენაკი, ჰოჭუა შალვა, ქორქია პავლე, მილორავა ალექსანდრე.

პოლიტგანის გამგე—ალ. ჟვანია.

ევგენი მხეიძის გამოწვევით შემაქვს წერკუმსის სასარგებლოთ სამი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

სერგო ოგანეზოვს, ლეონტი გიორგობიანს, გოგი ჩარკვიანს, პელო ჩიქოვანს, ალექსანდრე პაპავას, ს. თოფურიას, სოლომონ ჩიხლაძეს, ვასილ კოსტავას, დავით მაჭავარიანს, ილარიონ მოსაბიშვილს, გიორგი ხარაზიშვილს, ნიკოლოზ კრავცოვს, მეფისაშვილს, საშა ჯიშკარიანს, დიმიტრი ჰანტურიას, ნიკოლოზ სირბილაძეს.

ალექსანდრე მირიანოვი.

ნინა შავგულიძისა და ალ. ლუკაშვილის გამოწვევით წერკუმსის სასარგებლოდ შემაქვს სამი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: თამარ მებურიშვილს, ნინა კარიჭაშვილს, ატა მოდებაძეს, თამარ ჯაფარიძეს, იაროსლავ გძელიძეს, დავით ქებაძეს, ივანე მაჭავარიანს, მიშა დიასამიძეს, იაკობ რუხაძეს, ვლადიმერ ჩოჩიას, სილოვან ჭუმბაძეს, ვლადიმერ ბრეგვაძეს, ნ. ფარეშიშვილს, პეტრე ამაშუკელს, ჯათანა გოგოშიძეს, ალ. მირიანოვს, პრ. ვადაჭკორიას, სპ. ჩიქოვანს, ალ. სიმონიას, შალვა ჭელიძეს, იოსებ ცირიღლაძეს, იოსებ ხატიაშვილს, დიმიტრი გუნცაძეს, ილიკო რუსიშვილს, დავით მშვიდობაძეს, ვ. ლანგამერს, ცეიმანს, გარინს, ლ. არუთინოვს, მიხ. ნანეიშვილს, იროდიონ თოფურიძეს, კოტე ტაბატაძეს, ნიკოლოზ ცომაიას, ლეონტი სუხიაშვილს.

ევგენი მხეიძე.

წითელ ჯარში

თბილისის გარნიზონის უფროსთა და პოლიტიკური შემადგენლობის საერთო კრება

21 ნოემბერს შესდგა თბილისის გარნიზონის უფროსთა და პოლიტიკური შემადგენლობის კრება, რომელზედაც გამოვიდენ მოხსენებით ამხ. ვოროშილოვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. კავკასიის წითელდროშოვანი არმიის უფროსი კორკი და პოლიტიკური სამმართველოს უფროსი ამხ. რატნეკი. მოხსენების მოსმენის შემდეგ კრებამ დაადგინა გაუგზავნოს შემდეგი მიმართვა **ამხ. ვოროშილოვს:**

ძვირფასო კლიმენტი ეფრემის ძევ!

თბილისის გარნიზონის უფროსთა და პოლიტიკური შემადგენლობა მოგესალმებათ თქვენ წითელი არმიის ხელმძღვანელის ახალ პოსტზე.

თქვენი ბრძოლის ოცი წლიწადი ლენინური ბოლშევიკური პარტიის რიგებში, თქვენი დაუღალავი მოღვაწეობა რაზმების შედგენის საქმეში ლუგანსკში, დონის ოლქში, ბაქოში და სხვა ადგილებში არალეგალური მუშაობის მძიმე წლებში და თქვენი შრომა პასუხსაგებ პარტიულ პოსტებზე, თქვენი ენერგიული მოღვაწეობა წითელი არმიის პირველი რაზმების შექმნაში და სასიქადულო ბრძოლა სამოქალაქო ომის ფრონტებზე, რომელმაც დაგიმსახურათ თქვენ წითელი არმიის ერთი საუკეთესო მუშაკის სახელი, თქვენი მუშაობა წითელი ცხენოსანი ჯარის შექმნაში, რომელსაც წილად ხვდა რევოლიუციის მტრებზე მრავალი ბრწყინვალე გამარჯვება, თქვენი გამოცდილი და მცოდნე ხელმძღვანელობა ჩრდილო-კავკასიის და შემდეგ მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარების მიმართ,—ყოველივე ეს ადასტურებს იმას, რომ წითელი არმიის ხელმძღვანელობა ჩაბარებული აქვს გამოცდილს, საიმედო ხელს და წითელი არმიისათვის უზრუნველყოფილია შემდეგი განვითარება ნამდვილი ლენინური გზით და მისი შემდეგი განმტკიცება.

ვესალმებით რა ჩვენს ღირსეულ ბელადს თქვენი სახით, ვიძლევით დაპირებას, რომ თქვენი გამოცდილი ხელმძღვანელობის ქვეშ ჩვენ გავაძლიერებთ ჩვენს ენერგიას წითელი არმიის პოლიტიკური შეგნებისა და ბრძოლის უნარიანობით გაძლიერების საქმეში.

გაუმარჯოს წითელ არმიას—საიმედო საფარს მსოფლიო კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ!..

გაუმარჯოს მის ბელადს—მუშას, ბოლშევიკ-ლენინელს—ამხ. ვოროშილოვს!

საბჭოთა აპარატის გასაჯანსაღებლად

თათბირი საქმის წარმოების რაციონალიზაციის შესახებ

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ რესპუბლიკანურ მუშათა და გლეხთა ინსპექციებთან ერთად გამოიკვლია ქვედა საფეხურის საბჭოთა აპარატი.

გამოკვლევის შედეგებს განხილვის შემდეგ ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიამ და ა/კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ მიიღეს დადგენილება ქვედა საფეხურის საბჭოთა აპარატის პრაქტიკული რაციონალიზაციის შესახებ, რაც დაევალა ა/კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების განყოფილების ადმინისტრატიულ-ტეხნიკურ სექციას.

ამ ამოცანის განსახორციელებლათ მოწვეული იყო რესპუბლიკანურ მუშათა და გლეხთა ინსპექციების, საქართველოს და აზერბეიჯანის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატების და სომხეთის ცაკის წარმომადგენლების თათბირი.

თათბირი დაიწყო 16 ნოემბერს და გრძელდებოდა 23 ნოემბრამდე. თათბირმა შეიმუშავა სახელმძღვანელო მასალები და ინსტრუქციები საქმის-წარმოების შესახებ სოფლის საბჭოებში და სათემო აღმასკომებში.

გადაწყვეტილია აუცილებლად ჩატარებულ იქნეს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში მუშაობა საქმისწარმოების გასაუმჯობესებლათ.

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის საგამომცემლო განყოფილება სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების განყოფილებასთან ერთად შეუდგა ამ სახელმძღვანელო მასალების და ინსტრუქციების გამოცემას ნაციონალურ ენებზე.

ეს დადგენილება ცხოვრებაში გატარებული იქნება 1926 წლის 1-ლ მარტამდი.

საქართველოს ეკონომიურ საბჭოში

დახმარების აღმოჩენა მოუსავლობით დაზარალებულ მაზრებს

ეკონომიურმა საბჭომ საჭიროდ სცნო აღმოეჩინოს დახმარება მიმდინარე წელში მოუსავლიანობით დაზარალებულ მაზრებს მომავალ საგაზაფხულო თესვის კამპანიის საჭიროებისათვის სესხის სახით.

ამ მიზნით ეთხოვა ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს გაიღოს დაუბრუნებელ ან გრძელვადიან სესხის სახით 50.000 მანეთი.

მომავალი საკავშირო აღწერისათვის

მომავალი საკავშირო აღწერის ჩასატარებლად და ყოველმხრივი საზოგადოებრივი და პოლიტიკური დახმარების მიზნით ეწყობა ცენტრალური დამხმარე კომისია შემდეგი შემადგენლობით: ა) სახ. კომსაბჭოს თავმჯდომარე (კომისიის თავმჯდომარე) ამხ. შ. ელიავა. ბ) მისი მოადგილე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე) ამხ. ს. ჯუღელი, გ) შინსახკომი ამხ. შ. მათიკაშვილი, დ) ც. ს. ს. სამმართველოს გამგე ამხ. ა. რუხაძე და ე) მიწ. სახ. კომისარი ამხ. ა. გეგეჭკორი.

ასეთივე კომისიები სდგება ავტონომიურ ოლქებში და სამაზრო ცენტრებში.

აღნიშნული კომისია შეიკრიბება პერიოდულად, იქნება სააღწერო მუშაობის კურსში და გაუწევს ყოველგვარ დახმარებას აღწერის საქმეს.

ქრონიკა

თბილისის ალმასკომში

— საბავშვო ამბულატორია. თბ. ალმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებას განზრახვა აქვს მიმდინარე წელს გახსნას საბავშვო ამბულატორია.

შრომის სახ. კომისარიატში

— საზოგადო სამუშაოები. გასულ წელს შრომის სახ. კომისარიატის ხელმძღვანელობით საზოგადო სამუშაოები მოეწყო თბილისში, ბათომში, ქუთაისში, ჭიათურაში, გორში, ხაშურში, ბორჯომში და სამტრედიაში.

— შრომის სახ. კომისარიატმა ბათომში საზოგადო სამუშაოების მოსაწყობათ დახარჯა 11,965 მანეთი.

სოც. დაზღვევა სამმართველოში

— დაზღვეულ უმუშევართა დასახმარებლად სოც. დაზღვევის სამმართველომ გასულ წელს დახარჯა 184,844 მან.

— უმუშევართა რიცხვი. 1 ოქტომბრისათვის მთელ საქართველოში ირიცხებოდა 15,416 უმუშევარი, რომელთაგან 4287 დაზღვეულია.

ჯანმრთელობის კომისარიატში

— ვენერიულ სნეულებასთან ბრძოლის მიზნით ჯანმრთელობის კომისარიატმა გადასწყვიტა გორში, ლიუქსემბურგში, ცხინვალში და ონში მოაწყოს ვენერიული კაბინეტები.

— რევოლიუციამდე თითოეულ საექიმო პუნქტს უხდებოდა დახმარება გაეწია 50000 სულისათვის, რაც უარყოფით შედეგებს იძლეოდა. ამჟამად იმდენათაა გამრავლებული საექიმო პუნქტები, რომ თითო საექიმო პუნქტის მოსდის 9,000 სული მოსახლეთა.

საბინაო მშენებლობა

— საბინაო საამშენებლოთ კოოპერაციამ საბინაო ამშენებლობაზე 1924—25 წლის განმავლობაში 200 ათას მანეთზე მეტი.

— საზ-ბა „სამშენ“ გადაწყვეტილი აქვს მომავალ წელში თბილისში მოაწყოს აგურის ქარხანა და საკირე.

სხვადასხვა

— თბილისის საფონდო ბირჟამ წ.-კ. უცოდინარობასთან ბრძოლის გასაძლიერებლად „წერკუმსს“ გადასცა 500 მან.

— ა.-კ. საჰაერო ფლოტის საზ-ბასთან დაარსდა საგამომცემლო განყოფილება ამხ. ვანო სტურუას ხელმძღვანელობით.

— დაზღვეულების საექიმოთ. ოქტომბერში დაიხარჯა 83,948 მან.

კრებები და მოხსენებები

— ქართულ საენათმეცნიერო საზოგადოებაში. დღეს, სამშაბათს, 24 ნოემბერს, საღ. 8 საათზე საქართველოს მუზეუმის სააუდიტორიო დარბაზში საზოგადოების მორიგ საჯარო სხდომაზე წაკითხული იქნება მოხსენება ვარ. თოფურიას მიერ: „ბგერით მოვლენათა თანამიმდევრობა ქართველურ ენებში (შედარებითი ფონეტიკიდან)“. შესვლა თავისუფალია.

— ექიმების კრება. ოთხშაბათს, 25 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში (შეს. კალოუბნის ქუჩიდან) შესდგება საქართველოს ფიზიოტერაპევტთა და რენტგონოლოგთა საზოგადოების მორიგი კრება. დღის წესრიგი: 1) ექ. ანდრეევი: „კურორტ მაცესტა და მისი მომავალი“. 2) ექ. ლ. ელიაშვილი: „წყალტუბოს მინერალური წყლების მნიშვნელობა გინეკოლოგიაში“.

კულტკონფერენცია

— საქ. საბჭოთა და სავაჭროთ დაწესებულებების მუშაკების პროფკავშირის კულტკონფერენცია შესდგება დღეს, სამშაბათს, 24 ნოემბერს საღამოს 6 საათზე, ახალ მუშათა კლუბში (ყოფ. ქართული კლუბი).

ჩაუბარებელი დეპეშები

— ნუხიდან—იარულოვს, ევლახიდან—ტერკარაპეტოვს, გროზნიდან—კუძევისას, არმავირიდან—ღივაზოვს, ბაქოდან—ღოჟროიანცს, ქუთაისიდან—ზაზიაშვილს, ნოვოროსსიისკიდან—მალიანს, ბათუმიდან—ქანაჟარაძეს, ჭიათურიდან—თოფურიას, სოხუმიდან—კალანდაძეს, მოსკოვიდან—ზაქტაგ, ახალსენაკიდან—კილასონიას ყვარელიდან—ოვანეზ თუმანიანცს, ლაგოდეხიდან—ოგანეზოვს, ზუდ-ტადან—გუსეინოვს, ბაქოდან—გენკინს, მოსკოვიდან—სანკოევს, ტულიდან—აკოპიანს, მელიტოპოლიდან—გუმარიანს, როსტოვიდან—კომბანკ სსსრ, მოსკოვიდან—ნევმერჟიცკისას, არმავირიდან—ღივაზოვს, ლენინაკანიდან—დავრიშევს, სპასკიდან—მუსხტოვისას, ბაქოდან—ლემბერგს, ქურდამირიდან—კამაზოვს, ფოთიდან—ქიქინაძეს, ჭიათურიდან ტულუშს, მოსკოვიდან—ოგანესიანს.

ხელოვნება

ქართული აკადემიური დრამა

„მათრახის პანაშვიდი“

კვირას, 22 ნოემბერს, ქართული აკადემიური დრამის მიერ პირველად ამ სეზონში წარმოდგენილი იქნა „მათრახის პანაშვიდი“.

ალ. შანშიაშვილის ნახევრათ ორიგინალურ პიესას—„მათრახის პანაშვიდს“ საბუთად უდევს ერეთის (ქიზიყის) გლეხობის ბრძოლა თავადების წინააღმდეგ.

სოციალური მომენტი აქ საკმაოთ ცოცხლათ არის აღებული და მოქმედების ცენტრი მასაშია გადატანილი. ავტორი სოციალურ ფონზე გვისურათებს, აგრეთვე მთავარი გმირების პირად განცდებსაც (სიყვარული).

როგორც დრამატიული ნაწარმოები, ალ. შანშიაშვილის პიესა სუსტია, მაგრამ ის მდიდარია სცენიური ეფექტებით, რაც სასიამოვნო მოსასმენათ ხდის ამ ნაწარმოებს.

„მათრახის პანაშვიდი“ ხშირათ იდგმებოდა შარშანდელი სეზონის განმავლობაში და მას აუდიტორიაც ყოველთვის საკმაო ჰყავდა.

წრევანდელ დადგმაში ცვლილებები არ არის შეტანილი. შემადგენლობაც წინანდელია რამოდენიმეს გამოკლებით.

შესრულების მხრივ პიესა ხალისიანათ ჩატარდა. თამაშობდენ ჩვეულებრივი პათოსით და ექსპრესიით, მიუხედავათ იმისა, რომ დარბაზი ნახევრათ ცარიელი იყო.

განსაკუთრებით აღსანიშნავი არიან აკაკი ვასაძე, გიორგი დავითაშვილი და ელ. დონაური. მასა კვლავინდებურათ ცოცხალი და მოძრავია.

შ. გ.

წითელი თეატრი

ქართული დრამის სეზონის გახსნა

კვირას, 22 ნოემბერს, წითელ თეატრში გაიხსნა ქართული დრამის სეზონი.

არსებითად, თავისი დანიშნულებით ქართული წითელი თეატრი მემკვიდრეა 1924 წლამდის არსებულ სახალხო თეატრისა. ორთავეს მიზანი იყო და არის ფართო მშრომელ მასსებში ხელოვნების ცეცხლის გაღვივება, რომ მისი ჯადოსნური ძალის შემწეობით უფრო მეტი შეგნება მოჰფინონ მათ და მოუწოდონ განახლებულ ცხოვრებისაკენ.

მიუხედავათ თავისი უდიდესი ღვაწლისა, სახალხო თეატრი ხერხემალ მაგარი ველარ გამოდგა ყოველმხრივათ გარდაქმნილ თანამედროვე ცხოვრებისთვის და თავისი ადგილი დაუთმო ორგანიზაციულათ და იდეიურათ უფრო ჩამოყალიბებულ „წითელ თეატრს“.

თუ სახალხო თეატრი უკანასკნელ ჟამამდის დამყარებული იყო მხოლოდ და მხოლოდ თავდადებულ, უანგარო მოღვაწეობაზე და ამავე დროს მოკლებული იყო როგორც ყოველგვარ ნივთიერ საშუალებას, ისე ჩამოკვეთილ იდეიურ ხელმძღვანელობასაც,—დღეს წითელი თეატრი ძალიან მკვიდრ ნიადაგზე სდგას: იგი ნივთიერათ უზრუნველყოფილია მთავრობისა და ქალაქის ალმასკომიდან, ჰყავს მუდმივი დასი—წესიერი ჯამაგირებით, შერჩეული მსახიობნი, მრავალი ახალი ძალები, გამოცდილი რეჟისორები და სხვა მრავალი ხელშეწყობა.

ასეთი ნორმალური პირობების შემდეგ ჩვენ უკვე უფლება გვაქვს აღარ ვუცქიროთ განსაკუთრებულის ლმობიერობით, როგორც სახალხო თეატრს, არამედ უნდა მოვთხოვოთ სრული ანგარიში, რომ გამართლონ მათზედ დამყარებული იმედები მშრომელი ხალხის გასათვითცნობიერებლათ.

სწორეთ ამ თვალსაზრისით უნდა ვიხელმძღვანელოთ ყოველ იმ მნიშვნელოვან ნაბიჯის შეფასებაში, რომელსაც გადასდგამს თავის მოღვაწეობაში „წითელი თეატრი“.

სეზონი გაიხსნა ეგ. ნინოშვილის მოთხრობიდან გადმოკეთებული პიესით—„ჯანყი გურიაში“.

მთელ შარშანდელ სეზონის განმავლობაში ეს ყველაზე მნიშვნელოვანი წარმოდგენა იყო, რომელსაც ეტყობოდა დაკვირვებული მომზადება და საგანგებო ხელშეწყობა—ალ. წუწუნავას ხელმძღვანელობით.

ჩვენ კარგათ გვახსოვს შარშანდელი პირველი წარმოდგენა და გულახდით უნდა ვაღიაროთ, რომ საერთო შთაბეჭდილებით კვირის წარმოდგენა რამდენიმეთ ჩამორჩებოდა შარშანდელს.

მასსიური სცენები, რომელთაც ძალიან დიდი ადგილი უჭირავთ პიესაში, ეხლაც საუცხოვოთა და უნაკლულოთ ჩატარდენ.

პერსონალურათ კი მსახიობებს ეტყობოდათ რაღაც უღონობა, თუმცა თამაში არავის გაუფუჭებია.

უცვლელი იყო სცენა მაზასი და სიმონასი. სულ ზედმეტი და მოსაწყენია გიორგის და გულოს მსჯელობა საფრანგეთის რევოლიუციაზე (შარშანაც აღვნიშნეთ, მაგრამ „წითელი თეატრის“ ყურამდის ვერ მიუღწევია).

უკანასკნელ სცენის შესახებ ერთი რამ უნდა შევნიშნოთ: აჯანყებულთა რიგები ირღვევიან. სასტიკ ბრძოლაში მარცხდებიან. აჯანყების სამ ბელადს ვერაგულათა ჰკლავს თავისი ხელით ბატონ-ყმობის უკიდურესი მოთაყვანე იგნე შავგულიძე. ბოლოს ფეხით სდებს დახოცილ მოწინააღმდეგეებს და მაყურებლების წინაშე ზვიადობს თავისი საბოლოვო გამარჯვებით. ფარდაც ამ სცენაზე ეშვება.

ისტორიულით რომ აჯანყებას არ გაუმარჯვია, ეს ყველასათვის ცხადია, მაგრამ დღევანდელ აუდიტორიაზე მაინც არა სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს ბატონყმობის მაღმერთებლის იგნეს საბოლოვო ტრიუმფი.

დაე, აჯანყება ნუ იმარჯვებს, მაგრამ აზნაური ივანეც უნდა უეჭველათ მოკვდეს ბოლოში რომელიმე აჯანყებულის ხელით და ეს იქნება ნამდვილი ფსიქოლოგიური დამაკმაყოფილება დღევანდელი გათამამებული მაყურებლისთვის.

ასეთ შესწორებას აუცილებლათ მოითხოვს აუდიტორია თავისი სულისკვეთებით და თავისი ხმაურით.

ლილი.

— ნინო ლორთქიფანიძე-ცაგარელის კონცერტი. ოთხშაბათს, 25 ნოემბერს, სახ. კონსერვატორიაში შესდგება თავისუფალი ხელოვანის ნინო ლორთქიფანიძე-ცაგარელის კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ: დ. ანდღულაძე, გ. ნეიმან, გ. თაქთაქიშვილი და შ. ცირღილაძე. პროგრამაში: არაყიშვილი, ჯიორდანი, ჩესტი, ვენდელი, დურანტეს და სხვ.

— ახალი კინო-თეატრი. პლეხანოვის პრ. სასტუმრო „ნოჲ“-ში ამ დღეებში გაიხსნება ახალი კინო-თეატრი „წერკუმსი“.

— სახელმწიფო ოპერის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება „ჰუგენოტები“.

— მცირე წითელ თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება მხიარული კომედია: „ვოზდუშნი პიროგ“.

— საზოგადო მოღვაწეთა და მწერალთა ალბომი. იოსებ იმედაშვილმა შეადგინა საზოგადო მოღვაწეთა და მწერალთა ალბომი, რომელშიაც მოთავსებული იქნება მწერალ მოღვაწეთა ბიოგრაფიები, მოკლე დახასიათებანი და პორტრეტები.

— პატარა თეატრ „სიმში“ დღეს ახალი პროგრამაა.

— „ნიშანი ზერო“ სახელმწიფო კინომრეწველობის კინოებში ამ დღეებში აჩვენებენ „ნიშანი ზერო“ ვერძეკს დუგლასის მონაწილეობით.

— რუსთაველის თეატრში დღეს მეოთხედ წარმოდგენილი იქნება „ჰამლეტი“.

— „სანახაობა“. გამოვიდა ჟურნალ „ხელოვნება“-ს დამატება „სანახაობა“ № 5.

მუშათა ცხოვრება

მუშათა ბინების ალმშენებლობა დიდუბე-ნაძალადევის უბანში.

თავისთავად ცხადია, რომ ხელისუფლების მთავარ ამოცანად ითვლება მუშების ბინის გაუმჯობესება. სარდაფებში და ბნელ ნესტიან ბინებში მცხოვრებელ მუშების მშრალ და საღ ნათელ ბინებში ჩასახლება და აი ესეც თანდათან ხორციელდება. 1922 წ. დასაწყისში, დგება ჯგუფი, რომელმაც დაარსა სახლების საალმშენებლო კოოპერატიული ამხანაგობა. აღსანიშნავია ის, რომ არავითარი სალსარი ამ ჯგუფს არ მოეპოვებოდა ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმის საწარმოებლად. მაგრამ მათ თავდადებულ მუშაობით მუშათა კეთილდღეობისათვის, უმაღლეს პარტიულ პროფესიონალურ და ადმინისტრატიულ ორგანოების შუამდგომლობით და დახმარებით. ისინი ადგენენ პატარა დაწესებულებას, რომელსაც სახელად უწოდეს მუშათა ბინების ალმშენებლობის ცენტრალური კომიტეტი და აქედან იწყება კიდევ მეტი ენერგიული და გაასკეცებული მუშაობა. ნორჩ დაწესებულებას არც გარე-უბნები დაუვიწყებია! მან გადისროლა ლოზუნგი—„საღი ბინები მუშებს,—დაეხმარეთ მუშათა ბინების ალმშენებლობასო“.

და აი კიდევ სდგება პატარა ჯგუფი რამოდენიმე მოწინავე ამხანაგებისაგან და არსდება რკინისგზელთა საბინაო საალმშენებლო კოოპერატიული, ამხ. ტროცკის სახელობის ამხანაგობა.

აქაც სიტყვიდან საქმეზე გადადიან. შენდება მთელი რიგი სახლებისა დიდუბე-ნაძალადევში და ბინით გაჭირვებული მუშები გადაჰყავთ ახალ აშენებულ, საუკეთესოდ ტეხნიკურად მოწყობილ ბინებში. არ შეიძლებოდა ამ საქმისთვის ყურადღება არ მიექცია და არ დახმარებოდა ქალაქ თბილისის საფონდო საქონლის ბირჟა, რომელსაც განაგებს ძველი მებრძოლი რკინისგზელი, მუშა ამხ. ჩხენკელი.

ამხ. ჩხენკელმა რკ. გზელთა საალმშენებლო კომიტეტის გამგეობას შესწირა 12 ათასი მანეთი, რომლის საშუალებით აშენდა სახლი ორი ბინით; და შიგ ჩასახლდა ორი რკინისგზელი მუშა. სახლი მოწყობილია უკანასკნელ ტეხნიკის მიხედვით ინჟენერ ვოლკოვიჩის მეთაურობით, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის მუშათა ბინების ტეხნიკურად მოწყობაში.

მადლობის ღირსია მოქალაქე ვოლკოვიჩი ამ საქმისადმი ბეჯითად მოქცევისათვის. კვირას, 8 ნოემბერს მოხდა ამ სახლის საზეიმო გადაცემა საფონდო ბირჟის მიერ მუშათა საბინაო კოოპერატიულ ალმშენებლობის გამგეობაზე. სახლი მორთული იყო წითელი დროშებით და გირლიანდებით. შუა კედელს ამშვენებდა მარმარილოს დაფა შემდეგი წარწერით: **„ეს სახლი ააშენა თბილისის საფონდო ბირჟამ და გადასცა ძღვნად რკ. გზის მუშათა კოოპერატიულ ალმშენებლობის გამგეობას“.**

სახლის წინ გაიმართა მიტინგი, რომელსაც დაესწრენ საფონდო ბირჟის წარმომადგენლები ამხ. ჩხენკელის მეთაურობით. ამხ. ჩხენკელმა თავის სიტყვაში აღნიშნა საბჭოთა მთავრობის მუშათა ბინების ალმშენებლობის საქმე. მიტინგს დაესწრენ აგრეთვე ლენინის რაიონის და საუბნო კომიტეტის წარმომადგენლები. იქვე იქნა გადაღებული ფოტოგრაფიული სურათი მიტინგზე მონაწილეებთან ერთად.

ამჟამად რკინისგზელთა ბინების საალმშენებლო კოოპერატიული გამგეობა აშენებს კიდევ სხვა ბინებს. მუშებისათვის და სრული იმედი გვაქვს, რომ რკ. გზის საბინაო ამხანაგობა უფრო ფართოდ გაშლის მის მუშაობას ალმშენებლობაში.

ტროცკის სახელობის საბინაო ალმშენებლობის ამხანაგობა ღრმეს მადლობას უძღვნის ამხ. ჩხენკელს ძმურ დახმარებისათვის. აგრეთვე მოუწოდებს ყველა დაწესებულებებს, როგორიც არის რკინის გზის სამმართველო და სხვებს, მიბაძონ ამხ. ჩხენკელის მაგალითს.

რკინის გზის საალმ. გამგეობის სარევიზიო კომისიის მდივანი
ნეს. ჯავახაძე.

გზა ახალგაზრდობას!

20 ნოემბერს განათლების მუშაკთა კლუბში ბეჭვდითი სიტყვის მუშაკთა სექციის ბიურომ მოაწყო „შეკავშირების“ საღამოს. მაყურებელთა შორის იყვნენ პედაგოგები, თბილისის გაზეთების მუშაკნი და მუშკორები. სექციის სახელით შეკრებილთ მიესალმა ამხ. მალაშხია (გაზ. „კომუნისტი“-დან), რომელმაც ხაზი გაუსვა მოკლე, წრფელსა და თბილ სიტყვაში შეკავშირების უეჭველ მნიშვნელობას ყველა დარგის კულტურულ მუშაკთა შორის. ამხ. მალაშხიას სიტყვის შემდეგ დაიწყო წარმოდგენა. ესტრადაზე გამოჩნდა წითელი სტადიონის—ახალი რევოლიუციონური თეატრის ახალგაზრდათა კოლექტივი. მან გადაუშალა მაყურებელს ისეთი ახალი, ჯანსაღი და ნამდვილი ხელოვნება, რომ დარბაზი დადუმდა და გაქვავებული სტკბებოდა [illegible] ყურებით. სატირა ეხლართებოდა დრამას, ფიზკულტურა ავსებდა არტისტების თამაშს და ახალგაზრდა ძლიერი მკერდებიდან ამოსროლილი ახალი სიტყვები, რომლებსაც თან სდევდა ფოლადის სხეულთა პლასტიკა როიალის აკომპანიმენტის ქვეშ, ორი საათის განმავლობაში თითქმის ჰიპნოტიურ ექსტაზით იპყრობდენ მაყურებლებს. თითქოს ესტრადაზე ახალი, მომავალი ხელოვნების განთიადი ამოდიოდა—და საზოგადოებამაც გაიგო და იგრძნო ეს გაცილებით უფრო ძლიერად, ვიდრე ჩვენი სახელმწიფო თეატრების დარბაზებში. ყველანი ერთის აზრისანი იყვნენ, ყველა აღფრთოვანებული იყო და მადლობას უხდიდა მხურვალე ტაშისცემით სტადიონს.

გამარჯვებული იყავით, იდექით მტკიცედ თქვენ ფოლადისებურ ფეხებზე და ხელოვნების მაღლა ამართული ჩირაღდანით გაანათეთ განწირული და დამპალი ბურჟუაზიის მიერ გამეფებული წყვდიადი!

ბეჭდ. სიტყვის მუშაკთა სექციის ბიუროს კი დიდი მადლობა იმ ნამდვილი სიამოვნებისათვის, რომელიც იქ მაყურებლებმა მიიღეს. დაწყება კარგია. დეე, მომავალშიაც ამგვარად ვე კარგი იყოს.

მაყურებელი.

აგვაცილეთ უბედური შემთხვევები.

(რკინისგზის სამართველოს საყურადღებოთ).

თუ ვინმეს უმოგზაურია მატარებელ „მაქსიმ გორკი“-თ, ის ჩემი წერილის აზრს ადვილათ მიხვდება და კიდეც დამეთანხმება ჩემს შენიშვნაზე. ხსენებული მატარებლის თითქმის მთელი შემადგენლობა შესდგება მე-4-ხარისხის რონოდებიდან. ამ რონოდებს აქვს, ასავალ კიბეებში, სკამები, რომლებიც ასვლის და ჩამოსვლის დროს იწევა ზევით, მაგრამ ჩასაკეტი კი არ აქვს რომ აწეული სკამი დაიმაგროს. ამას კი ხშირად მოსდევს უბედური შემთხვევები.

აი მაგალითიც: ა. წ. 11 ოქტომბერს კახეთიდან მომავალი „მაქსიმ გორკის“ სადგურ ნავთლუღში ხსენებული სკამი გადმოვარდა და თავი გაუხეთქა რკინისგზის მუშას, დათიკო დგებუაძეს.

საჭიროა ამას მიექციოთ ყურადღება, თორემ მოსალოდნელია კიდევ მსხვერპლი.

მუშა სიონელი.

გამოგზავნილი წერილებიდან

— ამ მოროტმა კაცმა აგვიკლო. 19 თებერვლის ქ. სახლი № 9-ში ცხოვრობს ვინმე ავეტისოვი. ეს მოროტი კაცი მოსვენებას არ გვაძლევს. გვლანძღავს, გვაგინებს და ფიზიკურ შეურაცყოფასაც გვაყენებს. მთელი ეზო ამ უდიერ და უზნეო ადამიანს აკლებული ჰყავს.

მუშა ქალი.

— ვიხოცებით სიცივით. ცეკავშირის ცენტრალურ კანტორას სრულიად არ ათბობენ. სიცივეები კი დაიჭირა. კანტორაში მუშაობა შეუძლებელია. ადგილკომო, რად გძინავს?!

ადგილობრივი მუშა.

— ბუფეტის გამგეს ჭკუა ასწავლეთ. „ზაჰესი“-ს პირველ უბანში გვაქვს გახსნილი მუშათა კლუბი და კლუბთან კი სასადილო და ბუფეტი მუშებისათვის. ამ ბუფეტიდან მუშას ეძლევა საშუალება მიიღოს ერთი ჭიქა ღვინო სადილობის დროს, რომ იგი ძალაუნებურად მცხეთის მიკიტნებს არ ჩაუვარდეს. „ბუფეტჩიკი“ კი ამ გარემოებას ანგარიშს არ უწევს და მუშებს კვარტობით აწვდის ღვინოს, ან და სულ არ აძლევს.

ადგილკომო, ალაგმე ეს ბუფეტჩიკი!

უშკორი კოკია კერესელიძე.

— გონზე მოიყვანეთ. თბილისის საყუდის გამგე მოქ. ზვიადაძე ისეთ ატმოსფერას ქმნის საყუდში, რომ ძველი პატიოსანი თანამშრომლები გარბიან სამსახურიდან და ისიც უდიერათ ერეკება მათ სამსახურიდან. ძალიან უდიერათ და უხეშად ეპყრობა იგი თავის ხელქვეით მუშაკებს.

საჭიროა ჭკუა ასწავლოთ ამ უხეშ მოქალაქეს.

ალექ. ხიხარულიძე.

— სახოფლო-სამეურნეო ბანკში. აღნიშნულ ბანკში არის ბუფეტი, სადაც მუშაობენ დები-დოლაქიშვილები, რომელნიც ყოველდღე ჩხუბობენ. შეურაცყოფას აყენებენ სხვებსაც. ადგილობრივ მუშა-მოსამსახურეთ ვერ უსარგებლიათ ამ ბუფეტით.

ასწავლეთ ჭკუა!

მეთვალყურე.

მუშათა ქრონიკა

პლეხანოვის სახ. მუშათა კლუბში.

— კლუბის წევრების რეგისტრაცია. პლეხანოვის სახ. კლუბის წევრების რეგისტრაცია უკვე დაიწყო.

— ორგანიზატორების გამოყოფა. პლეხანოვის სახ. კლუბის გამგეობამ დაადგინა გამოყოფილი იქნეს საკლუბო მუშაობის ორგანიზატორები საამქროებიდან და შემუშავდეს წესდება მათი მუშაობის.

— საერთო კრების მოწვევა. 1-ლ იანვრამდის მოწვეული იქნება 2-ჯერ პლეხანოვის სახ. კლუბის წევრთა საერთო კრება, სადაც უნდა გაკეთდეს საანგარიშო მოხსენებები.

— მოწვევა ორგ. თათბირისა. გამგეობის პრეზიდიუმის დადგენილებით პლეხანოვის სახ. კლუბში, მოწვეულია ორგანიზატორების თათბირი მათ სამუშაო გეგმის მიცემის მიზნით.

— საორგანიზაციო საგანმანათლებლო კომისიები. პლეხანოვის სახ. კლუბის პრეზიდიუმმა დაადგინა, მოეწყოს გამგეობასთან ერთად საორგანიზაციო საგანმანათლებლო კომისიების საერთო თათბირი.

საბჭოთა სასამართლო

ცნობისმოყვარე“ სტუდენტი

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი რევაზ მიქელაძე ისე იყო მთვრალი, რომ ფეხზე ძლივს დგებოდა. ქუჩები მას მრუდეთ უჩნდა თვალში, ქვაფენილი და ფილაქანი მისთვის სულ ერთი იყო. არ არჩევდა, საით გადადგამდა ფეხს.

უეცრად მიქელაძემ მოიკრიბა მთელი თავისი ძალ-ღონე და დაიყვირა: „მეეტლევ, გამაქანე“. ეს ძახილი არ დარჩა ხმად მღაღადებლისა ქუჩისა შინა და მეეტლე კარაპეტოვმა, რომელიც იქვე მახლობლად მიდიოდა, მოაგდო ეტლი.

— სად გვიბრძანებთ,—ჰკითხა კარაპეტოვმა მიქელაძეს.

— აი ეს მართლაც დიდი საკითხია, სად? თუნდაც, რუსთაველის პროსპექტზე.

გზაში მიქელაძემ შენიშნა თავისი მეგობარი ასათიანი, რომელიც მისავით მთვრალი დაეხეტებოდა ქუჩაქუჩა.

— ჩამოჯექი, მე მიგიყვან სადაც გინდა.

— მე მინდა საბურთალოში.

— მეგობრისათვის მე ყველაფერზე მზად ვარ. შემიძლია საბურთალომიაც წაგიყვანო.

ეტლი გაექანა საბურთალოსაკენ.

— შენ გენაცვალე, ეუბნება მიქელაძე მეეტლეს, დაჯექი შენ ჩემს ადგილას, მე ვიქნები მეეტლე. მე მინდა ყველაფერი გამოვცადო ცხოვრებაში. გესმის, მინდა ვისწავლო ეტლის წაყვანა.

— არ შემიძლია. ეს აკრძალულია.

— აკრძალულია! იყოს აკრძალული. შენ ფიქრობ, მე მთვრალ-ლ-ლი ვარ?

კარაპეტოვმა ჩაიცინა პასუხის მაგიერ.

— ხუთი წუთით. კარგი, სამი წუთით. არც სამ წუთზე არ ხარ თანახმა? მე შენ გიჩვენებ!

და მიქელაძე გადავიდა შეტევაზე კარაპეტოვის წინააღმდეგ. ასათიანი ამხანაგს აქეზებდა „ლამაზი სიტყვებით“ თავისი ლექსიკონიდან.

ბრძოლა დიდ ხანს არ გაგრძელებულა, რადგან მალე გამოჩნდა მილიციელი.

მეეტლეობის მოყვარე მიქელაძე და მისი მეგობარი ასათიანი მოხვდენ ჯერ კომისარიატში, შემდეგ კი სახალხო სასამართლოს სამორიგეო კამერაში.

სასამართლომ მიქელაძეს აღუკვეცა თავისუფლება პირობით სამი წლის ვადით, ასათიანი კი დააჯარიმა 25 მანეთით.

მ.

შემთხვევები

— ცეცხლი. 22 ნოემბ. ვერცხლის ქ. № 7, გალაშვილისის საოქრომჭედლო სახელოსნოში გაჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლისმქრობელ რაზმა.

— სამი წლის წინად დაკარგული ხარები. სამი წლის წინად ხამადალი ოღლის სოფ. ახტაგალიაში (ყარაიაზის რაიონი) მოპარეს ერთი უღელი ხარი. 21 ნოემბერს დაზარალებული შემთხვევით შეხვდა აბდულაიის რაიონის მცხოვრებს პეტრე ფულიშვილს, რომელსაც ურემში ება დაკარგული ხარები. ფულიშვილი შეიპყრეს.

— ბავშვის პოვნა. 22 ნოემბ. ღამის 10 სნათზე მეეზოვემ ალექსანდროვის ქუჩაზე იპოვა ახლად-დაბადებული ბავშვი, რომელიც გადაგზავნილი იქნა ლენინის სახელობის საბავშვო სახლში.

— შეპყრობა. 22 ნოემბერს შეიპყრეს ვინმე ავეტიანი, რომელსაც უნდოდა გაექურდა აჯამეთის ქ. № 6 კახიანის ბინა.

— მკვლელობა. 17—18 ნოემბ. ღამით სოფ. დურნუკში მოკლეს დავით ალახვერდოვი.

— ხანძარი. რამდენიმე დღის წინათ სოფ. ხორხის და სოფ. იკილოვ-გორიანის ახლოს მდებარე ტყეებს გაუჩნდათ ცეცხლი, რომელიც ჩაქრობილი იქნა. ზარალი გამოურკვეველია.

— ბავშვის გვამი. 11 ნოემბ. სოფ. კოჯბონში მოქ. პეტრე ბიქაურს უპოვნია ახლად დაბადებული ბავშვის გვამი, რომელსაც ძაღლი სჭამდა. კვლევა-ძიება სწარმოებს.

— ქურდობა. 22 ნოემბ. დღით მუხრანის ქ. № 5 გაქურდეს მიკირტიჩ არუთინოვის სახელოსნო.

წერილები სოფლიდან

როგორ არ უნდა იწერებოდეს საპასუხო წერილები

თითქმის არც ერთი სოფლის კორესპონდენცია, რომელიც კი შეეხება რაიმე ნაკლს ან ბოროტმოქმედებას, უპასუხოთ არ რჩება სათანადო დაწესებულებების და ორგანიზაციების მიერ. დიდია ყურადღება, რომლითაც ეკიდება საბჭოთა საზოგადოებრიობა პრესის ხმას. ეს, რა თქმა უნდა, ფრიად სასარგებლო და საგულისხმო მოვლენაა.

მაგრამ სამწუხაროა ისაა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, კორესპონდენტის წერილებზე გამოხმაურება ერთობ მავნე ხასიათს ღებულობს და ბიუროკრატიულ მედიდურობას ემსგავსება. სწორია თუ არა, გლეხკორის მიერ მითითებული ნაკლი, აქვს თუ არა ადგილი ბოროტმოქმედებას, ზოგიერთი დაწესებულების ხელმძღვანელი პირი თავის ზნეობრივ მოვალეობათ სთვლის, რათაც არ უნდა დაუჯდეს, აღადგინოს დაწესებულების შელახული თავმოყვარეობა და საქმის გამოუძიებლათ პასუხი გასცეს „შეურაცხყოფის“ მიმყენებელს.

ცხადია ასეთ შემთხვევაში ფაქტების ფაქტებითვე უარყოფას ყველაზე ნაკლები ადგილი აქვს. საპასუხო წერილები აშენებულია კორესპონდენტის პიროვნების დამცირებაზე და მიკიბულ-მოკიბულ თავის მართლებაზე. სხვა მრავალ მაგალითებიდან მოვიყვანთ ერთ შემთხვევას. ამას წინად გლეხკორმა „სიკომ“ მოათავსა ჩვენს გაზეთში პატარა შენიშვნა „მოქეიფე კოოპერატორების“ სათაურით. დაწესებულება, რომელსაც ეს შენიშვნა ეხებოდა, მაშინვე ყალყზე დადგმა და საქმის გამოუძიებლათ გამოაცხო ხუთჯერ იმაზე მეტი საპასუხო წერილი, რომელიც მოთავსებული იყო გლეხკორ სიკოს მიერ.

სანამ ამ საპასუხო წერილიდან ზოგიერთ დამახასიათებელ ადგილს მოვიყვანდეთ, ჩვენ მოკლეთ მოვაგონებთ მკითხველს, რაზედაც სწერდა ამხ. სიკო თავის შენიშვნაში. თბილისიდან მატარებლით უკან ბრუნდებოდენ ერთ-ერთ დაწესებულების რწმუნებულები, რომელნიც გამოგზავნილი ყოფილან ქალაქში ფართლეულობის შესაძენათ. ვაგონში მათ ქეიფი და ოროველა გაემართათ. მგზავრებში რწმუნებულთა ასეთ ყოფაქცევამ უკმაყოფილება გამოიწვია. ამხ. სიკო სრულიად სამართლიანად ჰკიცხავდა „კოოპერატორების“ ამგვარ უმზგავსობებისათვის.

პასუხათ ასეთ შენიშვნაზე ჩვენ ვღებულობთ შემდეგნაირათ „დასაბუთებულ-წერილს“. აქ განზრახ არ ვასახელებთ წერილის ავტორ დაწესებულებას, რადგან ის იმდენათ ავტორიტეტულია, რომ მას ბევრათ მეტი მოეთხოვება, ვიდრე რომელიმე მივარდნილ კუთხის თემსაბჭოს. ჩვენ გვწერენ:

„ესა და ეს დაწესებულება დიდ აღშფოთებას გამოსთქვამს ასეთი შეუმოწმებელ ფაქტებზე დამყარებულ წერილის გაზეთში მოთავსებაზე... ჩვენ მიერ ამ რამოდენიმე დღის წინათ შექენილი იყო თბილისში საქონელი, მაგრამ ასეთის შესაძენათ გავაგზავნეთ მხოლოდ ერთი წარმომადგენელი. თუ პატივცემულ „ფხიზელ“ სიკოს ერთი კაცი „რწმუნებულათ“ მოეჩვენა, არ არის გასაკვირი, ვინაიდან რონოდაში მითვლემილი დაღლილი და დაქანცული „სიკო“ ერთი კაცის ხმას სიზმარში გრძნობდა. როგორც „რწმუნებულების ოროველას“. თუ რონოდაში მჯდომ მგზავრებს „კორესპონდენტი“ „სიკო“ რწმუნებულათ სთვლის, ბოდიშს ვიხდით, რომ ასეთ უვიცობას ადგილი ჰქონია „სიკოს“ აზროვნებაში. ჩვენ კი არც ისე მოკლებული ვართ აზროვნებას, როგორც „სიკოს“ ჰგონია, რომ ათასი თუმანის საქონლის შესაძენათ ავყაროთ ყველა ადგილობრივი მოქალაქენი და რწმუნებულებათ გამოვაცხადოთ ისინი“.

მთელი წერილი თავიდან ბოლომდი ასეთი კილოთია დაწერილი. რამდენი ულაზათო ცდაა ამ წერილში კორესპონდენტის დასამცირებლათ და გასამასხარავებლათ, რამდენი ბიუროკრატიული ამპარტავნობაა შიგ! რაკი ერთი რწმუნებული ყოფილა გაგზავნილი ფართლის შესაძენად, ამიტომ ისეთ რამეს ადგილი არ ექნებოდა, რომელზედაც ამხ. სიკო გვწერდა ჩვენ. აი ერთად-ერთი მოსაზრება მართლაც „პატივცემულ“ ავტორიტეტულ დაწესებულების მოწერილობაში. მოდი და ჰკითხე ჭკუა ამის შემდეგ იმ დაწესებულებას, რომელიც სხვას ეცინის უვიცობას.

ეს ერთი და ორი მაგალითი არაა. რედაქციის საფოსტო ყუთი მდიდარია ასეთ „საპასუხო“ წერილებით, რომლის ავტორებიც შემდეგ უკმაყოფილებასაც კი გამოსთქვამენ, რომ მათ თავის მართლების საშუალება არ ეძლევა. ყოველ საპასუხო წერილში, რომელიც მიზნათ ისახავს სიმართლის აღდგენას, ჩვენ მოვითხოვთ ფაქტს და მხოლოდ ფაქტს. გაზეთს არ სცალია უკბილო ოხუნჯობისათვის—ჩვენ არავის მივცემთ კორესპონდენტების უმართებულო გამასხარავების ნებას.

ა. ბ—ლი.

მწყურვალე სოფლები

(წერილი ახალქალაქის მაზრიდან)

ახალქალაქის მაზრის სოფლებში: ჩუნჩხაში, ქილდაში, პტენაში, გოგაშენში, აფნიაში და სხვაგან გლეხები პირდაპირ აუტანელ მდგომარეობაში არიან უწყლოობის გამო. ეს სოფლები გაშენებულია ტრიალ მინდორზე, სადაც არც ერთი ხე არ მოიპოვება. ახალქალაქის მაზრაში ხეები საზოგადოთ იშვიათი მოვლენაა. ამას ზედ ერთვის წყლის უქონლობა. გლეხებს ერთადერთი საშუალება აქვთ უწყლოობის გამო გამოწვეული მდგომარეობის შესამსუბუქებლათ. ისინი სთხრიან დიდს ორმოებს, ზამთარში თოვლის წყლით ავსებენ, ნაწილობრივ წვიმებიც ემატება და ამგვარი საშუალებით მომარაგებული წყალი იხარჯება როგორც პირუტყვისათვის, ისე ზოგიერთ შემთხვევებში თვით მცხოვრებლებისათვის. [illegible], ზაფხულში ეს ორმოები შრება და უწყლოობის თავიდან აცილება მაინც შეუძლებელი ხდება. გარდა ამისა, წყლის ამ სახით მომარაგება მრავალ ავადმყოფობას ავრცელებს. თოვლისა და წვიმების ჭუჭყისაგან შეზავებული წყალი აჩენს ავადმყოფობას და ამით უნდა ავხსნათ, რომ ამ სოფლებში ხშირია სიკვდილიანობა.

გლეხები მიმართავენ თხოვნით, საქართველოს ცენტრალურ მთავრობას, რათა მან მიაქციოს სათანადო ყურადღება ახალქალაქის მაზრის ზემოხსენებული სოფლების უმწეო მდგომარეობას. ათი-თერთმეტი ვერსის მანძილზე არის მდინარე, რომლის ამ სოფლებში გამოყვანითაც სამუდამოთ მოსპობილი იქნებოდა გლეხების უწყლობაზე ჩივილი.

გრ. თოთაძე.

სამკითხველოს შემოსავალი—სამკითხველოშივე უნდა დარჩეს

(თელავი)

თელავს აქვს ერთად-ერთი სამკითხველო, რომელსაც ჰყავს 150 მეტი ხელისმომწერელი. უნდა ითქვას, რომ სამკითხველოს მუშაობა კარგათ არის დაყენებული. სამკითხველო საკმაოთ არის დაკმაყოფილებული გაზეთებით და ჟურნალებით როგორც ქართული, აგრეთვე რუსულიც. დღე და ღამ დარბაზი სავსეა ხალხით.

მაგრამ ამასთან ერთად სამკითხველოს აქვს ერთგვარი ნაკლიც. ხელისმომწერლები არამშრომელ ელემენტებიდან იხდიან თვეში 20 კაპ. ამ შემოსავალს ხმარობს თავისი საჭიროებისათვის პოლიტგანი. უმჯობესი იქნებოდა, რომ მთელი ეს შემოსავალი მოხმარებოდა, სამკითხველოს ახალი წიგნების შესაძენათ და ამით გაფართოებულიყო ხელისმომწერლების რიცხვი, რომლების დაჟინებითი მოთხოვნილებაა სწორეთ ამ საკითხის გადაჭრა.

ხელის მომწერელი.

შორს ასეთი ექიმი!

(ჩაქვი)

გასულ სამი წლის განმავლობაში ჩაქვის სახალხო მამულში მსახურობდა ექიმი ვარაბიოვი, რომელმაც კეთილსინდისიერ მუშაობით და თავის საქმის ცოდნით დიდი ნდობა და სიყვარული მოიხვეჭა მუშა-მოსამსახურეებს შორის.

რამდენიმე ხნის წინათ ექიმი ვარაბიოვი თავის სურვილით რუსეთში წავიდა. ჩაქვი დარჩა უექიმოთ.

აჭარისტანის ჯანმრთელობის კომისარიატმა მის ადგილას გამოგზავნა ექიმი ქალი, რომელსაც მკურნალობის ბევრი არაფერი გაეგება. გაგებასაც რომ თავი დავანებოთ, ეს ექიმი ქალი ბევრს უკადრისობს და ავადმყოფ-მუშებთან ლაპარაკი თავის დამცირებათაც მიაჩნია. უფრო მეტ დროს ის ანდომებს თმის და წარბების შეღებვას და ფრჩხილების გაწმენდას. ავადმყოფი რომ სიკვდილის პირზე იყოს მიმდგარი, უეტლოთ ფეხსაც არ გადადგამს. ჩაქვი ცნობილია, როგორც ციებ-ცხელებიანი ადგილი. აქ ავათმყოფობა ხშირია. ამიტომ საჭიროა ენერგიული და საქმის მცოდნე მუშაკი.

როდესაც ჩვენ კარგი ექიმი მოვითხოვეთ, აჭარისტანის ჯანმრთელობის კომისარიატმა გვიპასუხა, კარგი და მცოდნე ექიმები მაზრებში არ მოდიან და ჩვენ ძალდატანება არ შეგვიძლიაო. განა ასეთი პასუხი მისაღებია? მე მგონია ეს ქალი მოხსნილი უნდა იქნას და მის ადგილზე კი უნდა გადმოიგზავნოს მცოდნე და ენერგიული მუშაკი, რომელიც დააკმაყოფილებს ჩაქვის მოთხოვნილებებს და ადგილი არ ექნება იმას, რასაც დღემდი ვხედავთ აქ.

ვ. ცხუნკურელი.

ერთი წლის მუშაობის შედეგები

(თელავი)

„წერკუმსს“ თელავის მაზრაში საძირკველი ჩაეყარა 1924 წ. ოქტომბერში. ჯერ წარმოიშვა რამოდენიმე უჯრედები თვით თელავში და ზოგიერთ ახლომდებარე სოფლებში. საპატიო მიზეზების გამო ეს უჯრედები უმეტეს შემთხვევაში სუსტად მუშაობდნენ. სამაზრო გამგეობამ მაინც შესძლო თავის ხარჯზე გაეხსნა 3 ლიკსკოლა. სხვა მხრივ „წერკუმს“-ი დიდ დახმარებას უწევდა ქოხ-სამკითხველოებს, თვალყურს ადევნებდა ლიკ-სკოლების მეცადინეობის ნორმალურ მიმდინარეობას და სოფლად კულტურულ მუშაობას ეწეოდა.

1925—26 წლის პერიოდში ჩვენ ვხედავთ „წერკუმსს“ ერთი-ათად გაზრდილს. ყველა სოფლებში არსდება ახალი უჯრედები.

ამასწინათ თელავში მოწვეულ იქნა სხვადასხვა ორგანიზაციების მასიური კრება. აქ გაკეთებული იქნა საანგარიშო მოხსენება „წერკუმსის“ მუშაობის შესახებ. საერთოდ „წერკუმსის“ კვირეულის გატარებაში სამაზრო ალმასკომმა ძლიერ შეგვიწყო ხელი. გადმოგვეცა კინოს ერთი დღის შემოსავალი და შემოგვწირა ფული. შეკრეფილ იქნა აგრეთვე ფული ყულაბებით. შედეგათ ამ კვირეულს მოჰყვა უჯრედების სტიქიურად წარმოშობა. ამათ შორის უფრო შესანიშნავად ჩატარდა „წერკუმს“-ის უჯრედის დაარსება ქ. თელავის ხელოსანთა კავშირში.

25 ნოემბერს არის მოწვეული „წერკუმს“-ის სამაზრო კონფერენცია, რომელიც უფრო გაარღმავებს თელავის მაზრაში წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის საქმეს.

დ. გურჯიშვილი.

წერილებიდან

გორი

ღვინის მოყვარული აფთიაქარები. აჭაურ აფთიაქის გამგე და ფარმაცევტები ისე კვირას არ გაუშვებენ, რომ ორჯერ-სამჯერ ქეიფი არ გამართონ თვით ლაბორატორიაში. ქეიფის დროს, რომელიც უმეტესად ღამ-ღამობით ხდება, აფთიაქის კარები ღიაა. მოქალაქენი შედიან წამლებისათვის და პოულობენ შეზარხოშებულ აფთიაქარებს. ასეთ პირობებში არავინ დაზღვეული არაა, რომ წამლის ნაცვლათ, მას საწამლავი არ მისცენ.

მეთვალყურე.

გორი

მოკრივე მოიჯარადრე ქალი. წითელი სასადილო № 2 იჯარით აიღო ვინმე ბახტაძის ქალმა. ის სასადილოს მოსამსახურეებს უდიერათ ეპყრობა და ზოგჯერ მუშტებითაც არ აკლებს პატივისცემას. ამას წინათ მან სცემა სასადილოს ერთ მოსამსახურეს. გარდა ამისა კვირაობით სასადილოში შემოვიდენ მთიდან ჩამოსული ორი-გლეხები. მოკრივე ქალი მათ ადამიანებათ არ აგდებს და ლანძღვა-გინებით აძლევს პურს.

სიკო.

ხვირი (ქუთ. მ.)

გლეხები კმაყოფილია. წელს ყურძნის მოსავალი საშუალოზე უკეთესი იყო. დიდი სამსახური გაუწია გლეხებს მევენახეთა საზოგადოება „სვირმა“. ის ქუთაისის ფასებით იძენდა ყურძენს გლეხებისაგან და ანგარიშს იქავე ასწორებდა. ამნაირათ გლეხები გადარჩენ ქუთაისში წასვლის საჭიროებას და თავისი თავისი და ხარ-ურმის მოცდენას. სამწუხაროთ „სვირმა“ უსახსრობის გამო ვერ შესძლო ყველა ყურძნის შეძენა, რომელიც გლეხებმა ბაზარზე გამოიტანეს.

გ. კოჟელი.

ხ. ვანი (გურია)

საზოგადოებრივი წესიერება ირღვევა. ამას წინათ ორი მთვრალი, სანდრო მახარაძე და ადგილობრივი შვიდწლედის გამგე მოვიდნენ კოოპრატივში. აქ 30 კაცამდე მყიდველები იყვნენ. გამგე, როგორც იქნა, წავიდა ბინაზე. დარჩა მახარაძე, რომელიც მოჰყვა უწმაწურ სიტყვებით გინებას და კოოპერატივში მოსულ გლეხების შეურაცყოფას. რადგან ვაჭრობა აღარ შეიძლებოდა, ნოქარმა ხალხის თხოვნით დაკეტა კოოპერატივი. მაგრამ ღვინით გალეშილი მახარაძე არც გარეთ გამოსულ ხალხს ეშვებოდა. დიდი წვალების შემდეგ, ის დაიჭირეს და ისე წაიყვანეს სახლში. ასეთი შემთხვევები ვანში ხშირია. საჭიროა მილიციის ყურადღება.

ხაფანგი.

ლაშის ღელე (გურია)

რამ ჩაყლაპა სამკითხველოს ფული? 7 თუ 8 წელიწადია, რაც სამკითხველოს სასარგებლოდ წარმოდგენები იმართება და სხვადასხვა შეწირულებები იკრიბება. დღემდი ამ ფულის ბედი არავინ იცის. ამას წინად მოწვეულ იქნა საზოგადო კრება, სადაც კომისიამ დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ გაგვცა ფულის დახარჯვის შესახებ. არჩეულია დამატებითი კომისია. იქნება ამან მაინც გამოარკვიოს, რამ, ან ვინ ჩაყლაპა სამკითხველოს ფული?

გულშემატკივარი.

თერჯოლა (შორ. მაზ.)

ვებრძვით წერა-კითხვის უცოდინარობას. ადგილობრივ ქოხ-სამკითხველომ გამოჰყო უჯრედი წერა-კითხვის უცოდინარობასთან საბრძოლველად. გლეხები ხალისით ესწრებიან წერკუმსში. დადგენილია გაიხსნას 6 სალიკვიდაციო სკოლა. ერთი სკოლის შენახვას კისრულობს ადგილობრივი წერკუმსი, დანარჩენებზე საჭირო იქნება მაზრის დახმარება.

ვალ—ია.

თერჯოლა (შორ. მაზ.)

დააჩქარეთ ჯამაგირები. სექტემბრის ჯამაგირები ჯერაც არ მიუღია ადგილობრივ მასწავლებლებს. ბევრ მათგანს ვალები აქვთ აღებული კერძო პირებისაგან. დააჩქარეთ ჯამაგირები.

ვანე.

სურამი

თავის **საქმეებზე დასეირნობს.** კომუნალურ განყოფილებაში მსახურობს ვინმე ლეო ბაბუროვი. ის მეტ დროს თავის ფურნეზე და ფქვილების შეძენაზე ზრუნვას ანდომებს, ალმასკომის დარაჯი მარტო მის ძებნას უნდება. საქმე ფერხდება, ვაჰარს რა უნდა საბჭოთა დაწესებულებაში?

ელვა.

სატრანსპორტო მშენებლობის ფარ-
განკათარებას.
ლისუფლების ეკონომიურ და პო
ჩა მოსახლეობის ხელში, ართულებს
თი ფართე გასავალი აქვს დღეს ჩვენ-
სარაზიელ გლეხთა აჯანყება მოხდა
სათვს მასალას.

იურიდიული რჩევა-დარიგება

მეკუთვნის თუ არა გასასვლელი ან-და რაიმე ჯილდო.

კითხვა:

მე ვიყავი არჩეული და ვმსახურობდი ერთ-ერთ მთლიან კოოპერატივის გამგეობის წევრად სამი წლის განმავლობაში. მხოლოდ ამა წლის 12 აგვისტოდან ცეკავშირის მოთხოვნით ვიქენი მოხსნილი და გადაყვანილი მეზობელ კოოპერატივის გამგეობის წევრად.

გთხოვთ განმიმარტოთ, მეკუთვნის თუ არა გასასვლელი ან და სხვა რაიმე გასამრჯელო (ერთდროულად). თუ მეკუთვნის რომელ ორგანიზაციიდან?

ს. კ—ლი.

პასუხი:

გასასვლელი ჯილდო მოგეცემათ მუშა-მოსამსახურეთ, მხოლოდ შრომის კანონთა კოდექსის მუხ. მუხ. 36, 37, 88 და 89-ში გათვალისწინებულ შემთხვევებში. თქვენ ეს მუხლები არ შეგეხებათ და გასასვლელ ფულს ვერ მიიღებთ! თქვენ მიიღებთ ძველ გამგეობასთან ანგარიშის გასწორების დროს გამოუყენებელ შვებულების ჯილდოს და აგინაზღაურდებათ ის ხარჯები, რაც თქვენ გასწიეთ ბინადრობის გამოცვლის გამო, თქვენგან დამოუკიდებელ მიზეზებით.

შესაძლებელია თუ არა მუშა-საქონლის დაზღვევა

კითხვა:

ხაშურ-შორაპნის რაიონის ხე-ტყის დამამზადებელი ტრესტის მეურმეებმა გამოსთქვეს სურვილი მუშა-საქონლის დაზღვევაზე და დამავალეს შუამდგომლობის აღძვრა სათანადო ორგანოს წინაშე. როგორც გამოირკვა, შორაპნის მაზრაში არ არსებობს ისეთი ორგანო, რომელსაც დავალებული აქვს მუშა-საქონლის დაზღვევა მაზრის ფარგლებში.

გთხოვთ გვეიმარტოთ, არის თუ არა შემოღებული ასეთი წესები და თუ არის, ვის უნდა მივმართოთ, რომ მუშების დავალება მოვიყვანოთ სისრულეში.

ადგილკომის პასუხისმგ. მდივანი მ. ჩხიკვაძე.

პასუხი:

მუშა-საქონლის და სხვა საქონლის, ბაღ-ბოსტანის, ვენახის, ნათესის, ნაშენის და შენობების დაზღვევა შესაძლებელია და სასარგებლოც. ხოლო ამის შესახებ თქვენ უნდა მიმართოთ საქარ. რესპუბლიკის სოც. დაზღვევის სამმართველოს თბილისში, საიდანაც თქვენ მიიღებთ სათანადო ინსტრუქციებს და ყოველგვარ ცნობებს, თუ როგორ და რა წესით ხდება აღნიშნული დაზღვევა.

ვის მივმართოთ და როგორ მოვიქცეთ

კითხვა:

ჩემთან ერთად ს. საყულიის თემის გლეხებს სურთ გაიგონ აქვთ თუ არა მათ უფლება მოითხოვონ მიწის ხარისხების მიწკომების მიერ უკანონოდ ამა თუ იმ ნაკვეთზე მინიჭების გამოსარკვევად მოიწვიონ გამოცდილი აგრონომი და საიდან შეიძლება ამის მოთხოვნა.

საყულიის თემის გლეხი დავით ხაზარაძე.

პასუხი:

თანახმად მიწის კოდექსის მუხ. 120-სა მიწათმოწყობა უნდა სწარმოებდეს დაინტერესებულ მხარეთა ან მათი წარმომადგენლების დასწრებით, რომელნიც რწმუნებამოსილი უნდა იყვნენ რწმუნებულობის მიმცემის სახელით შეასრულონ ყოველგვარი მოქმედება, რაც საჭირო იქნება მიწათმოწყობისათვის.

ამგვარად თუ მიწკომის მიერ დაშვებულია რაიმე შეცდომა, თქვენ გაქვთ უფლება აცნობოთ ამის შესახებ თქვენი მაზრის საადგილ-მამულო განყოფილებას სათანადო ზომების მისაღებად.

ბინის ქირის შესახებ

კითხვა

ვცხოვრობ 19 თებერვლის ქუჩაზე № 93 ოთახი შეიცავს 25 კვ. არშინს. მე ვირიცხები თვით მშრომელთა კავშირის წევრათ (წიგნ. № 1559.) მსურს გავიგო თუ, რამდენი უნდა გადავიხადო ოთახის ქირა.

თვითმშრომელი.

პასუხი

თვითმშრომელთა კავშირის წევრები ყოველ კვადრატიულ არშინზე იხდიან არა ნაკლებ ერთი შაურისა და არა უმეტეს ორ შაურისა.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის აღრიცხვა-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგ ბს გამოცხადდენ ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში 25, 26, 27, 28 ნოემბერს დილის 10 საათზე.

1. ანდღულაძე მ., 2. გრიგორიევი მინას, 3. ბერულავა ილია, 4. სოხაძე ამბაკო, 5. კოლესნიკოვი ივანე, 6. კოპალეიშვილი ევგენი, 7. კრივიჩი ნიკოლოზ, 8. პაპინაშვილი გიორგი, 9. იგნატიევი ტიმოთე, 10. ჩხეიძე არტემ, 11. ობოლაძე დომენტი, 12. ალიგასანოვი და 13. ბოიანდუროვი გიორგი.

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი იტყობინება, რომ ოთხშაბათს, 25 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის შენობაში (პლეხან. პრ. № 96) შესდგება **არსენალის რაიონის უჯრედთა ორგკომისიების წევრთა თათბირი.**

სავალდებულოა არსენალის რაიონის უჯრედთა ორგკომისიების ყველა წევრების გამოცხადება დაუგვიანებლად.

მდივანი—ფანცულაია.

— დღეს, სამშაბათს 24 ნოემბერს, დღის 2 საათზე, საქ. კომპარტიის ცეკას აგიტპროპის ბინაზე (ამხ. მუშიშვილთან) დანიშნულია რემედას-ის საქ. ცეკას პრეზიდიუმისა და სარევიზიო კომისიის წევრთა შეერთებული სხდომა, დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის: ჩოდრიშვილი მიხა, ჯიჯაძე, მუშიშვილი, არჩილ რუხაძე, ზაქს, ჯ.იანი, გიკ, ქელიძე, ბელიაევი, მთვარელიძე, მარღანიძე, ხაზანოვი, კიზირია, ატაბეკოვი-ტუმასს (პოლიტ-კონტროლიორები) და ქართული წითელ ჯარიდან.

რემედას-ის საქ. ცეკა.

— კომკავშირის ქალაქის რაიკომი აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 25 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე ახალ კლუბში (ყოფ. ქართული კლუბი, სასახლის ქ. № 5) **გაიხსნება მე-8-ე კონფერენცია კ. კ. თბილისის ორგ. ქალაქის რაიონისა.**

დღის წესრიგი:

1. ს. ა. ლ. კ. კ. ც. კომიტეტის მოხსენება, 2. რაიკომის ანგარიში და ნორჩ. პიონერთა რაიბიუროს თანამოხსენება, 3. რაიონული კომიტეტის არჩევნები და 4. დელეგატების არჩევა თბილისის კონფერენციაზე.

— ლენრაიონის წ ე რ კ უ მ ს ი ს საბჭო ამით იტყობინება, რომ 24 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე, პლეხანოვის სახელობის კლუბის დარბაზში მოწვეულია წერკუმსის სარაიონო კონფერენცია. დელეგატების დასწრება სავალდებულოა.

—საშუდო საზოგადოების მესამე რაისაბჭო იუწყება: დღეს, 24 ნოემბერს, საღამოს 5 ს. მესამე რაიონის პარტკლუბში შესდგება საზოგადოების ადგილობრივ გამგეობათა ფრაქციების თათბირი.

— არსრაიკომი იუწყება: დღეს, 24 ნოემბერს, საღამოს 5 საათ., რაიკომის ბინაზე შესდგება რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

დასწრება სავალდებულოა პრეზიდიუმის ყველა წევრებისა და კანდიდატებისთვის

მდივანი—ფანცულაია.

პროფესიული

— დღეს, საღამოს 6 საათზე განათლების მუშაკთა სახლში—პროგრამების დამუშავება—1-ლი და მე-2-რე ჯგუფის ქართველ მასწავლებელთათვის, საღამოს 7 საათზე—კომპარტიის ისტორია—ამხ. პაპავა.

განცხადებები

გულდათუთქული ნიკოლოზ იასონის ძე ციციშვილი თავის პაწია შვილებით ზაზა და თინათი აუწყებენ ყველა ნაცნობ-მეგობრებს, რომ ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის საყვარელი მეუღლე, ხოლო მეორეთა ძვირფასი დედიკო

თამარ ლუარსაბის ასული ციციშვილისა

პანაშვიდი გადახდილი იქნება დღეს, საღამოს 6 საათზე, საკუთარ ბინაზე: ქსენიევის ქუჩა № 11. გამოსვენება ოთხშაბათს ა | წ. 25 ნოემბერს, დღის 3 საათზე, ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე.

ღრმათ დამწუხრებული ანტონ ნესტორის ძე გოცირიძე ცოლშვილით აუწყებს ნათესავთ და მეგობრებს საყვარელი სიძის

მიხა ივანეს ძე სოხაძის

გარდაცვალებას ა. წ. 23 ნოემბერს, ელისაბედის ქ. № 59.

588—1—1

ამ დღეებში
კ ი ნ ო-თეატრებში
არფასტრო
და
ს ო ლ ე ი

არაჩვეულებრივი სურათი

ნიშანი Z ზორო

მთავარ როლში სურათ
„ბაღდადელი ქურდის"
გ მ ი რ ი
დუგლას ფერბენკს

ნ. № 293—1—1

ამ.-კავკ. რკინისგზათა სამმართველო

ამით აცხადებს, რომ

ქ. გორში 26 ნოემბრიდან გაიხსნება **რკინისგზის ქალაქის სადგური**

რომელიც აწარმოებს შემდეგ ოპერაციებს:

1. გაყიდვას ბილეთებისას და პლაცკარტებისას ყველა მატარებლებზე როგორც ადგილობრივ, ისე პირდაპირ მიმოსვლაში.
2. ბარგის და ტვირთის გაგზავნას ფრახტის გადატანით დანიშნულების სადგურზე ადგილობრივ და პირდაპირ მიმოსვლაში.
3. ბარგის და ტვირთის ჩაბარებას კლიენტების ბინაზე, საწყობებში, მაღაზიებში და სხვ.
4. გაცემას კომერციულ და სამიზნო სესხისას საქონლისა გირაოს ან სხვა გარანტიის ქვეშ.
5. საწყობის ოპერაციებს—შენახვა ტვირთისა.
6. ფასდადებითი ოპერაციებს.
7. დაზღვევას ტვირთისას.
8. სხვა სატრანსპორტო საექსპედიციო დავალებებს.

ქალაქის სადგური მოთავსებულია ქალაქ გორში აკაკი წერეთლის ქუჩაზე, № 13.

დავალებები სრულდებათ ზედმიწევნი სისწრაფით და სიბეჯითით.

ნ. 3—2

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზომო მწუხარებაში მყოფნი და გულდათუთქულნი: ნინო ზაქარიას ასული ნიჟარაძისა, შვილებით: კოლა, შალვა და მარგარიტათი, აუწყებენ ყველა ნაცნობ-ნათესავ-მეგობრებს, რომ ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, უდროოდ გარდაიცვალა პირველის საყვარელი და დაუვიწყარი შვილი, ხოლო მეორეთა საყვარელი და

თამარ ლუარსაბის ასული ციციშვილისა

პანაშვიდი გადახდილი იქნება დღეს საღამოს 6 საათზე საკუთარ ბინაზე ქსენიევის ქუჩა № 11. გამოსვენება ოთხშაბათს ა | წ. 25 ნოემბერს დღის 3 საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე.

გულდამწვარი მშობლები, თორნიკე და ნადია გეგეშიძეები შვილებით: ზინაიდა, ნათელა, ქეთევან და დარეჯანით, აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ქ. ქუთაისში, 20 ნოემბერს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, უდროოდ გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი შვილი, სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტის პირველ კურსის სტუდენტი

თ ი ნ ა (თამარი),

რომლის დაკრძალვა დანიშნულია 24 ნოემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე სოფ. დიმში. 592—1—1

ღრმად დამწუხრებული შვილები ოლღა, სერგო, მიხეილ, ალექსანდრე და გრიგოლ, რძლები დარიკო, მარიამი ოლღა და ელენე მგალობლიშვილები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ ნაცნობთ და მეგობართ, რომ კვირას 22 ნოემბერს, გარდაიცვალა მათეის ძვირფასი და დაუვიწყარი დედა

მარიამ ანდრიას ასული მგალობლიშვილისა

რომლის დაკრძალვა მოხდება დღეს, სამშაბათს 24 ნოემბერს ქ. ქუთაისში, საფიჩხიის სასაფლაოზე. 591—1—1

ა | წ. 21 ნოემბერს, დილის 6 საათზე არამიანცის სახელობის საავადმყოფოში, ხანმოკლე [ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

მიხეილ დიმიტრის ძე ბეგიაშვილი

უძვირფასეს დანაკარგს გამოუთქმელი მწუხარებით აუწყებენ ყველა ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ შვილები: დმიტრი და ბორისი, რძალი ანა, შვილიშვილები: ნანა, მაშიკო და სონიჩკა, ძმა მელიტონი ცოლშვილით, დები ბარბარე დიმიტრის ასული უთურგაურისა და ნატალია დიმიტრის ასული ბეგიაშვილი. გამოსვენება მოხდება არამიანცის საავადმყოფოდან, 24 ნოემბერს 3 საათზე, ვერის ნიკოლოზის ეკლესიაში, სადაც იქნება გადახდილი პანაშვიდი საღამოს 6 საათზე 24 ნოემბერსვე. დაკრძალვა ამავე სასაფლაოზე 25 ნოემბერს საღამოს 4 საათზე. 595—1—1

ვანო წულუკიძე, ამბაკო ნიკოლაიშვილი და ამბაკო რაზმაძე აუწყებენ ამხანაგებს და ნაცნობებს ძვირფასი მეგობრის

მ ი ხ ა ს ო ხ ა ძ ი ს

მოულოდნელ და უდროო გარდაცვალებას.

ნის. 290—1—1

დიდი მწუხარებით აუწყებს მეგობრებს და ამხანაგებს თამარა და სოსიკო ფანცხავები, კონტ. ბიძინაშვილი და ნიკ. რუხაძე საუკეთესო მეგობარი

მიხეილ (მიხა) ივანეს-ძე სოხაძის

უდროოდ გარდაცვალებას ა. წ. 22 ნოემბერს.

1—1 ნ. 292

ღრმათ დამწუხრებული დედა სალომე, მეუღლე მარიამი, ძმები პიმენი, გერვასი და და—ბაბილინა სოხაძეები ვაუწყებთ ნათესავთ და ნაცნობებთ მათ დაუვიწყარი

მიხა ივანეს ძე სოხაძის

გარდაცვალებას—დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული
ელისაბედის ქ. № 59.

588—1—1

მოწაფეთა საყურადღებოთ

გამოვიდა და იყიდება

ფ. ი. მიხალევსკის

„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი" (ქართულ ენაზე).

მოწაფეებს მიეცემათ შეღავათი, თუ ხსენებული სახელმძღვანელო დაკვეთილი იქნება 10 ცალზე მეტი

მ ი ს ა მ ა რ თ ი: გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი, № 24, მეორე სართული.

0—21

დღეს, სამშაბათს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს სახ. განათლების შენობაში (ევანგულოვის № 12) დანიშნულია

ქალ. თბილისის და მისი მაზრის

ექიმთა საერთო კრება

№ 598—1—1

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 24 ნოემბერს

პრემიერა

ჰ უ გ ე ნ ო ტ ი

პანკრატოვას, პოპოვას კიპარენკოს და ილინის მონაწილეობით.

ოთხშაბათს, 24 ნოემბერს

აბესალომ და ეთერი

1—1 ნ. 285

რუსთაველის თეატრი

დღეს, 24 ნოემბერს

ჰ ა მ ლ ე ტ ი

პირველი შემადგენლობის მონაწილეობით

ხუთშაბათს 26 ნოემბერს

პრემიერა

მიწის ძვრა

პ. კაკაბაძის დადგმა დ. ანთაძის

თანახმად ამ. სახკომსაბჭოს № 4 დადგენილებისა

(1925 წ. 12 თებერვლის თარიღით)

საქართ. ს. ს. ს. ს. ეკონომიურ საბჭოში დამტკიცებულია

სავაჭრო ნიშნები შემდეგი ფირმებისა

1. ფირმა „მოკკოხი" ეკუთვნის გრიგ. არჩ. მერანგულიანცს ფირმის მარკად ინდოელი ქალის თავია.
2. ფ. „სიმპატიასი", ეკუთვნის ი. ზ. თანდილაშვილს. მარკად ყანწია. ეტიკეტზე ზოლია, რომელზედაც წარწერაა: „სიმპატია კახური ღვინო ი. ზ. თანდილაშვილი.
3. ფ. „ზღმკსს" ღვინის ეტიკეტზე წარწერა ქართულად და რუსულადაა; „კახელ მევენახეთა ამხ-ბა „გლეხი" თბილისი"
4. ზალვის წარმოება ძმ. კარლინსკებისა. ეტიკეტი ასეთია: კონცენტრიულ წრეში, გარშემოწერილობაზე წარწერილია: „ტახინის ზეთის და ხალვის წარმოება ძმ. კარლინსკებისა".
5. ფ. „ოცნებას" ღვინის საწყობისა. ეტიკეტზე ქართულად და რუსულად წარწერა). „კახური ღვინო „ოცნება" თბილისი".

ს. მ. უ. ს. მრეწველობის ინსპექ. ა. ბებურიშვილი

ნ. № 291—1—1 კანცელარიის გამგე ა. შენგელაია

სახელმწ. აკადემიურ თეატრების სამმართველო

აცხადებს, რომ გაცემული ყველა უფასო სასეზონო ბილეთები (მუდმივი და შესასვლელი)

გატარებული უნდა იქნენ ხელახალ რეგისტრაციაში

ა | წ. 1 დეკემბრამდე. აღნიშნულ ვადამდე ასეთი ბილეთები გაუქმებულია, გარდა მთავრობის ლოჟების ბილეთებისა. ბილეთები, რომლებიც არ იქნებიან გატარებული რეგისტრაციაში 1 დეკემბრამდე, კარგავენ თავის ძალას.

სახელმწიფო აკადემიურ თეატრების სამმართველო.

ნ. 295 1—1

კბილის ექიმი

ფ. თ. რატიან თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 16 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

ე ქ ი მ ი **ი. დ. თოფურიძე**

ელიზბარის ქუჩა (ყოფილი მიკოლოზ.) № 33.

ღდებს ავადმყოფებს

კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სახქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

ე ქ ი მ ი **გ. ნ. მაგაკიანი**

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი

კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 38.

ე ქ ი მ ი **ა. ხ. ფონ-ირტელი**

მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბონ-მონდი).

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის-სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე

ე ქ ი მ ი **გ. მ. ფხალაძე**

კანისა და ვენერიული სნეულებანი

(სიფილისი „606"—„914")

ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 7—8 საათ.—საღამოთი 7—9 საათ. ქალების—საღამოთი 6—7 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ. № 4, ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემმელის აფთიაქის პირდაპირ.

ე ქ ი მ ი **ნ. ა. ჯანდიერი**

შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი

მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9 ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.

სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—1

ე ქ ი მ ი **ნ. გ. ახვერდოვი**

დაბრუნდა გერმანიიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება ქალურ ავადმყოფობასა და მეანობაში, სინათლით მკურნალობა.

ავადმყოფების მიღება დილით 9—11 საათამდე, საღამოთი 4—7 საათამდე, ყოველ-დღე. ვერის დაღმართი № 15.

ელექტროფიკაციის სააქციონერო ბანკი „ელექტრობანკი"

აცხადებს, რომ ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს ა/წ. 1 ოქტომბრის და საბჭოთა კავშირის ფინსახკომის დადგენილების თანახმად

ბანკის ამიერ-კავკასიის საოლქო განყოფილება

რომელიც მოთავსებულია ქ. თბ. ლადო დუმბაძის ქ. № 2.

ნოემბრის 11-დან **გადაკეთებულია ამიერ-კავკასიის საოლქო კანტორად**

და უკანასკნელმა 1 ნოემბრიდან გახსნა ქალაქ ბაქოში, ჯაფარიძის ქუჩაზე № 5

1—1 ნ. 295 აზერბეიჯანის განყოფილება.

ქ. თბილისის მე-2 სასამართლო აღმასრულებელი ლ. ს. სტოლუხოვი ამით აცხადებს, რომ 30 ნოემბ. 1925 წ. დღის 12 საათზე, სახლში № 6, ნორაშენის შესახვევი, საჯაროვაჭრობით გაყიდის მარიამ და გაბრიელ კატაშვილის მოძრავ ქონებას: ბინის მოწყობილობა შეფასებული 270 მანეთად, თამბაქოს ტრესტის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 27 ოქტომბრის 1925 წ. თარიღით, № 589 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.

ქვ. № 587—1—1

სახხერის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ივ. აბაშიძე ამით აცხადებს, რომ ს. სარეკში 6 დეკემბერს, შუადღის 12 საათზე დღით პარასკევს, ჩემს მიერ დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ერთი მეოთხედი მონაწილეობისა ფიცრული მუხის სახლისა, ერთი მუხის ფიცრული ბეღლისა, ერთი მუხის სასიმინდისა და ერთი მიდგმული ქვიტკირის სახლზედ ფიცრული ოთახი და, რომელი ქონებაც არის შეფასებული 370 მან. დასაკმაყოფილებლად საჩხერის „ეპოს" ვალისა სე12 მან. ვალისა გამო აღმასრულებელი ფურცლისა საჩხერის უბნის სახალხო სასამართლოსა 23 ივლისის 1925 წ. თარიღით № 1000.

ქვ. 593—1—1

ელექტრონით და სინათლით

ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

საწოლებით რენტგენი დიარსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ დაავადებულ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

9205 25—

ე ქ ი მ ი **გ. ო. ზანდუკელი**

დაბრუნდა და განაახლა მიღება შინაგან და ვენერიულ ავადმყ. ლენინის (ოლღას ქ. 49).

ტელ. 4—82 საღამოს 7—8 საათ. ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი,

ე ქ ი მ ი **ი. ი. ბერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—12 საათ. საღამოთი 5—8 საათ.

ქალებისთვის 12—1 საათ.

ასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი №8.

ქიმიურ-ბაქტერიოლოგ. კაბინეთი

ექიმ **ნ. პ. ფალიაშვილის**

მიიღებს ყოველგვარ მედიკურ ანალიზებს შარდის, სისხლის, ნახველის და სხვა; ვასერმანის რეაქცია (ათაშანგზე), ბეზრედკოსი (ტლეკზე) და სხვა; ანალიზებს მიიღებს მთელი დღე. პირადათ საღამოს 5—7 საათ. ბელინსკის ქუჩა ბაქრაძის შესახვ. (ყოფ. აგურის) № 10. 25—1

ე ქ ი მ ი **თ ო დ ა ძ ე**

ქირურგიული და უროლოგიური ავადმყოფობანი (თირკმლები-ბუშტი, შარდის ბუშტი, შარდსადინარი, მამაკაცის სქესობრივი უძლურება,—მკურნალობა გაახალგაზრდავების თანამედროვე მეთოდებით და სხვ.), ცისტოსკოპია, ურეთროსკოპია, პიელოგრაფია.

დილის 8—9 საათ., საღამოს 4—6 საათ. ბელგიის ქუჩა № 1.

ექიმი **პ. გ. ვართანნოვი**

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

მიღება დილით 8—9 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე.

სურამის ქუჩა № 9, სადგურის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს მახლობლად.

მედიცინის დოქტორი

ბ. ა. მონსე

დაბრუნდა და განაახლა მიღება. **მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი**

მიღება დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა.

კამოს ქ. № 17, ზემო სართული (ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად). 25—1

ე ქ ი მ ი **შ უ ხ მ ა ნ ი**

ვენერიული და შარდ-სასქესო ორგანოების ავადმყოფობანი.

მიღება ქალებისათვის 2—3 საათამდე, მამაკაცებისათვის—საღამოს 5—7 საათამდე.

ელისაბედის ქ. 89.

(ქსენიევის ქუჩის პირდაპირ).

დოქტორი **გ. მეგრაბიანი**

ფილტვების, გულის და ციების

წამლობა ხელოვნური მთის მზით, სპენომოტორაკსით და ტუბერკულინით, რენტგენის, და სინათლის, ელექტრონის სამკურნალო კაბინეთში—იღებს 9—1 საათ. დილ., 5—8 საღ. ბებუთოვის ქუჩა, № 23.

ე ქ ი მ ი **ვ. ს. არგუტინსკი**

ელისაბედის ქუჩა, 53.

ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. 25—1

ე ქ ი მ ი **გ. ა. ლუკოვსკი**

ვენერიული და კანის ავადმყოფობანი.

მიღება დილის 9 საათიდან 11 საათამდე და საღამოს 4—6 საათამდე, ქალები—დღის 1—2 საათამდე.

საპიერის ქ. №35 (ყოფ. კადეტთა კორპუსის უკან). 25—1

დაბრუნდა

ე ქ ი მ ი **ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი**

შინაგან და ნერვიულ ავადმყ. ელექტრონის კაბინეთი.

ავადმყ. მიღება საღ. 6—7 საათ. ლენინის (ოლღას ქ. № 49) ტელ. 4—82

ე ქ ი მ ი **ი. ი. ჭეიშვილი**

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ. დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფ. მიღება დილის 8—9 საათ. და საღ. 5—7 ს. კამოს ქუჩ. № 72 (ყოფილი დიდი მთავრის),

---

დაჰკარგა პირადობის მოწმობა მე-6 ლეგიონის მიერ მიცემული იოსებ მამულაშვილის სახელზე, ჩ. გ. 590 1—1

დაჰკარგა სამხედრო აღრიცხვის ბარათი თეოფანე თემურაზისძე გუგუშვილის სახელზე, ჩ. გ. 589 1—1

დაჰკარგა 1924—25 საბიუჯეტო წლისათვის თბილისის ხაზინიდან ბანდეროლების გამოსატანი რვეული № 294, დარჩო არუთინოვის სახელზე, ჩ. გ. 541 1—1

დაჰკარგა პირადი წიგნაკი ფორმა № 4 დავით შაქიას ძე ელიკიშვილის სახელზე. ჩ. გ. 597 1—1

დაჰკარგა პირადი წიგნაკი ფორმა № 4 იეუდა შაქიას ძე ელიკიშვილის სახელზე, ჩ. გ. 596 1—1

დაჰკარგა პირადი სააღრიცხვო წიგნაკი № 89 (ფორმა № 4) ბორის სვანის სახელზე, ჩ. გ. 599 1—1

„ზარიო ვოსტოკა"-ს სოშ წულუკიძის ქუჩა № 4

მის მუშაობ

ლოდ მასალების

ღებულობა.

ნოიდან ნედლი ბარკის მიღების დროს | დოება „აბრეშუმი".

მიერ მინიჭებული შეღავათები—ერ-

განათლების მუშაკი.

დოებრივი და პოლიტიკური დახმა- | გვარ დახმარებას ოლქის საქმეს.